

10
977

კომუნალური
ზიზღიერება



კომუნალიზმი

8
1977

Утвержден Указом Президиума Верховного
Совета СССР от 27 мая 1977 года

Текст С. МИХАЛКОВА
и Г. ЭЛЬ-РЕГИСТАНА

Музыка А. В. АЛЕКСАНДРОВА

ГИМН СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

Союз нерушимый республик свободных
Сплотила навеки Великая Русь.
Да здравствует созданный волей народов
Единый, могучий Советский Союз!

Славься, Отечество наше свободное,
Дружбы народов надежный оплот!
Партия Ленина — сила народная
Нас к торжеству коммунизма ведет!

Сквозь грозы сияло нам солнце свободы,
И Ленин великий нам путь озарил:
На правое дело он поднял народы,
На труд и на подвиги нас вдохновил!

Славься, Отечество наше свободное,
Дружбы народов надежный оплот!
Партия Ленина — сила народная
Нас к торжеству коммунизма ведет!

В победе бессмертных идей коммунизма
Мы видим грядущее нашей страны,
И Красному знамени славной Отчизны
Мы будем всегда беззаветно верны!

Славься, Отечество наше свободное,
Дружбы народов надежный оплот!
Партия Ленина — сила народная
Нас к торжеству коммунизма ведет!

Торжественно. Распевно.

Со - юз не - ру - ши - мый рес - пуб - лик сво - бод - ных рес - пуб - лик.

... ти - на на - ве - ки Ве - ли - ка - я Русь. Да здрав - ству - ет

со - здан - ный во - лей на - ро - дов е - ди - ный, мо - гу - чий Со -

... вет - ский Со - юз! Сла - вь - ся, О - те - чество

на - ше сво - бод - ное, друж - бы на - ро - дов на -

... де - ж - ный о - плот! Пар - тия Ле - ни - на -

си - ла на - род - ная нас к тор - же - ству ком - му -

Для повторения | Для окончания

... ния - ма ве - дет! Сквозь // ния - ма ве - дет!



დიდი ისტორიული დოკუმენტი

**ვეზნოაით
კონსტიტუციის
პროექტს**

საუბარი პირველი

3. კონსტიტუცია

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის მზადებისათვის გაჩაღებულ პოლიტიკურ და შრომით აღმავლობას თანდაერთო კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა — ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება. ამ ისტორიულ დოკუმენტში მკაფიოდ არის ასახული ჩვენი რევოლუციის ძირითადი მონაპოვარი, ხალხის გამართული შრომით აშენებული გამარჯვებული სოციალიზმის წარმატებები, ხოლო მშვიდობა აღიარებულია სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის უმადლეს პრინციპად და მაგისტრალურ მიმართულებად.

„ჩვენი ახალი კონსტიტუცია თვალსაჩინოდ დაანახვებს მთელ მსოფლიოს, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1977 წლის 22 მაისს, — თუ როგორ ვითარდება სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სულ უფრო მტკიცედ და ღრმად ამკვიდრებს სოციალისტურ დემოკრატიას, თვალსაჩინოდ დაანახვებს, როგორია იგი, ეს სოციალისტური დემოკრატია, რა არის მისი არსი. ჩვენი კონსტიტუცია ცხადყოფს სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში ხალხთა ფართო მასების დღეიდან მზარდი რეალური მონაწილეობის მრავალფეროვან ფორმებსა და უდიდეს გაქანებას, რაც უცხოა ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის, სადაც მართვა-გამგეობა სინამდვილეში მხოლოდ კაპიტალისტთა მცირერიცხოვანი კლასის ხელთ არის.“

ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებლად სერიოზული შრომა გაწეული. პარტიის კონკრეტულ მითითებათა შესაბამისად, ძირითადი ყურადღება გამახვილდა სსრ კავშირში განვლილ 40 წელიწადში მომხდარ ცვლილებებზე, სოციალიზ-



სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი— ახალგაზრდობის ნაპლა-აღზრდის ერთიანი სისტემის საუუქველი

მის დიდ გამარჯვებებზე, ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივი არსის გამომატველი საბჭოთა წყობილების ზოგად ამოცანებზე, სოციალისტური საზოგადოების, მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითად თვისებებზე, სახალხო მეურნეობისა-დმი ხელმძღვანელობის პრინციპებ-

ზე, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების საკითხებზე. პროექტზე მუშაობისას დაცული იყო მემკვიდრეობითობა: შენარჩუნებული და განვითარებულია წინა კონსტიტუციების ნიშან-თვისებები, რომლებსაც ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. გათვალისწინებულია მოძველ სოციალისტური სახელმწიფოთა კონსტიტუციური განვითარების საყურადღებო გამოცდილება.

აქამდე ჩვენს ქვეყანას ჰქონდა სამი კონსტიტუცია. პირველი მიიღეს 1918 წელს, მეორე — 1924, ხოლო მესამე — 1936 წელს და მისი მოქმედება თითქმის 40 წელიწადს გრძელდება. ამ დიდმნიშვნელოვანმა სახელმწიფო დოკუმენტებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს სოციალიზმის სამშობლოს ისტორიაში; ხელი შეუწყეს მის საყოველთაოდ აღიარებულ წარმატებათა მოპოვებას პოლიტიკურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგში. განვიღო პერიოდში მომხდარი საზოგადოებრივი პროგრესის ფართო მასშტაბის ცვლილებებთან დაკავშირებით, აუცილებელი შეიქმნა კონსტიტუციის განახლება, თანამედროვე ეპოქის მოთხოვნისა და მონაარსით გამდიდრება, მისი თავებისა და მუხლების ახლებური გააზრება და ჩამოყალიბება, ცხოვრების ამა თუ იმ დარგის თანამედროვე მდგომარეობის ყოველმხრივი გათვალისწინება და კანონმდებლობის გზით დაკანონება-დამკვიდრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე მკაფიოდ აღინიშნა ჩვენს ქვეყანასა და საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები: აშენებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ძირფესვიანად შეცვლილ ეკონომიკაში განუყოფლად ბატონობს საკუთრების სოციალისტური ფორმები. ერთიანი სახალხო-სამეურნეო მექანიზმი ვითარდება სოციალისტური წყობილების უპირატესობებთან მეცნიერულ-

კ. ბარქსის სახ. საქ. სა...



**პენსიით
კონსტიტუციის
პროექტს**

ტიქნიკური რევოლუციის მიღწევის შეხამების საფუძველზე. სულ უფრო იზრდება საბჭოთა საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნება. განმტკიცებულია მუშათა კლასის, კოლმეურნე კლასებისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი. თანდათან ისობა განსხვავება ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის. ყველა ერისა და ეროვნების ცხოვრების განვითარების შედეგად ხდება ერთმანეთთან მათი სულ უფრო დაახლოება. შექმნილია ადამიანთა ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ჩვენი სახელმწიფო გახდა საერთო-სახალხო სახელმწიფო. განმტკიცდა სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. სოციალიზმი გადაქცეულია მსოფლიო სისტემად, წარმოქმნილია მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობა. არსებითად შესუსტებულია კაპიტალიზმის სპონციები. არის ახალი ომის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა. საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ ამ შედეგებში უდიდესია სკკპ ხელმძღვანელი, წარმმართველი როლი და დამსახურება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა ძირითადად მიიწონა საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი ახალი კონსტიტუციის პროექტი და მისი რჩევის თანახმად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი საყოველ-

თაო-სახალხო განხილვისათვის გამოიტანა. ჩვენი ქვეყნის მშრომლებიც ამ დოკუმენტს ყურადღებით სწავლობენ და ცალკეულ წინადადებებს აყენებენ მის დებულებათა დასაზუსტებლად, გასაუმჯობესებლად, გასამდიდრებლად. მიტინგებზე, კრებებზე, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში, ტელევიზიითა და რადიოთი ჩვენი მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, სტუდენტები, მოსწავლეები მზურვალედ იწონებენ კონსტიტუციის პროექტის საერთო შინაარსს და გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, შენიშვნებს ამა თუ იმ საკითხის დასაზუსტებლად, მასში ცვლილებების შესატანად. პროექტის განხილვა მიმდინარეობს საქმიან ვითარებაში, მშრომელთა ფართო მასების, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ეს ხელს უწყობს მთელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ გააქტიურებას, ხალხის შემოქმედებითი ძალების გაღვივებასა და გაძლიერებას.

მთელი ჩვენი პარტიის მოღვაწეობაში, მის ყოველდღიურ ღონისძიებებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ადამიანს, მასზე ზრუნვას, მისი ზრდა-განვითარების საჭირო პირობების შექმნას, სწავლა-განათლების, პირადი კეთილდღეობისა და ბედნიერების უზრუნველყოფას. ამ დარგში მოპოვებული წარმატებები უაღრესად თვალსაჩინოა. საბჭოთა ადამიანი ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების თვალსაჩინო მიღწევაა, ხასიათდება მაღალი მორალური პოლიტიკური თვისებებით, ყულტურითა და განათლებით, შრომისადმი სიყვარულით, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობებით, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, გარშემო მყოფთაღმი გულისხმიერებით, სიძნელეთა წინაშე ქედუხრელობის, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის სულისკვეთებით, კომუნისმის მშენებლობის ინტერესების ერთგულებით.

ღროთა ვითარებაში საზოგადოების შემადგენლობა იცვლება. სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან ახალ-ახალი თაობები და მათზე მზრუნველობა ყოველთვის არის ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის პირველხარისხოვანი საქმე. ამ მიზნით „სსრ კავშირში მოქმედებს ბანათლების ერთიანი სისტემა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, შრომითსა და საზოგადოებრივი სა-

პიანობისათვის მომზადებას. — ნათქვამია სსრ კავშირის კონსტიტუციის 25-ე მუხლში. ამ ლაკონურ დებულებებში შესანიშნავად იგრძნობა ჩვენი ცხოვრების ინტელექტუალური საფუძვლების მრავალმხრივობა და სიდიადე.

საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მოზარდი თაობის სწავლა-განათლება, საჭირო ცოდნით აღჭურვა. საამისო მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ დიდი ოქტო-

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი	
1935/36	სასწავლო წელი:
მოსწავლეთა რაოდენობა:	26.805.000
სტუდენტთა რაოდენობა:	600.000
1976/77	სასწავლო წელი:
მოსწავლეთა რაოდენობა:	51.600.000
სტუდენტთა რაოდენობა:	5.000.000

მბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე. ხალხს აკლდა პური, სათბობი, ბინა, ტანსაცმელი, შიმში იყო. ცხოვრება და არსებობა, მაგრამ ადამიანები მომავლის იმედით სიძნელეებს მამაცურად სძლევენ. სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა, სწავლებებში ბავშვთა მასობრივი ჩაბმა და მეცადინეობისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფა.

სწავლობდნენ არა მარტო მოზარდები, არამედ მოზრდილებიც — რომლებსაც ცარიზმის დროს არ ჰქონდათ ელემენტარული განათლების მიღების შესაძლებლობა. ისინი დღისით საწარმოებში, დაწესებულებებში, მინდვრებში მუშაობდნენ, საღამოობით კი მერხებს უსხდნენ და საკუთარი უწიგნურობის ლიკვიდაციას მთელი დაბეჭითობით ცდილობდნენ. ხალხში განათლების ნათელი შუქი იჭრებოდა. ადამიანები კულტურული განვითარების ფართო გზას იმიჰყვებოდნენ. ხალხი მოზარდთა სწავლა-აღზრდა სულ უფრო მკვიდრ ნიადაგს ემყარებოდა: მწყობრში ზედინულ დგებობდნენ დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლები, ტექნიკუმები, მუშათა ფაკულტეტები, უმაღლესი სასწავლებლები. მრავლდებოდა სტუდენტთა რიცხვი და ქვეყანას ყოველწლიურად ემატებოდა ათასობით

კომუნაზი

8

აპრისკო

1977

საქართველოს აკად. შ.კ.ის და ვ. ი. ლენინის
სახელობის პირობათა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან



კავშირით კონსტიტუციის პროექტს

სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტები.

1936 წლის კონსტიტუციის მიღების დროს, ე. ი. 40 წლის წინათ, მდგომარეობა სულ უფრო უმჯობესდებოდა და 1935/36 სასწავლო წელს ჩვენი ქვეყანაში არსებობდა 171.100 სხვადასხვა ტიპის სკოლა, სასწავლებელი, ტექნიკუმი, სწავლობდა 25.946.000 ბავშვი. მუშაკებში მსმენელთა რაოდენობა 259.000-ს აღწევდა. სულ მერხს უჯდა 26.805.000 მოზარდი. სტუდენტთა რიცხვი 600.000-ს აღემატებოდა. ეს იყო უაღრესად მკაფიო მაჩვენებელი და ხალხის კულტურული განვითარების მისაღწევად კომუნისტური პარტიის საქმიანობის ღირსშესანიშნავი შედეგი.

სწავლა-განათლების მაღალი დონით გამოირჩეოდა საქართველოს სსრეს სპეციალური. მის სასწავლო დაწესებულებებში ათიათასობით მოზარდი იღებდა ცოდნას, იზრდებოდა, სპეციალდებოდა და სოციალისტური მშენებლობის მოწინავეთა რიგებში დგებოდა. მესამე კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1936/37 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა 4.389 დაწესებულება, არასრული და სრული საშუალო სკოლა, სწავლობდა 665.000 ბავშვი, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა 20.000-ს აღემატებოდა. მათი 80 პროცენტი სტიპენდიას იღებდა. ყოველ 10.000 მცხოვრებზე საშუალო და უმაღლეს დამთავრებულთა რიცხვის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა სსრ კავშირში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იდგა.

ამ თვალსაჩინო წარმატებაში მკაფიოდ იყო გამოსახული, როგორც ჩვენი ხალხის დაუცხრომელი მისწრაფება და ეფექტიანი ღონისძიებები ახალგაზრდობის სწავლა-განათლების მაღალ დონეზე დასაყენებლად, ისე კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის შედეგი, მისი მუშაობა მოკავშირე რესპუბლიკათა მოსახლეობის კულტურული ღონის ასამაღლებლად.

განვილოთ 40 წელიწადში თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდა სსრ კავშირის მთელი სახალხო განათლების სისტემა: გაძლიერდა სასწავლო დაწესებულებათა ტექნიკური ბაზა. მრავალი მათგანი მოთავსდა ახალ, თანამედროვე შენობაში. შეიქმნა კარგად აღჭურვილი სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები. გაიზარდნენ და გამოიწვრთნენ პედაგოგთა კადრები. მოხდა მათი ძირეული განახლება. სწავლება მჭიდროდ დაუკავშირდა პრაქტიკას, ცხოვრებისე-

ული პრობლემების გადაწყვეტას, შრომითს პროცესებს. წინა რიგზე წამოიწია მოსწავლეთა არა მარტო ცოდნის დაუფლება და ფიზიკური მომზადება, არამედ მათი კომუნისტური აღზრდა, მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებების დანერგვა.

სასწავლო დაწესებულებები გაზარდნენ ჩვენი ახალგაზრდა კადრების მძლავრი სამჭედლოები, რომლებიც წლითიწლობით ზრდიდნენ ღრმად ცოდნით აღჭურვილ, ფიზიკურად და მორალურად გამოწრთობილ კვალიფიციურ სპეციალისტებს. ისინი შემდეგ სახელოვნოდ შრომობდნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, გამირულად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე, ომის შემდგომი სიძნელეების დასაძლევად, დიად მშენებლობებზე, ყამირის გასატეხად და ასათვისებლად. ყველგან გამოთავდნენ მაღალი კვალიფიკაცია, პატრიოტული შემართება, ხალხის ინტერესებით ცხოვრების სულისკვეთება.

საქართველოს სსრ	
1936/37	სასწავლო წელი.
მოსწავლეთა რაოდენობა.	665.000
სტუდენტთა რაოდენობა.	20.000
1976/77	სასწავლო წელი.
მოსწავლეთა რაოდენობა.	1.002.400
სტუდენტთა რაოდენობა.	85.000

ჩვენს ქვეყანაში სწავლა-განათლება ყველასათვის არის ხელმისაწვდომი. სკოლის კარები ყველასათვის ღიაა. მსოფლიოს არც ერთ კონტინენტზე ისე მასობრივად არ სწავლობენ, ისე არ ივრძობა ცოდნის შექმნისადმი მისწრაფება, როგორც ჩვენს ქვეყანაში, როგორც სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში. უფასო განათლება სსრ კავშირის ხალხთა დიდი სოციალური მონაწილეობა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ საქმეს ყოველწლიურად 16-18 პროცენტი ხმარდება. ერთი მოსწავლის შენახვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, საბჭოთა მთავრობას წელიწადში საშუალოდ უჯდება 187 მანეთი, სპეციალურ სასწავლებელში — 669, უმაღლეს სასწავლებელში — 1000, მანეთი. ეს უაღრესად მეტყველი ფაქტი და სა-

ბჭოთა ხელისუფლების ჰუმანურობის ნათელი დადასტურებაა.

ამის მსგავსი რამ არ ხდებოდა არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლა-განათლების სახელმწიფო ხარჯი სულ უფრო მკირდება, ხოლო ინგლისსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — ბიუჯეტის 4-6 პროცენტს არ აღემატება. მოსწავლეთა და სტუდენტთა შენახვის თანხას ანაზღაურებენ არა მთავრობის ორგანოები, არამედ მოსწავლეები და მათი მშობლები. გადასახადი კი დიდია და სულ უფრო იზრდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი ადამიანის სწავლა სახელმწიფო კოლეჯებში 1947 წელს ღირდა 960 დოლარი, 1957 წელს — 1.260, ხოლო 1977 წელს — 4.000 დოლარია. ე. ი. 20 წელიწადში 3-ჯერ უფრო გაძვირდა. ამის გამო ბევრი ბავშვი სკოლაში სიარულს თავს ადრე ანებებს და ლუკმაპურის საძებნელად თანახმაა ყოველგვარი სახის სამუშაოს მოკიდოს ხელი. სწავლა ძირითადად მხოლოდ შეძლებული ფენების წარმომადგენელთა პრივილეგიაა.

რა არსებითი სხვაობაა ჩვენსა და მათი განათლების სისტემებს შორის! საბჭოთა ბავშვებისათვის სრულიად გაუგებარია ტერმინი — „სწავლის ქირა“. მათ ვერ წარმოუდგენიათ უსწავლელად დარჩენა, ადრეულ ასაკში სამუშაოსა და არსებობის სახსრების ძიება. მძლავრი ძალით ქუერს და დიდი სოციალური შინაარსით არის განმსჭვალული ახალი კონსტიტუციის პროექტის 45-ე მუხლი: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.“

ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება. ახალგაზრდობის საყოველთაო-საპალატილო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფარგლებში განვითარება ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს განათლების განვითარება; სახელმწიფო სტიპენდიებისა და სხვა შეღავათების მიცემა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის; სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო



პეზნოატი კონსტიტუციის პროექტს

ბავიამა: სკოლაში დედაენაზე სწავლაზე. შესაძლებლობა; პროფესიული ორიენტაციის სისტემის განვითარება და მშრომელთა თვითგანათლების პირობების შექმნა. ამ მრავალსივრთვულ დებულებებში ასახული და დაკანონებულია ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი 40 წლის მანძილზე განათლების დარგში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგები, გაწეული მუშაობის ფართო მასშტაბები და მაღალი ეფექტიანობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა განათლების სახეობათა სიმრავლე და მიზნდასახულობა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ტექნიკუმები, პროფტექნიკური სასწავლებლები ახალგაზრდებს აძლევენ არა მარტო ზოგად ცოდნას და უფართოებენ გონებრივ პორიზონტს, არამედ აუფლებენ ამა თუ იმ სახის სპეციალობას, ამზადებენ პრაქტიკულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმისათვის. ამ მხრივ პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებები უადრესად პოპულარული გახდნენ.

დამახასიათებელია ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემი. პროფტექნიკური სასწავლებლები ყოველწლიურად ამზადებენ 2-2.200.000 სპეციალისტს. წლეულს ამ სისტემაში სწავლობს 2.300.000 მოზარდი. მათ შორის ბევრს მიღებული აქვს საშუალო განათლება. მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ასეთ სასწავლო დაწესებულებათა რიცხვი და მათში ახალგაზრდების მიღება.

ყველაზე უფრო მეტია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სასწავლებლების რაოდენობა. განათლების მთელ სისტემას ძირითადად ეს ფორმა განსაზღვრავს, ჩვენი ქვეყნისათვის ტრადიციულია და წამყვან როლს ასრულებს საყოველთაო საშუალო სწავლების განხორციელებაში. 1976-77 სასწავლო წელს ამ სისტემაში ჩაბმულია 46.500.000 ბავშვი, საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 1.500.000, ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში—4.600.000.

დიდია სწრაფვა უმაღლესი განათლების მიღებისადმი. ყოველ 10.000 მცხოვრებზე ევროპის არც ერთ სახელმწიფოში იმდენი სტუდენტი არ მოდის, როგორც სსრ კავშირში. მარტო წლებანდელ სასწავლო წელს

უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს 1.012.000 ახალგაზრდა. აქედან 610.000 — დღის განყოფილებებზე. სულ სტუდენტთა რაოდენობაა 5.000.000. მთლიანად ჩვენს ქვეყანაში სწავლობს 93.000.000-ზე მეტი კაცი. ე. ი. განვილილ 40 წელიწადში მოსწავლეთა რაოდენობა 66.195.000-ით გადიდა. ზრდა უადრესად თვალსაჩინოა. მარტო შარშან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გაგზავნილია 1.843.000 კურსდამთავრებული. აქედან 735.000-ს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 1.108.000-ს — საშუალო სპეციალური.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩვენს რესპუბლიკაშიც. ახლა 4.214 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მერხს უზის 1.002.400 მოსწავლე. შარშან სიმწიფის ატესტატი მიიღო 78.721-მა მოზარდმა. ეს წინა წლებზე საგრძნობლად მეტია. ყოველწლიურად გამოდის 130-ზე მეტი დასახელების სახელმძღვანელო 4-5.000.000 ტირაჟით. სტუდენტთა რიცხვი 85.000-ს აღემატება, განვილილ 4 წელიწადში 65.000-ით არის მომატებული. ყოველ 10.000 მცხოვრებზე სტუდენტთა მიხედვით კარგა ხანია უკან გვყავს ჩამოტოვებული ბევრი განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფო.

ფართოდ არის გავრცელებული დაუსწრებელი და საღამოს განათლება — შრომისა და სწავლის შეხამების ეს შესანიშნავი ფორმა. სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები ამზადდება ინდივიდუალური, ბრიგადული და კურსობრივი სწავლების საფუძველზე უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ გზით სსრ კავშირში ყოველწლიურად პროფესიის იმპულსებს 30-32.000.000 ადამიანი, შარშან მათი რიცხვი 33.000.000 იყო. რეგულარულად ხდება სპეციალისტთა მომზადება-გადამზადება, ცოდნის გაღრმავება. ყველა ადამიანს აქვს კულტურის მიღწევებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ მიზნით გამოყენებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული საგანძირი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, თეატრები, კინოთეატრები, მუზეუმები, უცხოეთის სახელმწიფოებთან კულტურული ურთიერთობა და ა. შ.

შექმნილია მეცნიერებისა და ტექნიკის შეუფერხებელი განვითარების ყველა პირობა: შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამეცნი-



ინტელექტუალური პოტენციალი

ერო-კვლევითი ინსტიტუტების ქსელი, რომელიც, კადრების მომზადების სისტემა, სამეცნიერო საქმიანობისადმი პარტიისა და მთავრობის შეუწყობილი მხარხველობა. მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა წლითიწლით იზრდება. ახლა 1.254.000-ს აღემატება, ხოლო საქართველოში — 24.000-ს აღწევს. განუზრვლად მაღლდება მათი საქმიანობის არე, კვალიფიკაცია, სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა დარგებში სამეცნიერო-კვლევითი შედეგების დანერგვის მაჩვენებლები. დიდი ღონისძიებები ხორციელდება საზოგადოების სულიერ ღირებულებათა დასაცავად, გასამრავლებლად და ადამიანთა კულტურის ღონის ამაღლებისათვის გამოსაყენებლად, პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განსავითარებლად, თვისებრივად მაღალ დონეზე ასაყვანად.

წინა რიგზეა წამოწეული ფიზკულტურა და სპორტი, როგორც ახალგაზრდობის, მთელი მოსახლეობის განმრთვლების გაუმჯობესების უადრესად ეფექტიანი საშუალება. განსაკუთრებით მუდამ ჩანსალი სულა. ვერც ერთი ადამიანი სწავლადანათლების სიკეთეს პრაქტიკულად ვერ გამოიყენებს, თუ ფიზიკურად სუსტი იქნება და მისი ორგანიზმი ამა თუ იმ სახის დატვირთვას ვერ გაუძლებს. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება სულეოდ მიიღარი, მორალურად წმინდა და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანის აღსაზრდელად. საყოველთაო ყურადღებით გარემოსილმა მოზარდმა თაობამ უახლოეს მომავალში უნდა განაგრძოს თავისი მამებისა და დედების, უფროსი ძმების და დების საქმე — იბრძოლოს კომუნისტური მშენებლობის გამარჯვებამდე მისაყვანად. კაცობრიობის საუკეთესო მომავლის შესაქმნელად.

დიდია ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი და მისი შემდგომი გადიდების შესაძლებლობა. სახალხო განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაჩვენებლების მიხედვით, სსრ კავშირი ერთი წამყვანი სახელმწიფოა მსოფლიოში. ეს ისტორიული მონაპოვარი დამკვიდრებულია ახალი კონსტიტუციის პროექტში და მისი დებულებები, შინაარსი, მთელი მიმართულება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შინაგანი ბუნების, საბჭოთა ხალხის დიდი მიზნების, საკაცობრიო მოვალეობისა და ინტერნაციონალური პასუხისმგებლობის ნათელი გამოხატულებაა.

ბანაკი



ჩვენი მეგობარი...

ელენე ნინიძე (მარცხნიდან მარჯვნივ), ნიკოლოზ რაუნოვი და ლუბა ჩაპალავა კედლის გახეთის მორიგ ნომერზე მუშაობენ.

ბანაკი „მზიური“ ასწლოვანი ევკალიპტებისა და ნაძვების, ფიჭვებისა და ჰორტენზიების ვარდისფრად და იისფრად მოქათქათე ყვავილებში ჩაფლულა. ამ უშველებელ ხეთა მძლავრად გაფოფრილ ტოტებქვეშ განაბულ ბანაკს ქალაქისთვის დამახასიათებელი საკუთარი რიტმი აქვს. აქაურებს კი — მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ცხოვრების წირი და სახე.

„ქუჩები“ ქალაქის ფერხითი გაწოლილი მარად მოღვაფუნე ზღვის გასწვრივ მიემართებიან, სახლებიც ზღვის მხარეს არიან პირმიქვეულნი. ზღვა არის ამ ბანაკის ჯადოქარი დირიჟორი, არქიტექტორი, რეჟიმის უფროსი, მთავარი მკურნალი ექიმიც კი... ყოველივე და ყველაფერი ამ ქალაქში ზღვას ემორჩილება უპირველესად...

აკი ერთხმად განაცხადეს კიდევ ჩემთან საუბარში ბანაკის დირექტორმა ლევი მიქაიამ, უფროსმა პიონერხელმძღვანელმა რამაზ ყიფშიძემ, ფიზკულტურის მასწავლებელმა თენგიზ სილაგაძემ — ჩვენს ბანაკში ყველაფერი ემორჩილება

ერთ უმთავრეს მიზანს — საზაფხულო არდადეგების პერიოდში პიონერ-მოსწავლეთა აქტიურ დასვენებას, ხოლო აქტიური დასვენება შავი ზღვის სანაპიროზე — ეს უპირველესად მზის აბაზანების მიღებასთან ერთად ზღვასა და ხმელეთზე სხეულის გაჯაფებას, აგრეთვე ქალაქების ყურისწამლები ხმაურის მერე აქაური სიმშვიდისა და სიჩუმის მაქსიმალური „ულუფის“ მიღებას ნიშნავსო. მაგრამ ჩვენი ბანაკის შინაგანაწესის ამ უმთავრეს კანონს ასე პირდაპირაც ნუ გაგვიგებთ — ამით იმისი თქმა გვინდა, რომ ჩვენი ბავშვები საერთოდ, ჩვეულებრივი, მიწიერი ცხოვრებით ცხოვრობენ და მართლაც, მხოლოდღა ზღვასა და მის სანაპიროს როდი არიან მიჯაჭვულნიო.

მიწიერი ცხოვრება — ფართო მნიშვნელობის ცნებაა, მაინც როგორ ესმით აქაურებს ეს „მიწიერი ცხოვრება“? — ვკითხოთ ბავშვებს, რას ფიქრობენ აქ გატარებულ დღეებზე, რა მოსწონთ, რა ახარებს მათ გულს, რა იოცნებებს გაუტაცანია მათი გონება, თითოეული მათგანის პასუხი ერთიანობაში უსათუოდ ნათელ სუ-

რათს შეგვიქმნის კინდლის პიონერთა დასასვენებელ ბანაკზე, მის მნიშვნელობაზე.

მაისურაძე თემური — ქვაბისხევის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე: აქ ჩამოსვლის პირველსავე დღეს საზეიმო კითარებაში შედგა ბანაკის გახსნის საღამო. დავანთეთ პიონერული კოცონი, გავეცანით ერთმანეთს, ვიმღერეთ: პირველად ვნახეთ ერთმანეთი, და უცნაური იყო — მშვენიერი ხმამეწყობილი სიმღერა გამოგვივიდა... ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი ხასიათებიც შეეწყო ერთმანეთს.

ლომაძე მადონა — ქუთაისის 28-ე საშუალო სკოლის მოსწავლე: მე პირადად ვერც კი წარმომიდგენია ისეთი ადამიანი, ზღვისპირა ქალაქში არ ცხოვრობდეს და ზღვა არ ენატრებოდეს. ზღვა მართლაც ანდამატითაა და დიდ-პატარას ყველას ერთნაირად იზიდავს. მე ბედნიერი ვარ, რომ ასე ახლოს გავიცანი ეს მართლაც შესანიშნავი მეგობარი — პატივცემული შავი ზღვა. რა შეედრება მის ტალღებში ჭყუმბალაობას. ტალღები ნაზად გეფერებიან,



„მოცილოვის
ქაშს“
ზღვის
კანაპიტაც
შაილუბა
მეზოვის
ბანას
შუბით...



ფოტო
ბია
ბორიაშვილისა.

სახესა და ტანზე გითათუნებენ სა-
თუთად ხელებს...

რეუნოვი ნიკოლოზი — ტყვარჩე-
ლის მე-4 საშუალო სკოლის VIII
კლასის მოსწავლე: „მზიურში“ წელს
მესამედ ჩამოვედი დასასვენებლად.
ეს იმაზე მეტყველებს, რომ მე აქა-
ურობა ძალიან მომწონს. ყოველ
წელს ახალ ამხანაგებს ვიძენ, თანაც
ყოველთვის ახალ-ახალი შთაბეჭდი-
ლებებით ვბრუნდები კინდიდან.
თითქოს არაფერი არ შეცვლილა,
ყველაფერი აქ ისევ ძველებურად გა-
მოიყურება, მაგრამ სინამდვილეში
ასე როდია, ახალ-ახალი მარშრუ-
ტებითა და პროგრამებით ივსება ბა-
ნაკის სამოქმედო გეგმები. აი, წელ-
საც სოციალისტური შრომის ფმირს,
დეიდა თამარ ვოლუბას რომ შეეხვ-
დით უშუალოდ პლანტაციაში, რაოდ-
ენ დასამახსოვრებელი იყო ჩვენ-
თვის...

ელიაური მაია — გორის მე-9
საშუალო სკოლის IX კლასის მოს-
წავლე: ნიკოლოზი მართალს ამბობს.
— თამარ ვოლუბასთან შეჩვედრამ დი-
დი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.
მართალია, აქ დასასვენებლად ვართ
ჩამოსული, მაგრამ ეს იმას როდი
ნიშნავს, რომ საქვეყნო საქმეები
მთლად გადავივიწყოთ, ხელი ავუკ-
რათ და მარტო ზღვაში ჭყუმპალო-
ბას გადავყვეთ. დეიდა თამარ ვოლ-
უბასთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ
შეგვახსენა ჩვენი მოვალეობა საქ-
ვეყნო საქმის მიმართ. იმ დღიდან

მოყოლებული გადავწყვიტეთ ჩვე-
ნი მოკრძალებული წვლილი შეგ-
ვეტანა ჩაის კრეფისა და გადამუ-
შავების საქმეში... გადაწყვეტი-
ლება ქალღმერთი როდი დაგვრჩა
„მზიურელებს“ — ჩვენმა ხელებმა
საკმარისად იგემეს შრომის სიმძიმე
და სიხარულიც. ახლა, როცა ჩვენი
აქ ყოფნის დრო იწურება, ყველა
მადლობელია ჩვენი. ამისი დამსახუ-
რება კი იოლი როდი გახლდათ.


კოდლაშვილი დალი — თბილი-
სის 69-ე საშუალო სკოლის IX კლა-
სის მოსწავლე: ჩვენი რაზმი, მაგალი-
თად, ჩაის ფაბრიკაზე იყო მიმავრე-
ბული. განსაკუთრებით წვიმიან ამინ-
დებში, როცა ზღვაზე არაფერი საქ-
მი არ გვქონდა, კინდლის ფაბრიკაში
გეხმარებოდით მუშებს ჩაის ნედლე-
ულისა და მზა პროდუქციის ჩატვირ-
თვა-გადმოტვირთვაში. მე, პირადად,
ახლავა გავიგე — ჩაის ას-ორას გრა-
მან შეკრულას დამზადებას თურმე
რამდენი შრომა სჭირდება! ამისი
შეცნობა კი დამეხმარება ყოველგვა-
რი შრომის დაფასებაში. მწამს, რო-
ცა აღამიანმა და მით უფრო ახალგა-
ზრდამ კარგად იცის შრომის ფასი,
იგი არასოდეს არ განუდგება მშრო-
მელ ხალხს, არ ითაკილებს მათთან
მეგობრობას, და თვითონაც შეიყვან-
რებს შრომას, ეს კი მთავარ მონა-
პოვრად მიმანჩინა ჩვენი ახალგაზრ-
დობისათვის.

ნინიქე ელენე — ქ. თბილისის 64-ე
საშუალო სკოლის მოსწავლე: ამას

წინათ კინდლის ციხე-სიმაგრეს ვეწ-
ვიეთ. მის ნანგრევებში იკითხება სა-
ქართველოს მრავალტანჯული ისტო-
რიის ერთი ფურცელი. როგორც
კნობილია, შავი ზღვის სანაპიროზე
ხარობდა და ხარობს კიდევაც უნიკა-
ლური ზე-მცენარე — ბზა, რომელსაც
ყოველთვის დიდი გამოყენება ჰქო-
ნდა ნაოსნობაში. ეს იცოდნენ არა-
კეთილმოსურნე სამხრეთელმა მე-
ზობლებმა და ცეცხლითა და მახვი-
ლით მოდიოდნენ აქაური სიმდიდ-
რის ხელში ჩასაგდებად. მოდიოდა
ათასი ერთზე! ეს კინდლის ნანგრე-
ვები იმ შავზნელ დღეთა დასტურია
სწორედ. კინდლის ციხე უმცროსებს
წინაპართა პატივისცემას, მათ საქ-
მეთა დაფასებას და მოვლას გვას-
წავლის.

ჩვენ აგრეთვე უფრო ახლოს გავე-
ცანით მშობლიური კუთხის დღევან-
დელ დღეს, მის მონაპოვრებს, —
ვიყავით სოხუმის საქვეყნოდ განთ-
ქმულ მაიმუნსაშენში, ბოტანიკურ
ბაღში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში,
დავათვალიერეთ ახალი ათონის მი-
წისქვეშა გამოქვაბული...

თბილისის 128-ე საშუალო სკოლის
IX კლასის მოსწავლე **ლუიზა ჩაკალა-
ვა** თავისი განწყობილებებით ლირი-
კული ხედვების გავრცელებაზე. ეს
ნათლად ჩანს „აქაულ გარესამყაროს-
თან“ მის დამოკიდებულებაში: შეი-
ძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგ-
რამ ყველაზე დიდ სიამოვნებას ზღვის
ცქერა მანიჭებს. — ამბობს შეთმე-



ანი და შევთვალე გოგონა — მე შემოიღია საათობით ვიჯდე სანაბროზე, კვიპაროსების ჩრდილს შეფარებული, განმარტობული და ტალღების უცნაურ სრბოლას მზერაგადევენებული. ზღვა იღუმალი ჩურჩულით მეხმაურება, შორეული პლანეტებიდან მოაქვს ჩემთვის უცნაური ბგერები. და მე ხანდახან მგონია, თითქოს შემოიღია მათი გაშიფვრა და ამოკითხვა. ერთ საღამოს, მაგალითად, თეთრი დათვების ღმუხილი გავიგონე... მე კენჭი ვაღაგადე ზღვაში და იმ კენჭს ვაგაყოლე ჩემი მოკითხვა იმ თეთრ დათვებთან...

ერთი სიტყვით, ზღვა ფანტაზიის მოყვარულთათვისაა გაჩენილი, იგი ცნობისმოყვარეთათვის ახალი, იღუმალებით მოცული გადასახედა ირეალური სამყაროს უსასრულობაში... გონებით უცხო პლანეტებზე ხეტიალი კი მსოფლიოს ადამიანთა ხვედრის თანაზიარს გხდის. ყველა-სი ღვიძლი ხარ, ყველა ღვიძლია შენი. ყველა გოყვარს და ყველას უყვარხარ... ნეტავი ადამიანებს მართლაც ყველას უყვარდეთ ერთმანეთი...

ჭილაძე თამარიკო — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე: ჩვენი სიმებიანი საკრავების ანსამბლი — „საქართველო“ დი-

დი ხანია სიყვარულით სარგებლობს ბანაკში. მართლაც ვინ უნდა იყოს ისეთი, რომ სიმღერის მოსმენა არ სიამოვნებდეს? ჩვენც ხომ ბანაკში გართობასა და დასვენებას ვემსახურებით. ხანდახან მეზობელ ბანაკებშიაც ვიწვევენ ხოლმე, მეურნეობის მუშებსაც ვუტარებთ კონცერტებს, ჩამოსულ სტუმრებს ვაცნობთ ჩვენს ხელოვნებას.

აბა რა შეედრება იმ გრძნობას — ქართულ მუსიკას, ჩვენს ეროვნულ კულტურას რომ გაცნობ უცხო ადამიანებს, რომელთაც აქამდე, შესაძლოა იმცირედი წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ მასზე, არაფერი სმენიათ და გაუგონიათ საქართველოზე. ასეთი კი ცოტა როდია! ხშირად მთკმყოფილ სახეებს რომ ვაკვირდები სცენიდან, მეამაყება, რომ ამ ქვეყნის შვილი ვარ, რომ ასეთი დიდებული, ნიჭიერი წინაპრები მყავდნენ; რომ მე შემოიღია მათი ტრადიციების ივაცოცხლება, გაღრმავება და განვითარება. ეს არის ალბათ უმაღლესი გრძნობა ადამიანში. მე ამ დროს მართლაც ბედნიერი ვარ. იგივე შემოიღია ვთქვა ანსამბლის სხვა წევრებზეც: ციური ლეკიშვილზე,

ვეზალ ავლოხაშვილზე, ქახა ჯამბიაშვილზე, მერაბ და მამუკა ბესთაიევიებზე, ევრიკა რუსოვზე და სხვებზე...

მართლაც მომხიბვლელი და განუმეორებელია „მზიურელთა“ ქალაქი. საღამოობით კვიპაროსებით, ფიჭვებითა და ნაირფერად აფეთქებული ჰორტენზიებით დაბურული ესტრადიდან ნორჩების მხიარული სიმღერების ექო ეფინება გარშემოს. მუსიკის ხმა ისადგურებს ადამიანთა გულში, ქართული ჰანგები აცოცხლებს ზღვისპირეთს. ცეკვავენ გოგონები და ბიჭუნები — სტუმრები მიზობელი ბანაკიდან და მასპინძლები, კინდელი მოხუცებიც მოსდგომიან ბანაკის ჭიშკარს, დაღლილი კოლმეურნეები სასმენელთა დასატკობად მოსულან...

იქვე ორიოდ მეტრზე კი მთელი დღის ნაჯაფ-დაღლილი ზღვა წამოწოლილა ნაპირთან და მუსიკის ჰანგებით გაბრუებული ფშვინაუს და იზმორება — ბავშვების საყვარელი მეგობარი, შავი ზღვა!

მ. ხმარბიანი.

გაუზავაპი
ხელეპი
თანდათან
ეუფლებიან
ახალ
პროფესიას.



შეკვლევა

მომთა პრაბული

მხატვარი ზ. მამბარიაშვილი.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

უფერულას ეძახიან მთაში, თუ კარგად დააკვირდებით კი, მის მჭრქალსა და გამჭვირვალე ფურცლებში იღუმალად კიაფობს ბუნების შვიდივე ფერი.

ყმაწვილობაში იმიტომ მიტაცებდა ეს ყვავილი, რომ ფრიალო კლდეებში იზრდება და ძნელი მისაგნებია. ხშირად ისეთ ქარაფებში იღერებს ყელს, რომ ფრინველის გარდა ვერცერთი ცოცხალი არსება ვერ მიეკარება.

ალბათ ამიტომ და, რა ვიცი, კიდევ რისთვის, ამ ყვავილს ზებუნებრივ ძალას ვანიჭებდი და, თუ სადმე ვიპოვიდი, მივწვდებოდი და მოვწვევებდი, მეგონა, ყველა ნატვრა ამიხდებოდა.

მამიდაჩემსაც უყვარდა ეს ყვავილი, მაგრამ მე აზრად არასოდეს მომსგლია მეკითხა, მას რატომღა უყვარდა. ოღონდ ერთი კი მიკვირდა: ამ შუახნის, სვებეღამწარებულ, თავისი უცნაური თვისებების გამო სოფელში ოთარაანთ ქვრივად მონათლულ შინაბერას, როგორ შეეძლო ყვავილების სიყვარული.

რა იყო ამაში გასაკვირი, მაგრამ მე მიკვირდა.

რაკი ყვავილები უყვარდა, მეც, თუ სადმე მოგკრეფდი, სიხარულით მიმქონდა მამიდასთან უფერულას თაიგული.

ეს ამბავიც სწორედ ამ ყვავილით დაიწყო ამ რამდენიმე წლის წინათ. თიბათვის შესანიშნავი ამინდები იღვა ჩემს სოფელში.

იმ დღეს, საღამოს, მშის ჩასვლისას დავბრუნდი შინ. მთიდან მამიდასათვის გამზადებული უფერულას თაიგული მომქონდა.

სანამ მინამდე მივიდოდი, ცოტა ხნით სოფლის საფიხვნოში თავშეყრით ბიჭებთან გავჩერდი.

— ზაზა, გერმანელი ტურისტები ამოვიდნენ! — მომახარა მეზობლის ბიჭმა.

— ხვალ ჭაუხის დასათვალთვინებ-

ლად აპირებენ ასვლას, — წამოიძახა ახლა მეორემ.

— აგერ, ჭალაში გაიხედე! — მითხრა მესამემ.

მართლაც, მდინარის პირას, მწვანე ჭალაში, კარვები იყო გაშლილი.

მთებში მიკარგულ სოფელში უცხო ხალხის გამოჩენა ყველას აინტერესებს, განსაკუთრებით — ყმაწვილებს.

— ყველანი გერმანელები კი არ არიან, — თქვა ყველაზე პატარამ, — ზოგი რუსებია.

ამ საუბარში რომ ვიყავით, სოფლის ორღობეში სამი უცხოელი გამოჩნდა.

მათ ყმაწვილებით სავსე ჩვენი საფიხვნო დაუდევარი, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით შეათვალთვინეს, ჩვენგან მოშორებით ეზოში მოკუნტრუშე ნებიერა ბოჩოლა რომ შენიშნეს, აი ამაზე კი გვარიანად გამხიარულდნენ.

ტურისტებმა გზა განაგრძეს.

ახლა რომელიღაც შუკიდან ბიჭურად ჩაცმული, თხუთმეტობივად წლის მოხდენილი გოგონა გამოჩნდა.

ღიმილით გაბადრულ სახეზე ემჩნეოდა, რომ ამ უცხო სოფელში მოხვედრით ბედნიერად გრძნობდა თავს.

ბალები უცბად გაისუსნენ, მისი უცნაური ბიჭური ჩაცმულობით შეცბუნებულები.

გოგონამ მოხდენილად დაგვიკრა თავი ყველას და დიდი ხნის ნაცნობივით გაგვიღიმა. მერე ჩემს თაიგულს ხარბი თვლით დააკვირდა და მანიშნა — გადმომიყვებო.

გზასა და საფიხვნოს ქვის ყორე ყოფდა, თან საფიხვნო ოდნავ შემალღებულად გვიღიზნებდა.

გოგონა ქვემოდას შემომყურებდა და მიცდიდა, მივცემდი თუ არა ყვავილებს.

ბალებს ბალებური აზრი მომივიდა თავში: თაიგული ტყუილად გავაქ-

ნიე, ვითომ გადასაგდებად, და გოგონამ ჰაერს მოუპოტინა ხელები.

თითქოს ამას ელოდნენ, მაგრამ მა გულიანად გადაიხარხარა.

გოგონას სითამამე აღარ ეყო, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო წამით გაოცებული მომამტერდა და სირბილით გაეკიდა წინ წასულვებს.

მივხვდი, რომ ცუდად ვიხუმრე და გული მეტკინა.

ერთი საათის შემდეგ უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ტურისტები მართლაც გერმანელი და ჩვენი რუსი სწავლულები იყვნენ. ისიც ვიცოდი, რომ ჭაუხის მიდამოების დასათვალთვინებლად აპირებდნენ ასვლას, მე კი მათი მეგზურობა არ ამცდებოდა.

ამ ამბებით ნასიამოვნები გავეშურე შინსაკენ.

ქუძუს მოწყურებული ხბო დროუნში მოულოდნელმა დარტყმამ შეაკრთო და დამტრთხალი მიაჩერდა მამიდაჩემს, რომელიც ძროხას წველიდა.

მამიდამ ეზოში შესული რომ დამინახა, ძროხის წველას თავი მიანება, რძიანი ვედრო ვგვრბზე გასწია და ჭალაში გაშლილ კარვებს გაუბღვირა.

— სადაურები არიან? — იკითხა მან ყრუ ხმით.

მე უცბად მივხვდი მამიდას აღრენის მიზეზს და განგებ მხიარულად ვუპასუხე:

— მგონი, პოლონელები არიან.

მან უნდობლად შემომხედა.

— აკი გერმანელები?!

მე გავუძელი მამიდას ეჭვიან შემოხედვას და უფრო თამამად ვიცურე:

— არა, მამიდა, პოლონელები და ჩვენი რუსები არიან.

მამიდას შუბლი ოდნავ გაეხსნა.

— მამ ის მძველე გიგუა რა ენას იხმობდა, — წაიღუღუნა მან, მერე ვედრო აიღო და შინ შევიდა.

ჩემი მიტანილი ყვავილები ამჯერად არც შეუნიშნავს, ისე ჩანდა აფორიაქებული.

წაბლამ და მისმა ხბომ დრო იხეილეთს და ერთმანეთს მიამურეს. შებინდდა.

ლამე ქვექვე მეძინა. მგონი ძილშიც ვნატრობდი, არ გაწვიმებულყო.

ირიქრაჟა თუ არა, წამოვხტი და გარეთ გამოსულმა ჭაუხს გავხედებუემბერაზი კლდის სვეტზე ჭიბდაბენილი ცა უზარმაზარ ლურჯ ქოლგას ჰგავდა.

მბრძანებელივით გადმოჰყურებდა ჭაუხი მის ირგვლივ ჯერ კიდევ ნალამივე ბურანში მთვლენარე მთებს. ჭაუხი ჩემი ბალობის სიამაყე იყო; იგი დედამიწის ზურგზე ყველა მწვერვალზე ულამაზესი, უმალესი, მიუწვდომი და უძლეველი მეგობანა.

ახლაც ვედრებასავით წამომცდა: „ჭაუხო, ჩემო ძვირფასო ჭაუხო, აბა შენ იცი, სტუმრებით მოვდივარ და დამიხვდი!“

მანაც თითქოს გამიგონა — ოქროსფერი გაკრთა მის სპეტაკ შუბლზე — დილის მზემ მიანათა.

მამიდა არსად ჩანდა.

სიფრთხილეს თავი არ სტკივავო, დამარიგა ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, მამიდას ნუ ეტყვი, რომ გერმანელებს უმეგზურებო.

ჰოდა, მეც უცბად ჩავიცვი და, სანამ მამიდა გამოჩნდებოდა, სახლიდან გავედი.

როცა მთაზე, ასასვლელად გამზადებულ ტურისტებს თავმჯდომარემ ჩემი თავი წარუდგინა, მათ შორის რომელიღაცამ დამცინავად ჩაიქირქილა.

ჭალარა რუსმა კი, რომელიც თურმე ექიმი იყო და ძია საშად გამეცნო, მხარზე ხელი მომითათუნა და ღიმილით მითხრა:

— არის, დავემორჩილო თქვენს მითითებებს და ბრძანებებს, ამხანაგო მეგზურო!

ერთი საათის შემდეგ ჩვენი სოფლის იალაღებს გავცდით და კლდის ფერღობებს შევუდექით.

თიბათვის ივლუწყვითელებისა და ტოროლების ჟრიაბულით იყო ისავე ჰაერი.

აქა-იქ ბარდნარებში შუშის ნატეხებივით ბრწყინავდა ნამდაყრილი ობობას ქსელები. ამაზე კიდევ იხუმრა რომელიღაცამ: მიწა თვალდაჭყეტილი შემოგვეყურებსო.

შუა ხანს გადაცილებული, ვაჟკაცივით გარეგნობის გერმანელი კარლი დინჯი, მოზომილი ნაბიჯებით მოწყვებოდა, მის უკან რუსი ექიმი, ჭალარა საშა მოლიოდა, შემდეგ კი — სხვები.

მე გულში ვამაყობდი, რომ ხნით ბევრად ჩემზე უფროსებს, ათამდე ქალსა და კაცს წინ მივუძღვებოდი და, თუმცა სხვა ბილიკითაც შეიძლებოდა სიარული, მაინცდამაინც ჩემს

ამორჩეულ ბილიკს რომ მოყვებოდნენ, ვფიქრობდი, რომ ამით ისინი გარდა ერთისა, ჩემს საამაყო მწვერვალსაც აფასებდნენ და შეც...

ის ერთი კი ჩემს შენიშვნებს აინუნშიაც არ ავდებდა, ციცაბო ბილიკებზე ჯიხვის თიკანივით მიკუნტრუნობდა, ქარაფებს ებლაუტებოდა, რაც მე ჭკუაში არ მიჭდებოდა, მოსვენებას მიკარგავდა და მაღიზიანებდა.

იგი გუშინ საფიხნოსთან „გაცნობილი“ გოგონა იყო.

ჩემდა ვასაოცრად გოგონას ხელში უფერულას ყვავილები შევნიშნე, როდის, ან სად მოკრიფა, არ გამიგია.

გერმანელ კარლს გავუმხილე გულისნადები:

— ძალიან ეთამამება კლდეებს ეს გოგონა, ცოტა ზემოთ მეტი სიფრთხილეა საჭირო...

— მაშ, მაშ, იოჰანა ნამდვილი ალქაჯია, — მიბასუხა მან, როგორც მომეჩვენა, ჩემი შეწუხებით ნასიამოვნებმა.

— ჩვენს მთებს არ უყვართ ასეთი თავნებობა, — ვთქვი სასხვათამორისოდ და კარლს თვალი ავარიდე.



— რაო, მთები გაბრაზდებიან თუ?
— იკითხა მან.

— არავის აპატიებენ სოლომე ხშირად ასეთ სითამამეს...

გერმანელმა ისეთი თვალთ გახედდა ცის ლაყვარელში მონებრივ ჭაუხის მწვერვალს, თითქოს ამბობდა: ამაზე უფრო ზეიადი და მიუკარები ჭაუხებიც დამიჩოქებიაო.

უფრო ზევით და ზევით მივიწვივდით.

დაბრკოლებები იზრდებოდა.

მე კი მსოლიად ერთი საფიქრალი მქონდა გაჩენილი: მეგონა, რომ გოგონა განგებ იქცეოდა ასე თამამად, რასაც შეიძლებოდა მარცხი მოპყროლოდა.

თანდათან ვკარგავდი მოთმინებას, რაც კაროს არ გამოეპარა.

მან ციცაბო კლდის ქიმზე წამოსკუბებულ გოგონასაკენ გაიხედა და თითქოს ჩემს წასაქეზებლად ჩაილაპარაკა:

— მართლაც ნამდვილი ჭინკაა!

— ეს მეტისმეტია, რამე რომ დამართოს...

— დიდი თავნება ვინმეა, არა უშავს რა, თუ ცხვირს წაიტეხს ამ ამაყ ჭაუხზე...

„მამ ასე, ეს ქერა აყლაყულა მასხრადაც მივდებს!“ — დაბოლოვდა გავიფიქრე ჩემთვის და თავით-ფეხებამდე ახლა უფრო დაკვირვებით შევთავალიერე ფერადი სათვალის წმენდით გართული გერმანელი.

ხავსისფერი ტილოს თართოჯიბებიანი შარვლი მუხლებზე აეკაბიწებინა. მზით ვარუჯულ, დაკუნთულ წვივებზე ორ-სამ ადგილას ძველი ნაჭრილობები ემჩნეოდა. ბეჭვანბერ, ახოვან ტანს მოხდენილი, ქერათმიანი თავი ოლიმპიურ იერს აძლევდა. მის ჭკვიან, ღიმილით ჩათაფლულ ლურჯ-მონაცრისფერო თვალებს რომ ჩავაკვირდი, თავი კვლავ მხარულად ვიგრძენი, აზრი ისევ შემეცვალა კარლზე.

ჭალარა სამა მგონი ხვდებოდა საქმის ასავალ-დასავალს და წამდაუწყუმ ნერვიულად ისრესდა გრძელწვერიან ნიკაპს.

კარლმა სათვალე მოირგო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— პირდაპირ საოცარია, ეს გოგონა ისე იქცევა, თითქოს ჩვენს მეგზურზე იყოს გაჯაფრებული...

— გაჯაფრებული?! — წამომცდასავით.

კარლმა ეშმაკურად გაიღიმა. მგონი წამოვწითლდი და მან ეს შეამჩნია.

კვლავ გზა განვაგრძეთ.

გადაწყვიტე აღარ მიმეხედა ო-

გონასაკენ, თუნდაც უფსკრულში ფრჩხილებით ჩაკიდებულიყო.

იგი არად ავდებდა ჩემს მეგზურობას, ციცაბო კლდეებზე ზვლიკვიით დაცოცავდა და ამით მიმტკიცებდა, რომ ჩემისთანა მეგზურს თვითონ უმეგზურებდა მთებზე სიარულში, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა.

თან ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: სად ეშმაკებში ისწავლა, ან როგორ შეეძლო ქალს კლდეებზე ასე ფხოტიალი!

სულ მცირე მანძილია გვქონდა დარჩენილი მუდმივი მყინვარების საუფლომდე.

პატარა ბორცვზე მცირე შესვენების აღროს კარლს მივმართე ყველას გასაფონად, რომ ახლა უფრო მეტი სიფრთხილე იყო საჭირო, დაუდევრობით შეიძლებოდა მარცხი ვისმეს მოსელოდა, თან იოჰანასაკენ გავიხედე.

კარლი მიმიხვდა.

— მაგაზე მე ვაგებ პასუხს, — მითხრა მან, — შენ ნუ იღარდებ.

— რამე რომ დამეძრათოს, პასუხისგება რაღას უშველის!..

იოჰანა დამცინავი ღიმილით მოგვიახლოვდა, ჯერ კარლს რაღაც გადაულაპარაკა გერმანულად, მერე მე მომიბრუნდა და მეორედ მომიწია გაწითლება, როცა დამტკრეული რუსულით მომმართა:

— ძალიან ვთხოვთ, ნუ შეზღუდავთ ამ თქვენი უფლებებრთ, პასუხისგება თქვენ არ მოუწევს, რადგან ამისთანა თოვლიან გორაკებს ბებიებიც იჩანჩალებს.

მისი ხმის დამცინავმა კილომ და შემოხედვამ დამამუხჯა.

კარლმა მკაცრად შეხედა ქალიშვილს, რაზედაც იოჰანამ ღილინით უპასუხა და გზა განაგრძო.

ამაზე კარლს და დანარჩენებსაც გაელიმათ.

ახლა კი ჩემს თავზე ნამდვილად ბრაზი მომივიდა, თავში ქვაც უხლიათ!

ჩემს განუყრელ მეგობარს — სვანი მთამსვლელების ნაჩუქარ წერაყინს დონივრად ჩავჭიდე ხელი და აღმართს შევუდექი.

კარგა მანძილი ყველამ უხმოდ გავიარეთ, გარდა იოჰანასი, რომელიც რაღაც სიმღერას ღილინებდა. ეს ღილინი ხან თითქოს სულ ახლოდან მესმოდა, ხან კი ქარი სადღაც იტაცებდა და აქრობდა მას. ამ დროს მე გულში მაინც რაღაც ჩამწყდებოდა — მეგონა, გამქრალ ღილინს პატრონიც თან გადააყოლეს.

წუთით შევისვენეთ, უფრო სწო-

რად, გერმანელი კარლი და ძია სავა შეჩერდნენ და მეც შევიცადე.

— აქედან ხელისგულზე ჩანს მთელი მიდამო, — ლმა და ლოდზე ჩამოვლა.

თითქოს ამას უცდიდნენო, სხვებმაც უცბად ჩამიუხლეს.

მე გულზე მომეშვა და სულსწრაფად ვკითხე კარლს:

— უფრო ზევით ასვლას აღარ აპირებთ?

— მგონი აღარ ღირს, — მიპასუხა მან, — ზევით ალპინისტებმა იარონ, ჩვენ კი აქედანაც კარგად ვხედავთ ყველაფერს.

მან დღურბინდი მოიმარჯვა და ირგვივ მოვარულ მთებს გახედა.

— პირდაპირ ზღაპარია, ზღაპარი! — იმეორებდა და დღურბინდის თვალს მიაყოლებდა მწვერვალებს.

დანარჩენებიც აღფრთოვანებით ათვალეირებდნენ მწვერვალთა თავყრილობას. ზოგნი კი, უფრო ჩვენი რუსები, ალბათ სპეციალობით გეოლოგები, რომელთაც მესაძლოა აღრეც ნანახი ჰქონდათ ჩვენი მთები, პატარა ჩაქუჩებით ლოდებს უყაკუნებდნენ და რომელიღაც ქვის ნიმუშებს აგროვებდნენ.

— რამდენი წლისა ამოვიდა პირველად აქ ზაზა? — იკითხა კარლმა.

— თოთხმეტისა, — ვუპასუხე.

— ახლა რამდენი წლისაა?

— თერამეტის, — წავიმატე ერთი წელი.

— ზაზა კარგი ბიჭია.

— ეგ გოგონა რამდენი წლისაა?

— ვკითხე და უცებ მივხვდი, რომ სულელურად მოვიქციე, რა ჩემი საქმე იყო.

— მგონი, თხუთმეტისა, — თქვა კარლმა.

— მთებზე უკლია? — აღარ დავიხიე უკან.

— როგორც ჩანს, უკლია...

— თქვენც?

— ცოტა, თოვლიან გორაკებზე, — კვლავ დამცინა მან.

ზემოდან დაკურებული კენჭების ხმაური და იოჰანას სიმღერა ისმოდა.

მე განგებ არ ვიხედებოდი მისკენ, თუმცა ვგრძობდი, რომ კვლავ სამინელ ციცაბო კლდეზე იქნებოდა სადმე გასული.

ბოლოს გულმა აღარ მომიტმინა და გავიხედე.

გავიხედე და ელდა მეცა: ჩვენგან მარჯვნივ, ოციოდე ნაბიჯის დაშორებით, ციცაბო კლდის იქით წისქვილის ღარივით წვრილი რუ იყო, რომლის ბოლო უფსკრულში ეშვებოდა.

რუ მუდმივი ლურჯი ყინულით იყო ამოლესილი, ზედაპირი კი

მწვერვლიდან ნაცვენი წვრილი სი-
ლით ჰქონდა წაპერანგებული.

მწვერვლებზე ასეთი რუწვრი-
ლი ადვილად ატყუებს, როგორც
გამოუცდელ მონადირეს, ასევე
ჯიხსაც.

მე მაშინ მთამსვლელისა და მონა-
დირის ვერაფერი დიდი გამოცდი-
ლება მქონდა, მაგრამ ჭაუხის იმ
ადგილებს კი ხელისგულივით ვიც-
ნობდი.

როგორც ვთქვი, ჩვენგან ამ რუ-
წვრილს შეუვალი გალავანივით აღ-
მართული პიტალო კლდე ყოფდა,
მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ქალიშ-
ვილი სულ ცოტა სამი მეტრი სი-
მაღლის შვეულად აღმართულ ცი-
ცაბოზე აბლოტებულებოდა და რუხე
გასვლას აპირებდა, რომლის იქითა
მხარეს, ბოხობისოდენა ბორცვ-
ზე უფერულას ლამაზ ყვავილებს
არწევდა ნიავი.

მივხვდი, რომ იოჰანას წარმოდ-
გენაც არა ჰქონდა ქვიშის ქვეშ მზა-
ვრულად განაბულ ყინულზე.

— არ გადახტე! — ვიყვირე მე
და იქვე მიყუდებული წერაყინი რა-
ტომლაც ხელში ავიტაცე, თითქოს
ვემუქრებოდი.

იგი, ამაყად ყელადერილი, გაო-
ცებით მომაშტერდა. მერე, ჩემი
უზომო შემფოთება რომ შეამჩნია,
ბავშვური სიხარულით გაგებარა სა-

ხე და გულიანად გადაიკისკისა.

მისი კისკისი კლდეთა ექომ რამ-
დენჯერმე გაიმეორა. მე ტანში ყრუ-
ანტელმა დამიარა.

კარლი და დანარჩენი ტურისტები
გაოცებული გვიყურებდნენ ხან
მე, ხან ზემოთ კლდის ფხაზე ნა-
დირთ მწყემს დალივით ამაყად შემ-
დგარ ქალიშვილს, ვერ მიმხვდარ-
იყვნენ, რა საფრთხე ელოდა მას.

ეს ყველაფერი სწრაფად, სულ
რამდენიმე წამში მოხდა.

იოჰანა მუხლებში ჩაიხნიქა და,
როცა გადასახტომად აიწია, მე
კვლავ გიჟივით ვიბღავლე:

— იოჰანა!..

უკვე გვიანი იყო, ჩემმა ხმამ იგი
ველარ შეაჩერა, ან — არ ისურვა
შეჩერება.

დახტომა და მოცურება ერთი იყო.

გოგონა კივილით დაეშვა უფსკ-
რულისაკენ, უკან სილის ზევემცუ-
რიელა გამოყვა.

არ ვიცი, რამდენი ნახტომით გავ-
ჩნდი ზედ უფსკრულის თავზე. მთე-
ლი ძალით დაქანებული წერაყინი
ბედზე ქვასა და ყინულს შორის გა-
ჩენილ ნაპრალში ჩაესო ბუნეკით და
მის ტარზე შემოვბზრიადრით ორი-
ვენი, რაღაც სასწაულით გადაჩე-
ნილნი უფსკრულში გადაჩეხვას.

წამიც და, გონს მოსული ტურის-
ტები მოგვეშველნენ.



დეკასავით გაფითრებულმა კარლ-
მა სხვეებს აღარ დაანება ჩვენი თავი,
ბალღებვით ილიებში ამოჩრილე-
ბი გაგვიყვანა ორივენი სამშვიდო-
ბოს და ვაკე ადგილზე დაგვსვა.

ახლა ვიგობენი ფეხში საშინელი
წვა და ჩავიკეცე. ტურისტები და-
ფაცურდნენ. იოჰანა ვილას ახსოვდა,
ფეხზე გამხადეს, შარვლის ტოტი ამი-
კეცეს. დაცემის დროს ბასრ ქვას
ჩემთვის წვივის კუნთი გაეფატრა.

ძია საშამ გულმოდგინედ გასინჯა
ჩემი ჭრილობა. ღრმად, მაგრამ სა-
შიში არააო, თქვა. მერე სპირტით
მოძბანა, იოდი წამისვა და დოლ-
ბანდით შემიხვია. შემდეგ თეთრი
ხელები, რომლებზეც ჩემი სისხლის
ლაქები ჯერ კიდევ ემჩნეოდა, ლო-
ყაზე მომიფათურა, თვალბეში დი-
მილით ჩამხედა და ალერსიანი ხმით
ჩამჩურჩულა:

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭო, ასე უნდა!..
მე ჩემს მუხლთან ჩატუცქულ იო-
ჰანას შევხედე.

მან თვალი ამარიდა.

სიარული გამიჭირდა, ტურისტე-
ბმა ხელში აყვანილი ჩამომიყვანეს
სოფლამდე.

მამიდაჩემი შინ არ დაგვხვდრია.
მეზობლებმა უცბად გაიგეს ჩემი
ვაჟკაცობის ამბავი. შემაქეს და,
როცა დარწმუნდნენ, რომ ჭრილობა
საშიში არ იყო, ნელ-ნელა წავიდ-
წამოვიდნენ.


მოსალამოვდა.

გერმანელი კარლი, ჩვენი სოფლის
მეველე გიგუა და რამდენიმე ბიჭი
ისევ ჩემთან იყვნენ.

კარლი, ვინ იცის მერამდენედ
უყვებოდა მეველეს ჩემი თავგანწი-
რვის ამბავს.

სანამ დაწვრილებით არ გაიგო
გიგუამ ყველაფერი, არ მოისვენა,
რომ მერე სოფელში სალაქლაქო





ლოდ მაშინ გავიდა ოთახიდან სოფლის თავკაცი.

გასჩენოდა, თან ბალღებსაც უთარგმნიდა გერმანელის რუსულად მონაყოლს.

ბიჭები აღტაცებით შემომყურებდნენ.

ეზოდან მამიდის ხმა შემოგვესმა უნად გაკრეფილმა გიგუამ ხმა ჩაიკმინდა და კუთხეში მიიყუყუა.

ბიჭებიდან ყველაზე პატარები კარისკენ წაბანცალდნენ.

ოთახში მამიდა შემოვიდა.

ლოგინზე მწოლარე რომ დამინახა, ჯერ გაშტერდა, მერე გაუბედავად მომიახლოვდა და ჩემს საწოლთან ჩაიჩოქა.

— ზაზუ, რა უბედურებაა ჩემ თავს? — იკითხა მთრთოლვარე ხმით და ხელი ხელზე დამადო.

— არაფერი, მამიდ, ქვაზე ფეხი გავიკაწრე...

— ხი,-ხი, — ჩაიფრუტუნა კუთხეში მიკუნტულმა გიგუამ და საკუთარი ფრუტუნით დამფრთხალმა პირზე ხელი აიფარა.

დაბნეული მამიდა ახლდა დააკვირდა იქ მყოფი.

კარლმა უნებურად დამნაშავესავით შეხედა მამიდას.

მეველე კი ფამფარა ბობოხის ქვემიდან ეშმაკურად იჭყიტებოდა.

ბალღებს მგლოვიარესავით ჩამოეყარათ ყურები და იატაკს მიშტერებოდნენ რალაც საშინელის მოლოდინში.

მამიდამ მზერა გერმანელზე შეაჩერა.

— ეს ვილაა, რა უნდა ჩვენსა? — თითქოს თავისთვის იკითხა.

— მოსკოველი რუსია, მამიდა, — ვთქვი მე.

— ჰიტ, რუსი კი არა, გერმანელია! — წამოიძახა სიმართლის გამხელით წათამამებულმა გიგუამ.

— რაიო?! — წამოიწია გაცივბულმა მამიდამ და გიგუასაკენ გადადგა ნაბიჯი.

— შენ გონი ხომ არ წაგართვა წმინდა გიორგიმ, გერმანელს ჩემს სახლში რა უნდა, რას ამბობ?!..

— მე მართალი ვითხარი და გინდა დაიჯერე, გინდა არა! — გაწყრა გიგუა.

მამიდამ ჯერ გერმანელს შეანათა ახანალებული თავლები, მერე ისევ მე მომიბრუნდა:

— ზაზა, მართალს ამბობს გიგუა? მე ენა დამება.

კარლი უხერხულად შეიწმუშნა, რალაც იგუმანა, ადგა, დილით გინახულებო, მითხრა, მისკენ ზურგშექცეულ მამიდას თავი დაუქრა და ოთახიდან გავიდა.

დამფრთხალი ბალღებიც მას გაჰყვნენ.

კუნტულში მიმალულმა მეველემ ნაძალადევად ჩაახველა, რომ რეტდასხმული მამიდის ყურადღება მიექცია.

ასეც მოხდა.

ჩემს სიმართლეში დაეჭვებულმა მამიდამ მეველეს ყველაფერი ჩამოაყაჭვინა.

— აკრემც მიწა ჩაუბრუნდება ფეხქვეშ! — აწყვეტინებდა დროდადრო ქადაგად დავარდნილ გიგუას. — აქ რისთვის მოშავდნენ ეგ გასაწყვეტლები, ეგ სისხლისმსმელები, ეგ ცოდვიანები!..

მამიდას ხმა ორობებმდე აღწევდა და მე ფანჯრიდან ვამჩნევდი, მეზობლები ამ ხმის ვაგონებაზე როგორ ისუსებოდნენ და ნაბიჯს აჩქარებდნენ.

შელამებული იყო, როცა ოთახში კოლმეტურნეობის თავმჯდომარე შემოვიდა.

მამიდამ წუთით იყუჩა, შემოსულს თავახიანად შეეგება და სკამი შესთავაზა.

— ჩვენი სტუმრები ძალიან გაქებენ, — მითხრა თავმჯდომარემ დიმილით. — ყოჩად, ზაზა, სიკვდილისათვის ხელიდან გამოგიტაცებია ის გოგონა!

— სიკვდილი მაგათ და მიწის ჩაბრუნება! — ისევ იფეთქა მამიდამ. — რა გვმართებს მაგათთვის თავგასაწირავი, ადამიანო, რა?!..

თავმჯდომარე შეცბუნდა: მიხვდა, რომ მამიდამ ტურისტების სადაურობა უკვე იცოდა. თავლებით მე შემეკითხა. მე მეველეს გავუბღვირენიწამხდარი გიგუა გაიძუტრწა.

მამიდა ბობოქრობდა.

— ი მოსკოვში მისწერე, კაცო, — ეუბნებოდა იგი თავმჯდომარეს, — მისწერე, რომ ამ სისხლისმსმელებს ჩვენს მიწაზე ხელი არა აქვთ, მეგელი მგლობს არ მოიშლის, ესეც მისწერე!..

— ეგენი ჩვენი მეგობრები არიან, — სცადა თავმჯდომარემ მამიდას დამშვიდება, — უღანაშაულონი, არავისთან ბრალი არ მიუძღვით მაგათ... — დიდება შენდა, მამაზეციერო! — გაიოცა მამიდამ. — მაკვირვებ, მაგას რომ მეუბნები. მაგათი მიწაწყლიდან არ გამოიგრაგნა სიკვდილის გველუშაბი, ადამიანო?! მაგათგან არ გამომავდა წუთისოფელი?! კიდევ ჩემ სახლში უნდა მოძვრებოდნენ ეგ მზედასაბნელებლები?!..

ამაოდ სცადა მამიდას დაწყნარება თავმჯდომარემ.

როდესაც მამიდამ გულის ბოღმა მოიკლა და ოდნავ დამშვიდდა, მხო-

ვახმაზე მამიდას ხმა არ გაუცია ჩემთვის. უწადინოდ ილოდნებოდა, თან თვალი ჩემი შეხვეულ ფეხისთვის მიეშტერებინა.

ვერც მე გავბედე მამიდასთვის ხმის გაცემა. ვატყობდი, ჩემი დატუქსეა უნდოდა, მაგრამ გულს მორია და არაფერი მითხრა.

სუფრის ალაგების შემდეგ რამდენიმე წუთის ისევ საწოლთან მეჯდა, მერე წყნარად ადგა, საბანი შემისწორა და მეზობელ ოთახში გავიდა.

ოდნავ ღიად დაჩრჩინილი კარიდან თვალს ვადევნებდი.

მამიდა ძველ სკივრს მიუჯდა, სახურავი ახალა და ხელის ფათურით მოძებნა პატარა ბოხჩა. ბოხჩიდან ორი პატარა, გაყვითლებული სურათი ამოიღო და მუხლებზე დაიდო.

კარგა ხანს უხმოდ დაჰყურებდა ფრონტიდან გამოგზავნილ მამაჩემისა და თავისი საქმროს სურათებს, წამწყამებზე ცრემლის მიძივები ეკიდებოდა და უჭრებოდა, თავშლის ბოლოს წამდალწუშმ ისვამდა რაწვეებზე.

სოფელში ყველამ იცოდა მამიდაჩემის დაუსრულებელი გლოვა-მწუხარების ამბავი, მაგრამ აღარავის თითქოს არც აწუხებდა და არც აოცებდა. ჩუმჩუმად ამბობდნენ: ჩვეულებად თუ ავადმყოფობად გადაექცა გაუთავებელი ოხვრა და ცრემლის ღვრა ამ ქალსო; ომმა ვინ არ დაამწუხრა, მაგრამ ამდენი ხნის ვასკლის შემდეგ ყველას ასე თუ ისე მოუშუშდა იარები, დრომ ყველას გულისტკივილს უმკურნალაო.

... დედაჩემი ჩემს დაბადებას გადაყვა თურმე, როცა მამა სამშობლოს იცავდა; სახლში მამიდას ანაბარა დავრჩი. როცა მამიდას ფრონტიდან ჯერ მამაჩემის, ზოლო შემდეგ საქმროს დაღუპვის ამბავიც მოუვიდა, სიცოცხლით საფსე, ლამაზი ქალიშვილი ძაძით შეიმოსა და თავისი ყმაწვილქალობა ჩემს მოვლა-აღზრდას შეაღია.

მე ვიყავი მამიდასთვის ნამცეცა ნუგეშო.

თითქმის გარიჟრაჟზე ჩაძინებულს გვიან გამეღვიძა.

ლოგინში წამოვჯექი და ფანჯარაში გავიხედე.

ეზოში მამიდა შემოვიდა. შუა ეზოში შეჩერდა, უკან გამ-

გელეხული თვალით მიხედა ვილა-
ცას და გამოჩქარებული დერეფან-
ში შემოვიარდა.

ორღობიდან ჯერ ფეხის ხმა გავი-
გონე, შემდეგ გერმანელი კარლი გა-
მოჩნდა.

რატომღაც გული მეტკინა, მარ-
ტოკა რომ დავინახე, მაგრამ მერე
შევნიშნე მოშორებით შარაზე გა-
ჩერებული ტურისტები.

კარლი გაუბედავად მოდიოდა,
თან მავედრებელი თვალები მამიდა-
სკენ ეჭირა.

მამიდამ კარი მიაჯახუნა და გა-
დაკეტა.

მე შემრცხვა მამიდას მოქმედება
და ფანჯარას მოვცილდი, გერმანელს
რომ არ დავენახე.

მალე წინაკარზე მორიდებული კა-
კუნი გაისმა.

მამიდა კარს უკან იდგა გაქვავე-
ბული.

კაკუნი განმეორდა, მაგრამ კარი
კვლავ არავინ გააღო.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

გულმა აღარ მომითმინა და ფანჯ-
რიდან კვლავ ეზოში გავიჭყიტე.

უკან გაბრუნებულმა გერმანელმა
ნაძალადევი ღიმილით მოხედა და-
ხშულ კარს და მოშვებული ნაბიჯე-
ბით გავიდა ეზოდან.

გული სირცხვილისა თუ სიბრა-
ლულის უცნაურმა გრძობამ შემი-
კუმშა.

კარლმა თავჩაქინდრულმა ჩაუარა
ტურისტებს, რომლებმაც ფეხი რა-
ტომღაც ძალიან მოკრძალებულად
დაუთმეს და მერე უკან გაყვეს.

მე თავი ბალირში ჩავრგე.

მამიდა ოთახში შემოვიდა.

არ გავნძრეულვარ, თავი მოვიმძი-
ნარე.

მან ფეხაკრეფით ჩაუარა ჩემს სა-
წოლს და ფანჯრიდან ეზოს გახედა.

— ეგრე გინდა, მიწის დასაშლე-
ლო! — ჩაიჩურჩულა მამიდამ, —
სისხლისმსმელი!..

მე „გავიღვიძე“.

მამიდა შემობრუნდა.

— როგორა ხარ, მამიდაისო?..

— კარგად, მამიდა, — ეუპასუხე
დაუდევრად.

— რა უბედურებას გადარჩენილ-
ხარ, მთელი სოფელი შენზე ლაპა-
რაკობს, რაზე, ვისი გულისთვის?!

— ისეთი არაფერი ყოფილა, —
გაღიმება ვცადე.

— ახლა კიდევ აქეთ მოეთრეოდა
ეგ მიწის ჩასახვევი, — თქვა თავი-
სთვის მამიდამ.

— ვინა, მამიდა? — ვითომ გავი-
კვირვე.

— ვინა და ის აყლაყულა გერმა-



ნელი. კარი გადავურაზე. მამა ყოფი-
ლა იმ ქალისა...

— მამა?! — გაფშტერდი მე.

— ჰო, მამა.

უფრო საშინლად მეცეცხლა მამი-
დასაგან გერმანელის გაწბილება.

— სირცხვილია, მამიდა, კარი რო-
გორ დაუკეტე?!

— სირცხვილიო! — გაწყრა მა-
მიდა, — თუ სირცხვილია, ჩემი სი-
რცხვილი იყოს, — და კედელზე ნა-
კიდებ ხანჯალს ახედა, — შინ რომ
შემოსულიყო...

— რას ამბობ, მამიდა, სოფელი
რას იტყუოდა!

— სოფელმა ჩემს გულში ჩამაი-
ხედოს და მერე თქვას სათქმელი!

ლოგინში წამომჯდარი, გამტერე-
ბული შევყურებდი მამიდას, ასე გა-
მწარებელი არასოდეს მენახა.

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ტური-
სტებს უკვე გაგებული ექნებოდათ
მამიდას ასეთი მოქმედების მიზეზი,
მაგრამ მაინც ისე შეჩვენებოდა, თი-
თქოს ჩემს ჩადენილ სიკეთეს ვაყ-
ვედრიდით უცხოელ სტუმრებს და
ეს მიწვავდა გულს.

ამ ფიქრში ვიყავი, რომ მამიდამ
უცხად ყრუდ წამოიკენესა და კა-
რისკენ გაენთო.

გაოცებულს ეზოსკენ გამექეცა
თვალი და გული ელდამ შემიკუმ-
შა: მკერდზე უფერულას თაიგულ-
მიხუტებული იოჰანა თვალდაცეცე-
ბული და დაძაბული შოაბიჯებდა
ჩვენი კარისაკენ.

მამიდამ, ჩემდა გასაოცრად, კარი
კი არ გადაკეტა, პირიქით, ყუნწამდე
გააღო ხეტებით, შუა კარში ჩაღ-
და გაშვებული და მისკენ მომავალ
ქალიშვილს თვალები მიახანჯლა.

ენაჩავარდნილი და გაქვავებული
შევეყურებდი კარებში ავანსაგით გა-
დასახტომად ცამზადებულ მამიდას
და მისკენ მომავალ გერმანელ გო-
გონას, რომელიც შიშითა თუ გო-
ცებით უზომოდ გაფართოვებულ
თვალებს არ აშორებდა მამიდაჩემს.

— ჩემი სახლის ზღურბლს ფეხი
არ გადმოადგა, თორემ, ძმის სულს
ვვიცავ...

მამიდამ ეს სიტყვები კბილებში
გამოსცრა და შევნიშნე, რომ მის
ხმას უცნაური თრთოლვა შეეპარა,



საქობა საქობა საქობა

რაც ავის მომასწავებლად ვიგუჟიანე. გოგონამ თუმცა ნაბიჯი შეანელა, მაგრამ მამიდას მკაცრი იერის დანახვაზე სიმსხვევე მოიკრინა და ჭიქურ გაუჩქურდა წინ.

— გამატარეთ! — თქვა მან ვაზარული ხმით.

— არა! — ძლივს გავიგონე მამიდას ხმა და მივიხვდი, რომ მას ბრაზი ახრჩობდა.

ის იყო უნდა შემებლავლა მამიდასთვის, რაიმე საშინელება არ ჩადინა, რომ ყველა გაისმა ქალიშვილის ხმა, თუმცა ბზარშერეული, მაგრამ მბრძანებლური, თავის სიმართლესა და უდანაშაულობაში ღრმად დაწმენებული ბავშვის ხმა:

— თქვენ არა ხართ სწორი... მე არაფერში დამნაშავე არ ვარ, არა... არა!...

ვიცოდი, მამიდა რატომაც იქცეოდა ასე, მაგრამ მამინ ვერაფრით ამეხსნა ვერმანელი გოგონას შეუპოვრობა, უცნაური ყინი — გაეტეხა მამიდას წინააღმდეგობა და შემოსულიყო.

გამოთავყანებული შევყურებდი მათ.

მამიდა, ბრაზით თუ უხერხულობით დამუხრებელი, ალმაცერად უმხერდა „მოსისხლეს“. მან კი მოკანკალე ხელი წყნარად შეახო კარის ჩარჩოზე გაბრჯენილ მამიდას ხელს.

მამიდა გველნაკენივით შეტოვდა. — გამატარეთ! — უკვე ნერწყვის ყლაპვით ამოიჩურჩულა იოჰანამ.

მოსდა საოცრება: როგორც მთაში იტყვიან. „ჭერვ-ობლური“, შრომი-საგან დაკოჭრებულ-დაშაშრული, ეკალ-ბარდისაგან დაკაწრული, გამხდარი ხელი მამიდას კარის ჩარჩოს მოაცილა, უკან ბარბაცით გაიწია და „მოსისხლეს“ გზა დაუთმო.

იოჰანა ოთანში შემოვიდა, თუმცა მისი გულისყური ისევ მამიდასკენ იყო მიჰყობილი.

თავის დაკვრით მომესალმა.

სალამზე დაბნეულად ვუპასუხე და სკამისაკენ გავიწვდინე ხელი.

გოგონა სკამთან ახლოს მიდგა, მაგრამ არ დამჭდარა.

მე მამიდას გავხედე.

იგი ზურგით კედელს მიყრდნობოდა, თავი უკან გადაეგდო და ცრემლჩაფუბებული თვალებით უცნაურად ვაოცებული თუ შემინებული უყურებდა სკამთან უხერხულად გაჩერებულ გოგონას.

— თქვენ ჩემთან დამნაშავე ხართ! — შემაკრთო იოჰანას ხმამ.

გოგონა მე არ მიყურებდა, ყვავილის ფურცელს თითებში სრესდა.

— ყველაფერი თქვენი ბრალია,

მთაზე რაც მოხდა... ესეც თქვენი ბრალია, — თქვა მან და ხვალთ ჩემს ფეხზე მიმანინა.

მე პირი დავადე.

მას უფერულას თაიფული ისეთ-ნაირად ეჭირა, თითქოს ხელსა სწვავდა, უნდოდა მოეშორებინა და ვერ ახერხებდა.

— თუ ასე ძალიან გიყვართ ეს ყვავილები, ინებეთ! — საყვედურით საცხე თვალებით შემომხედდა და თაიფული უხერხულად მომაჩერა.

მე მხსნელის მძებნელი თვალით გავხედე მამიდას.

— მტერიც დაბადებს თურმე ლამაზ შვილს! — თქვა მამიდას წყნარად, მერე ჩემს ზემოთ კედელზე დაკიდებულ მზავრშიამოვლებულ მამაჩემის სურათს ისეთი თვალით შეხედა, თითქოს პატიებას სთხოვდა თავის სიტყვებისათვის.

გოგონამ ჯერ სურათს შეხედა, დააკვირდა, მერე მამიდასაკენ შებრუნდა, გაფითრებული ბაგე კბილით დაიჭირა და მისკენ წავიდა გაუბედავად, ახლა კი ნამდვილად გაუბედავად...

მამიდა სადღაც ვარეთ, სივრცეს ვაჰყურებდა, ცრემლის მძივები მოუგოვრავდა ლაწვებზე.

იოჰანა მამიდას მიუახლოვდა.

მან თავი მოაბრუნა და ქალიშვილს შეხედა.

გოგონამ სახეზე ჩამოაგრილი ქერა თმა ხელით უკან გადაიწია, ცერებზე ამალდა და მამიდას ოდნავ შეახო ბაგე ცრემლიან ლაწვებზე.

მერე სწრაფად შებრუნდა, კარიდან ერთხელ კიდევ მწყრალად გამომხედა, ზღურბლს გადააბიჯა და ეზოდან სირბილით გავარდა.

რისი იყო ეს ამბორი, მადლობის, თანაგრძნობის, პატიების, თხოვნის, თუ კიდევ სხვა რამის, მე ახლაც არ ვიცი.

მამიდასთვის კი, ალბათ, ყველაფერი ძალიანაც გასაგები იყო: მის სახეზე არც ვაოცება, არც აღელვება და არც სისხარული არ აღბეჭდილა, თითქოს ვიდაცამ კუთვნილი ვალი გადაუხდალო.

— მაპატიე, მამიდა, — ავლულ-ლულდი გულაჩუყებული, — ყველაფერი ჩემი ბრალია... ყველაფერი ხომ ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა...

მამიდას გამხდარი ხელი გულზე მიიდო.

— აქ რომ ისევ ტკივილია, ზაზა, ტკივილი... ტკივილი... — წამოიძახა მან და ცრემლები ლაპალუბით წამოუვიდა.

გარეთ თიბათვის მზე იდგა და სიწყნარე იყო.

წითელკვალმადიებელთა მუშაობა მეტად რთული და სინტერესოა. სწორედ მათი დაუღალავი გარჯის შედეგად გაცოცხლდა დიდი სამამულო ომის ბევრი მივიწყებული მამაცი საბჭოთა მეომრის საგმირო საქმე. ბევრ უსახელო ჯარისკაცს დაუბრუნდა სახელი, ათეული წლების შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ომგადასდელი მეგობრები...

ჯერ კიდევ 1974 წლის სექტემბერში თბილისის 133-ე საშუალო სკოლის კვალმადიებლებმა საქართველოს დედაქალაქის ყველა პიონერსა და მოსწავლეს მიმართეს მოწოდებით, აქტიურად ჩამოულიყვნენ საბრძოლო-პატიოტულ მუშაობაში, გაეშალათ ძიება მცირემიწვლებს, მე-18 არმიის ვეტერანების მისაკვლევად (არმიას სარდლობდა საბჭოთა კავშირის გმირი კონსტანტინე ლესელიძე, პოლიტგანყოფილების უფროსი იყო ლ. ი. ბრეჟნევი) და დირსეულად შეხვედროდნენ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებულ დღესასწაულს.

1975 წელს საზაფხულო არდადეგებზე წითელკვალმადიებელთა რაზმი მცირე მიწას ესტუმრა ნოვოროსისკში. 1975 წ. ოქტომბერში გამარჯვების პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მოეწყო შეხვედრა 56-ე არმიის ვეტერანებთან. მე-18 და 56-ე არმიები ხომ გვერდიგვერდ იბრძოდნენ კავკასიის განთავისუფლებისათვის.

მე-18 არმიის ვეტერანთა სექციის წევრები ხშირი ტკუპრები არიან თბილისის 133-ე საშუალო სკოლისა.

მინდა გიამბოთ ამ სკოლის ერთ-ერთ აქტიურ კვალმადიებელზე მაია ლუტიძეზე. მაია 13 წლისაა, მან მიაგნო ბევრ მცირემიწვლს, დაამყარა კავშირი მათ ოჯახებთან, მიიღო ბევრი ფოტოსურათი, წიგნი, წერილი, სადაც საბრძოლო ბიოგრაფიები და ეპიზოდები აღწერილი. წერილები სასვე გულთბილი მადლობით ყოფილი ფრონტელებისადმი დიდი ყურადღების გამო.

მისი ძიებები ინტერნაციონალური ხასიათისაა.

მაია ლუტიძე მე-4 მუსიკალურ სკოლაშიც სწავლობს, ხშირად გამოდის კონცერტებზე, როგორც კამერულ, ისე სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად. იგი წარგზავნილი იყო ქ. ერევანში, სადაც სადღესასწაულო საღამოზე შეასრულა შიპენისა და ჰაინდის ნაწარმოებები.



მაია ლუტიკიძე

ყოფილ, მანია!

მის მოსასმენად მოვიდნენ ყოფილი მცირემიწელები, რომლებიც მანვე მონახა, ამ კონცერტზე კი პირადად გაიცნო. ესენი არიან: ჟურნალისტი გ. სარქისიანი, აბოვიანის სახ. ინსტიტუტის ლექტორი, პროფესორი თ. პეტროსიანი, ექიმი მ. ალუმიანი და სომხეთის სსრესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს თანამშრომელი ჯ. ბაღდასარიანი. ვეტერანებმა გულთბილად მიიღეს სტუმარი მოძვე რესპუბლიკიდან, მასთან ერთად სურათი გადაიღეს, 1975 წლის აპრილს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში სიამოვნებით უსმენდნენ მაიას გამოსვლას.

ამ მუშაობამ შეახვედრა მაია ხელოვნების მოღვაწეებთან, რომლებიც იბრძოდნენ მცირე მიწაზე — ესენი არიან საქართველოს სსრესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ა. ჟღენტე, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი გ. გორჩიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კარელიდიანი ს. კასპი, აზერბაიჯანის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. რისმანი და სხვანი.

ძოლო დიდების“ მუზეუმისათვის მოაწყო სპეციალური სტენდი — „მუზები არ დუმან“. მისი წინადადება მოიწონეს სკოლის დირექტორმა ვ. ელიაძემ, უფროსმა პიონერხელმძღვანელმა პ. ბახუტაშვილმა.

განუზომელი იყო ხელოვნების ძალა ომის პერიოდში. ხელოვნების მოღვაწეები თავიანთი გამოსვლებით ამხნევებდნენ. ძალას ჰმატებდნენ, შთააგონებდნენ, რაზმავდნენ მებრძოლებს ახალი გმირობისათვის.

მაიამ შეაგროვა ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ვასაძის, აკაკი ხორავას, ივანე კოზლოვსკის, ოთარ თაქთაქიშვილის, ელენე გოგოლევას, სერგო ზაქარიაძის, ირაკლი აბაშიძის, მიხეილ შოლოხოვის ფოტოსურათები ავტოგრაფებითა და სამახსოვრო წარწერებით, რომლებშიც წითელკვალმადიებლებისადმი კეთილი სურვილებია გამოთქმული.

1975 წლის სექტემბერში მაიამ წერილი გაუზავნა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, სსრ კავშირის მარშალს ა. გრეჩკოს და მოუთხრო იმ დიდ და საინტერესო მუშაობაზე, რომელსაც ეწევიან წითელკვალმადიებლები დიდი სამამულო ომის წლებში კავკასიის დაცვისათვის მებრძოლ უცნობ გმირთა სახელების დასადგენად. ბედნიერი დღე იყო მაიასათვის, როდესაც მან მიიღო პასუხი. საბჭოთა კავშირის მარშალმა მოიწონა წითელკვალმადიებელთა მუშაობა და სკოლის მუზეუმს სახსოვრად გაუზავნა თავისი წიგნი „ბრძოლა კავკასიისათვის“ ავტოგრაფით.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ს. გორშკოვი ქების წერილით გამოემხურა მცირე მიწაზე გმირული ბრძოლების მონაწილეთა მოძიების კეთილშობილურ საქმეს, მან მაიას და მის მეგობრებს უსურვა წარმატებები სწავლაში, შრომაში, საბრძოლო-პატრიოტულ მუშაობაში და აჩუქა ფოტოსურათი.

შეაარაღებული ძალების 58-ე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, გენერალ-ლეიტენანტმა, წიგნის — „მცირე მიწაზე“ ავტორმა ი. შიანმა, რომელიც დიდ სამამულო ომში მცირე მიწაზე ზურგს ხელმძღვანელობდა, მაიას წერილი და ფოტოსურათი გამოუგზავნა.

კოსმონავტმა ვ. კუბასოვმა წითელკვალმადიებლებს და მაიას ფოტოსურათი უძღვნა, უსურვა მათ კოსმოსური ჯანმრთელობა, წარმატებები სწავლაში, შრომასა და მუსიკაში.

ქ. როსტოვიდან მიხეილ კალინინის სახელობის ტამანის, სუფოროვის ორდენის კავალერ, წითელდროშოვანი მოტომსროლელი გვარდიული დივიზიის ვიქტორანთა საბოჭოსაგან კვალმადიებლებმა მიიღეს გულთბილი წერილი, სიგელი და

სამკერდე ნიშანი „56-ე არმიის ვეტერანთა ნორჩი მეგობარი“.

მე-18 არმიის ვეტერანი ავთანდილ გაბელია ქ. ფოთიდან სწერს მაიას: „ჩემო პატარა მაია, მივიღე თქვენი წერილი და ძალიან გავიხარე. წავიკითხე რამდენიმეჯერ და თვალები ცრემლით ამევსო. თქვენს წერილს შევინახავ, სანამ ცოცხალი ვიქნები“. შემდეგ წერილში მოთხრობილია მისი ავტორის საბრძოლო ბიოგრაფია.

თბილისის პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, მცირემიწეული არტემ აზიროვი ბავშვებს სწერს: „საყვარელო ბავშვებო! დიდი მადლობა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ყოფილი ფრონტელებისადმი ასეთი ყურადღებისათვის. ჩვენ გვახარებს, რომ ჩვენი ბავშვები და მთელი ახალგაზრდობა მშობლების ნაკვალავზე მიდიან, სწავლობენ შრომას, მამაცობას, თავგანწირვას. განსაკუთრებით გვახარებს, რომ ამოუწურავ ცნობისმოყვარეობას ამაღლებით თქვენი ხალხის ისტორიული წარსულისადმი, მარცვალ-მარცვალ აგროვებით მასალებს დიდი სამამულო ომის შესახებ — მოგონებებს, დოკუმენტებს, ფოტოსურათებს, რომლებიც ახალ ბეჭდარად იწერება სამშობლოს ცეცხლოვან მატეიანეში. ნება მომეცით სულითა და გულით მადლობა გითხრათ ამ კეთილშობილური შრომისათვის და გისურვოთ ახალი წარმატებები“.

ომის ვეტერანმა, წიგნის „ლეგენდის“ ავტორმა, გახეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა მიხეილ დავითაშვილმა მაია ლუტიკიძეს უძღვნა თავისი წიგნი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე. 133-ე საშუალო სკოლის წითელკვალმადიებელთა რაზმს: „ჩემო ძვირფასებო! თქვენ ახალგაზრდები, ძლიერები, დარწმუნებულები ხართ ნათელ მომავალში — ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქენი ხართ და დღეს, როდესაც ჩვენ ვზეიმობთ ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავს, მთელი გულით მოგესალმებით თქვენ, ჩვენი მომავლის მშენებლებს. თქვენს ახალგაზრდობაზე, ნიჭზე და ძლიერებაზე დამოკიდებული ჩვენი ხვალისდღეი დღე! საყვარელო მაია, დიდ წარმატებებს და ბედნიერებას გისურვებთ“.

კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი: „ვუსურვებ პიონერებს იყვნენ ჩვენი სამშობლოს მოვლენათა ცენტრში, რომ დროის მსვლელობასთან ერთად მზად იყვნენ მისი გაუმჯობესებისათვის. ვიხსენებ რა იმ ბედნიერ წლებს, როცა პიონერი ვიყავი, გულით ვუსურვებ კვა-

ქონაუნი

«თავთმანი 60 წლის წელს»



პ ე ე ე ნ ე მ ე ე ე

ერთი ციკენა ღრუბლის დოილს ადარ მიანს არსად ვარეთ. ისე ცხელა, ისე ცხელა — სუნთქვა უტირს არეგარეს.

დარდოსანან იწის გულს, რა მცხუნვარე მზის ჩქერია, შრომალოვით მიწის წყურვილს მე მწყუროდს მიჩჩვინია.

შაბაძაძე უჩაძინიძის, ქ. სტალინის მე-2 მ. წლიანი სკოლა, V კლასი.

ღ ე ღ ე ს

როცა მადარა გამოვრჩია, მაშინ ვიგრძნო მე თვალზე ყრუობი; მაღლ დადგება სკანდინავია და შევირთვარა ირბოვით წელი.

პირთის გამწვევი შენი შეიღებო ვიწმებით უფრო უკეთესები; რაიმე დავიფასოთ ამავე დიდი და გაბოზდეთ სამშობლოს ძვირფასს.

მაგრამ, დღევით, შენ წლებს არ იმჩნევ, მზიარულად და გვევალვსები.

დღეობს სიყვარული დიდი ვისკარო, ასე ლამაზად გვიანოდ დიდხანს.

ლალა ზაძიანი, დუშეთის ჩაიონის, კომპოზიტის სახელი სკოლა, VII კლასი.



გენაელო, ღაგვიჩხარაო!

ვრცელ სამშობლოს იფაცვავებთ, მთა-ბარს ავამღერებთ; ჩვენ მომავლის გმირები ვართ, გწამდით, დავივარებთ!


ღვინე ღრთისუცხი მერცხლები ვართ, ღრთებს ვისწორებთ ჩერეთ; ჩვენც ხალხისთვის ვავარჯებთ, გწამდით, დავივარებთ!

ეს ნორჩების პირობაა, სიტყვის ვაშლით მტკიცეს და რომ სიტყვის არ ვავტეხავთ, — საქმით დავამტკიცებთ.

მათო ჯანაშია, აჭაბუღის სახელი სკოლა, VIII კლასი.



პაპია მინაია, ხაშვილის ჩაიონის სკოლა, VIII კლასი.
მინი ბაგდასა მინაია, რაიონული მინაიანი.



ბაღდაძის
მალაზი
მინაია,
სულს
ჩაიონის
სკოლის
სკოლა,
VIII
კლასი.
სახელი
ლალა



ს ზ ი მ ა ნ ე

აქ, სოფლის გვერდით, მიწის გულიდან ამოჩნებულ სვიმონა* ჩაბოძიდა აუთარსებია, წელში მობილი მობიეცი, ხელში ძვილის-ძველი ველსაზარსმული ღოქი ეჭრია — ციხე მისხავს სკიმს. ჩაბოძიდა ხის ბარის მიზის დასვეწვლა, ფიტრებს მიეცემოდა. სკოლიდან წამოსული ბავშვები მოუწონებთ ვერცხლებით მის წინ.

— როგორ ბრძანდებით, ბაბუა? — ვკითხვებოდა.
— კარვად, ჩემო ძვირფასო, კარვად, — მოგვიგებდა მხნედ. ვიცოდი, რომ უკვე ოთხმოცდაათს მტკინებულა, სწირად შეუძლოდ იყო, მაგრამ მივიცე არასოდეს დაიჩივებულა. არასოდეს ვუწინებოდა ჩვენი ოთხედა — ეგებნა რომე საინტერესო სვანეთის წარსულთან. საამბოში იცოვრე ჰქონდა. საქმად უწევდია ძველი ყიფის სიწმინდა, კარვად აბსოლუტ ცხიანა ხოთი წლის აწიები — სვანი გლეჯების გამოსული მყდის ოფთიმპრობობის წინააღმდეგე ოცდართი წლის თეატრალში მასაქ იარაღსმულს უბრძოლია შრომალოვით კუთხის სახელი მოგვეღისთავი.
— მედინეები ხართ, შეიღებო — გადმოვცხადედა ყიფილი თვალვით. — მზემი იზრდებით, სკოლაში, მაშინაა, თვითმფრინოვები, ელექტრონი — ყველაფერი გაქვთ. პოლა, თქვენ იცით, როგორ ასახლებთ შრომალოვით მიწის, ხალხს, დღე-ღამას.


შინ წასატყულებ რომ წამოიწვედა, ვგოგობებდნენ ერთი ცილაშია გაცნობდა: არა შე უნდა წაუფლო ბაბუას დღითი წყალო, არა მზემი, გველი-ბობითი, ჩაღაცით მანქანა გვესამოყებინა ბეგრის შობაწუტი წამოსავთის.

მაგრამ არა, რა ხანია ჩვენი სავარაზო ბაბუა აღარ ჩამოსულა სვიმონან. იერი ველაოსიდეს ჩამოვიც... სვიმონი იცოვრე, ისევე თუბებოდა. როცა მოსწავლეები სკოლიდან შინ მივდივართ, ყველაში რაღდენიმი წითით მდუმარედ ვერცხლებით იმ ხის ძირს, ბაბუას რომ უყვარბა ჩამოვლობა.

ლილია სალანიანი, მესტიის სკოლა-ნაგერბაძე, V კლასი.

* სვიმონი — შავე წყალი, ვემა (სვანურად).

ქ. მარტყოლის...
სახეობის იყო...
პირა...
2011



წელიწადის ოთხი დღი

მარად დაუვიწყარი,
ოთხი ტკბილი ზღაპარი,

ოთხნაირად მორთული
საქართველოს მთა-ბარი.

გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი,

წელიწადის ოთხი დრო,
ოთხივე გულგასასხარი...



უკვე ჩამოსრა მთის ფერდობები,
თოვლი რომ იდო გუშინ.
ლურჯ ცას შეხედეს ლურჯმა იებმა,
მზე ჩაიხუტეს გულში.

გამოიხედა ფუტკარმა გარეთ,
ამოისუნთქა შვევით,
ბზზ... — აბზუილდა,
ფრთხილად გაშალა
დაბუჟებული ფრთები.

ბაღში სასხლავით გავიდა მამა,
უკან ბავშვები გაყვინენ.
ამობარუნეს შავი ბელტები,
რგავენ ალუბლის ნამყენს.

— შევლობავ,
მერე მოვრწყავ დილდლით, —
მამას შესცინის თეა...
მზის ზეიმიამ მთელ ქვეყანაზე,
სინათლით სავსე დღეა.



ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი,
მივდივართ და მივიმღერით.
მზის სხივებში გახვეულა
მობიბინე მთა და ველი.
გვხვდება ციხე, გვხვდება კოშკი,
მონასტერი ბევრზე ბევრი.

ცაში, ორბი, ტყეში შველი,
განაბულა მინდვრად მწყერი.

დაკიდული ბილიკები,
მდინარეთა თეთრი ჩქერი.
ზეცა, ფრთებით დახაზული —
საქართველოს ლურჯი ჭერი
ჩვენია და ჩვენ გვილიმის,
ჩვენს თვალსა და ნაბიჯს ელის...

უნდა ვნახოთ, გადავლახოთ
ბევრი მთა და ბევრი სერი,
სანამ ისევ სკოლის მერხზე
დაგვებრუნებს სექტემბერი...
მივდივართ და მივიმღერით
ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი!



ფერი იცვალეს მწვანე სერებმა,
ფერი იცვალეს მწვანე ჭალებმა,
ზვარში ელვარებს ქარვა და ლალი,
ზეიმობს შვიდი ფერისცვლება.

ფეხქვეშ შრიალეზს ხმელი ფოთოლი,
ცვივა და ცვივა შეუჩერებლად.
ბაღებში დაქრის მთვრალი ნიავი
მწიფე ნაყოფის მოსაფერებლად.

ფეხზე დამდგარა მთელი სოფელი,
ჩქარობს მოსავლის დაბინავებას.
თბილ ქვეყნებისკენ გადამართული
ცაზე ფრინველთა მწყარივი გაება.

გამოჩნდა ბუდე, აშლილი ქართი,
შიშველ ხეებში ცა იხედება...
და მალლა მთათა ალისფერ კალთებს
უკვე პირველი თოვლი ედება.



ჩამოდის ციდან თოვლის ფანტელი,
გადაათეთრა მთები.
დგანან გარეთ და თოვას გასცქერენ
გახარებული დები.

ჟივ-ჟივ,
მიხურულ საბძლის კარებთან
წუხს ბედურების გუნდი;
მონატრებიან ტკბილი საკენკი,
სითბო მშობლიურ ბუდის.

პატარა დები სახლში შერბიან
სახლში შერბიან წამით,
რომ მშიერ ჩიტებს გამოუტანონ
ხორბლით ავსილი ჯამი.

დგება სკამიდან მოხუცი პაპა
და მიხმარებას ცდილობს:
— ასე კარგები, გულკეთილები
დამეზარდნით, შვილო!

ჩამოდის ციდან თოვლის ფანტელი,
გადაათეთრა მთები.
მშიერ ბედურებს საკენკს უყრიან
გახარებული დები.

ყორალ, პაია!

ლისმადიებელ მაია ლუტიძეს დიდ წა-
რმატებებს სწავლასა და საზოგადოებ-
რივ საქმიანობაში, რომ ამაყად ეტარე-
ბინოს საბჭოთა მოქალაქის წოდებას.

პოლოკონიკი თ. ლესელიძე: „მაია
ლუტიძეს, მე-18 არმიის ჯარისკაცთა
სსოვნის არდავიწყებისათვის, ნიშნად
დიდი პატივისცემისა“.

პოეტ-აკადემიკოსი ირაკლი აბაში-
ძე: „პატარა მაიას გუსურგებ დიდ მომა-
ვალს. მსურს გადმოგცეთ საუბარი, რო-

მელიც მქონდა კონცერტზე მე-4 მუსიკა-
ლურ სკოლაში მაია ლუტიძესთან. მე
ვკითხე მაიას, რატომ ამოირჩიე პიონე-
რულ საქმიანობაში კვალმადიებლობა-
მეთქი, შენ ხომ ძალიან გიყვარს და და-
კავებული ხარ მუსიკით?“ მან მიპასუხა:
„ჩემი ძიებითი მუშაობა დაიწყო მას შე-
მდეგ, რაც წავიკითხე ი. მესხის (ჟურნა-
ლისტი, რომელმაც ცოტა ხნის წინ მიი-
ლო ხალხთა მეგობრობის ორდენი)
მოთხრობა „ჯარისკაცის დედა“. მე
მომინდა მენახა ეს ყოფილი ჯარის-
კაცი და მისი დედა — უშიშარი კოლმე-
ურნი ქალი, გვარად ჟვანია, ოჩამჩირის

რაიონის სოფელ ოხურეიდან, და ვიპოვე
ისინი“.

— ნუთუ არ არის საინტერესო, — აგ-
რძელებს მაია, — გაეცნო ძლიერ, მამაც,
საზრიან ადამიანებს! ყოველგვარი ძიება
სიცოცხლეა.

მუსიკა, რომელსაც მე მინდა მიეუძღ-
ნა ჩემი თავი, ესეც ძიებაა, რადგან ხე-
ლოვნებაშიც ყოველთვის მუდმივი ძიე-
ბაა. ასე რომ, შრომა, რომელსაც მე ვა-
ქსოვ ორივე სამუშაოში, ერთმანეთის
მსგავსი შრომაა.



ლონენო

მ ო თ ხ რ ო ბ ა

სოფელში ზარმაც კაცს ლონდრეს არქმევდნენ. ლადო კი, თხუთმეტი-ოდე წლის ყმაწვილი, აბა რა ლონდრე იყო? ინათებდა თუ არა, სახლიდან გადიოდა და სოფლის თავში „ნაცეცხლურთან“ წამოწოლილ მეზრუეებთან და მრწყველებთან დაერთობოდა.

„ნაცეცხლური“ ადგილია სოფლის თავში, სადაც მრწყველები გროვდებიან. მერუეები სოფლის სარწყავი არხის მომვლელიები არიან და ყველა ნაკვეთის მორწყვის რიგს იცავენ. მათი მუდმივი ადგილსამყოფელი, როგორც კი დათბებოდა, არი და „ნაცეცხლური“ იყო.

„ნაცეცხლურთან“ წყლებოდა ბევრი საჭირბოროტო საკითხი, განსაკუთრებით — გვალვის დროს ვენახების გადარჩენისა და მათი მოვლაპატრონობისა. თუმცა პირველ რიგში ყველა მაინც ფრონტის ამბებს კითხულობდა და სოფლიდან სამობლოს დასაცავად წასულთა წერილებსაც არჩევდა.

ლონდრე კი „ნაცეცხლურთან“ უფრო იმიტომ მიდიოდა, რომ შეეტყო, ვის ვენახს მეტად უჭირდა წყალი, შეიტყობდა თუ არა ამას, გაიჭურწებოდა, დაუვლიდა მთელი სოფლის ბავშვებს, დაირეკავდა, ზოგს ვენახთან ჩასაფრებდა, ზოგს — რუს ნაპირებზე, ზოგსაც სათავეზე გაიყოლებდა, რომ მეტი წყალი გამოეშვათ თითქმის დამშრალ რუში.

მწყურვალე ვენახის თავში ჩასაფრებული ბავშვები კი წყლის მომატებას აღარ დაელოდებოდნენ ხოლმე, ვენახში წყლის გადასაშვებ ადგილთან რუს ქვა-ღორღით ამოავსებდნენ, რომ წყალი დაგუბებულიყო, დონეს აეწია, ვენახისაკენ მიმავალ კვალში ისე გადასულიყო, რომ უცხო თვალს არ შეემჩნია, წყალი განებ იყო გადაგებული თუ გადასაკეტ ნადარში იპარებოდა.

თუმცა ზოგიერთს კიდევ რომ შეემჩნია, ხმას მაინც არ ამოიღებდა, იტყოდა: დაე, წყალმა იყონოს ამ საწყალი კაცის ნაკვეთშიო. მაგრამ ისეთი თვალხარბნიც იყვნენ, რუდან წვეთი რა არის; იმასაც არავის დაანებებდნენ, ვიდრე თავიანთ ვენახს არ მორწყავდნენ.

ეს იცოდნენ ბავშვებმა და ასეთ

თვალხარბებს თავისებურ ოინს უწყობდნენ.

ლონდრე ვენახში იყო და წყალს გზას უკვალავდა, პატარები კი ვენახის თავში ისხდნენ და რუს წყალს უმარჯვებდნენ. სწორედ ამ დროს გამოჩნდა გზაზე ქვემოზნელი ბაგრატა. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

პატარა შაქრიმ, თვლები ბუს ბახალსავით რომ დაეჭყიტა, საგულდაგულოდ გამზადებული ბელტი სვრელის ნაყარს ისე ოსტატურად დაადო, რომ ბელტმა წყალი სულ დაეურა.

ბაგრატამ დაინახა ეს, გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა, მოეწონა ბავშვის საქციელი, შაქრის დაუყვავა და ჰკითხა:

— ყოჩაღი ყოფილხარ. ვისი ხარ?

— მათესი. — უპასუხა შაქრიმ.

— ყოჩაღ, მათეს ბიჭო! ამ ოხრებს მორწყვა უნდათ, წყალზე წასვლა კი ეზარებათ.

— ბაგრატა ძია, საბედა ბებო წყალზე წამსვლელია? ძლივს დალასლებს!

— საბედა თუ ვერა, ძმისწულები ხომ ჰყავს? რატომ ისინი არას ფიქრობენ?

— ძმისწულებიც ჯარში არიან, ბაგრატა ძია!

— ამ ოხერმა ომმა ყველა გირეკა და ჩვენ რაღა ვქნათ? — ჩაილაპარაკა ბაგრატამ და კოჭლობით ჩაუყვა ორლობეს.

ბაგრატამ ცალი ფეხი „ნიკოლოზის ოში“ დაკარგა, სამაგიეროდ მამაცობის გამოჩენისათვის ორი ჯვარი მიიღო და ხშირად ტრახახობდა:

— ნიკოლოზმა ერთი ფეხი წამართვა, მე კი ორი ჯვარი დავტყუე!

ბავშვებმა ჩააცილეს ბაგრატა და ისევ თავიანთ საქმეს მიხედეს.

ვენახში ცოტა ხნით წყალი შეწყდა და ლონდრემაც თავი გამოყო. ახლომახლო რომ ვერავინ შეამჩნია, შაქრის ვასძახა:

— რომელმა ჰკირმა ჩამოიარა, ეგ წყალი რომ დაწყვიტეთ?

— ქვემოზნელი ბაგრატა იყო. მიუგო შაქრიმ, თავისი ლაღებულ ბელტი რუს სათავიდან აიღო და ყოველი შემთხვევისათვის იქვე ახლოს დადო.

— ერთიც კიდევ გამოუშვით ბლომად და მორჩა, სადაც არის ბოლო კვალში გავარდება, ის კვალია დარჩა მოსარწყავი, — მოზრდილი კაცის კილოთი თქვა ლონდრემ.

ლონდრე ჰქარობდა, რომ წვალე-ბითა და შიშით მოპარული წყალი უქმად არ დაკარგულიყო.

მოპარული იმიტომ ერქვა, რომ საბედანთი ვენახს, მართალია, წყალი უჭრდა, მაგრამ მორწყვის ჯერი მაინც არ უწევდა. ბავშვები ჩუმ-ჩუმად რწყავდნენ ომში წასულთა და შინ მარტოხელა დარჩენილ მონხუტთა ვენახებს.

ლონდრე ჩუმად რწყვისა და სათავიდან გამომატების ოსტატი იყო. იგი ვენახში წყალს ისე არ გადაუგდებდა, თუ წინასწარ წყალს არ გამოუმატებდა.

ბევრმა იცოდა ლონდრეს ამბავი და თუ რომელიმე გაჭირვებულის ვენახთან შეამჩნევდა, ეტყოდა:

— მიდი, ბიჭო, გადაუგდე წყალი, რაღას უყურებ?

წყალზე ჯერ არ წავსულვარ და ისე როგორ გადავუგდო?

— მიდი, მიდი, გადაუგდე და ზემოთ წამოდი, ბიჭები თვითონ მოუვლიან მაგ წყალს! — შეაგულიანებდნენ მრწყველები.

— ეჰ, — დიდი კაცივით ამოიოხრებდა ლონდრე, თან დასძენდა: — ზოგიერთი ჩემს საპაიჭეს რომ დაინახავს, საჩოხედ გადააქცევს! — და ბარით სათავისაკენ გაეშურებოდა.





გვესაუბრება თბილისის ს. კიროვის სახელობის შრომის წითელი დროვის ორდენოსანი ჩარხსამშენებლო ქარხნის მე-4 საამქროს ზედინაპირი გიორგი ბუღაძე.

თქვენს ცხოვრებაში? ვიხსენებ თქვენს ძენით მხარზე მზრუნველად და მშობლის ხელი და სითბო?

— იმ ზაფხულს, შვიდწლედი რომ დავამთავრე, ჯალაურთაში მამაჩემის ბიძაშვილი დომენტი ბულაძე ჩამოვიდა. ყმაწვილი უსწავლელი ხომ არ დარჩებაო, უთხრა ბიცოლას და თბილისში წამომიყვანა. მატარებელში რომ ჩავსხედით, ბიძას ჩემი ოცნება გავუხმე. მაგრამ მატარებლიდან რომ ჩამოვედით, მან ქალაქის მეექვსე სახელოსნო სასწავლებელში (დღევანდელი მეექვსე პროფტექნიკური სასწავლებელი) მიმიყვანა. ორი წელი მოსწავლედ ვიყავი — ზეინკლობა შევისწავლე და კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში დავიწყე მუშაობა. შემდეგ ჯარში გამიწვიეს. სავალდებულო სამხედრო სამსახური ქალაქ პრინსლაუში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მოვიხადე. დავბრუნდი ჯარიდან და გულმა ქარხნისაკენ გამიწია... ახლა უკვე ოცდახუთი წელია ჩარხსამშენებლოში ვმუშაობ. ძმაც გვერდით მიდგას — ანზორ ბულაძე მექანიკური საამქროს ხარატია. ანზორს პატივს სცემენ, აქებენ კოლექტივში, ის მოწინავე მუშაა და, მიუხედავად იმისა, რომ მალე ორმოცი წელი შეუსრულდება, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში სწავლობს. სწავლა სიბერემდეო, ბრძენსაც უთქვამს.

— ახლა თოთხმეტი წლისა რომ იყოთ, რომელ გზას აირჩევდით, რა ოცნებები დაგრჩათ განუხორციელებელი?

— ამ კითხვაზე ჩემი შვილის — გიას პირით გაცემთ პასუხს. გია ახლა თექვსმეტი წლისაა, მაგრამ თოთხმეტისა შევიდა იმ პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც მე დავამთავრე. მეორე შვილი — მანანა პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავია. მან წარმოებისაკენ მოუწყვეტილად უმადლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება განიზრახა. აღმნიან ყველაზე მეტად თავისი შრომა გამოაჩენს, სადაც არ უნდა შრომობდეს. მემამყება და მისარია მამის კვალზე შვილების სიარული. მათ იციან, ჩვენს საამქროში რომელიმე დაზავა თუ გაჩერდა, მე ვწუხვარ, მგონია ავადმყოფი მიცდის, და გული არ გამიძლებს, თუ დროზე არ შევაკეთე, სწრაფად არ დავუბრუნე „მაჯისციმა“.

ოცნებები?.. ბავშვობისდროინდელი სურვილები და ოცნებები მთელი ცხოვრება მიჰყვება კაცს.

— როდის შეგისრულდათ თოთხმეტი წელი? იმუამად სად ცხოვრობდით, ვინ იყვნენ თქვენი აღმზრდელები?

— თოთხმეტი წლისა 1949 წლის თებერვალში გავხდი. შვიდი კლასი საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთაში დავამთავრე. სწავლა მეზობელი სოფლის — კობულის საშუალო სკოლაში უნდა გამეგრძელებინა, მაგრამ ყოველდღე თორმეტი კილომეტრი გზის გავლა (აქეთ და იქით) თოთხმეტი წლის ყმაწვილისათვის ძნელი გამოდგა.

სამამულო ომი რომ დაიწყო, პირველკლასელი ვიყავი. მამა ფრონტზე გაიწვიეს. დედა ზამთარში გარდაამეცვალა. მე და ჩემს ძმას, თავის ხუთ შვილთან ერთად, ბიცოლა პოლექსია გვაპატრონობდა (ბიძაც ფაშისტებს ებრძოდა). ხელმოკლე ოჯახი იყო, მჭადის მოლოდინში დაღამება გვიხაროდა. ძალიან ცივი, სუსხიანი ზამთარი იდგა; ბიცოლა ერთად გვაწვენდა და ერთმანეთს ვათბობდით და ვზრდიდით ბიძაშვილები.

მამაჩემმა ქერჩიდან მხოლოდ ორი წერილი გამოგვიგზავნა. ომი დამ-

თავრდა. სხვისი მამები დაბრუნდნენ; დიდხანს მეგონა, რომ მეც დაბრუნდებოდა მამა.

დრო გადიოდა. მე და ჩემი ძმა მერხებზე თვადახრილები ვისხედით ხოლმე და ფანჯრისაკენ ვახედვით არ გვეხალისებოდა, აბაში ხელის ჩაყოფისა კი გვეშინოდა — შივ მხოლოდ ყდავაცრეცილი წიგნი გვედო, და ისევ დაღამებას ველოდებოდით.

ბავშვობიდან კიდევ დაუვიწყარია კინოფილმებისაგან მიღებული შთაბეჭდილება. კინოს იშვიათად გვიჩვენებდნენ და იქნებ ამიტომ. ძალიან მიყვარდა „ქაჯანა“, „გიორგი სააკაძე“, „არსენა“... მაგრამ „ქეთო და კოტე“ მაინც ამოჩემებული მქონდა. ეკრანზე გიორგი შავგულიძეს რომ ვუყურებდი, გულში მეჯდა ეს უსავგარესი კაცი და მეც არტიტი უნდა გავხდებოდი, გადავწყვიტე. დიდი სურვილი მქონდა კარგი ტანისამოსი მცემოდა, (არტიტებს კარგად აცვიათ-მეთქი, ბიცოლას ვარწმუნებდი) მაგრამ სკოლაში ბიძაშვილების შარვალ-ხალათით დავდიოდი.

— ვინ იყო მთავარი ადამიანი



ბევრი რამ ცოცხლობს დღესაც, და უფიქარია. დიდი ხანია ჩვენი ქარხნის თვითშემოქმედებით კოლექტივში ვმონაწილეობ და ჩემს სვედამწარებულ ბავშვობას სცენიდან ღიმილით ვეხმიანები. ვინ იცის, იქნებ ესაა იმ ოცნებების ასრულება, რასაც გულში სათუთად ვატარებდი მანამ, როცა ძილგატეხილი ვფიქრობდი მშობლებზე, ომზე, ხვალისდელ დღეზე.

— რას უსურვებთ დღევანდელ თოთხეტწლიანებს?

— ნერგმა კეთილად რომ გაიბაროს, — წყალი, ჰაერი, მშობლიური მიწის სითბო და, რაც მთავარია, მზრუნველი ხელი სჭირდება. მე მგონია დღევანდელ ყმაწვილებს უფრო მეტი მზრუნველი დასტრიალებს თავზე, ვიდრე აღმზრდელი. ამიტომაცაა, რომ ბეჭითი გოგო-ბიჭების გვერდით შარახვეტია ზარმაცებიც გვყავს. მერე უსაქმურებად იქცევიან ხოლმე ისინი. სწავლა იმათ არ შეუძლიათ, შრომა არ იციან და ბოლოს სანანებლად უხდებათ ცხოვრება. მათ და საერთოდ ყველა მოზარდს ვეტყვოდი: გადაშალონ წიგნი, ისწავლონ შრომა, დაიცვან მშვიდობა, მამული და ჭედონ ბედნიერი მომავალი.

„არაჩვეულებრივი ადამიანი, — ეს ყველაზე ჩვეულებრივი ადამიანია“.

გიორგი ბულაძე! ახლა ეს გვარი და სახელი ნაცნობია „პიონერის“ მკითხველისათვის. შრომაში გამობრძმედილმა კაცმა რთული, წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების გზა გამოიარა, უღედმამობამ და გაჭირვებამ ბავშვობაში ძნელად გასაკაფი ბილიკებით ატარა, მაგრამ შრომის წადილმა და თავდადებად დაუმკვიდრა თავისი ადგილი ცხოვრებაში, დიდად საამაყო და სასიხარულოა პატივისცემა, დაფასება, და მრავალი ჯილდო ოცდახუთი წლის მანძილზე კეთილსინდისიერი, პატიოსანი შრომისათვის რომ დაიმსახურა მან.

ჭალარავარეულ, პირმრგვალ, ენერგიული სახის მქონე გიორგი ბულაძეს სხივჩამდგარ თვალბუბო უსაზღვრო მადლიერება უდგას. თავისი დიდი კოლექტივის, თავისი საქმის ერთგული, იგი დღესაც დიდი სითბოთი იხსენებს იმ დროს, როდესაც ჭეშმარიტ მეგობრობაზე, სიყვარულზე და ბედნიერ მომავალზე ოცნებობდა.

საუბარი ჩაიწერა
თეიმურ აბულაშვილმა.

ალექსანდრე ბრინი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ნიჭი

მხატვარი
იოსებ
სამსონაძე.

ალექსანდრე ბრინის ეს მოთხრობა, რომელიც 1917 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ნივას“ დამატებაში, არ არის უსუსული მწერლის თხზულებათა კრებულაში.

1.

— აჲდ რომ არ გამხდარიყო, — ულვაშს გეფიცები, ამ ნავსადგურშივე ჩამოვადგებდი. მაგრამ, მერწმუნე, ეს მისი უკანასკნელი რეისია, — უთხრა კაპიტანმა სნოუპსმა შვიპერ ჰარვისს. — ასეთ იუნგას ჩემს ყველაზე დაუძინებელ მტერსაც არ ვუსურვებდი.

— მართალი ბრძანდებით, — კვერი დაუკრა ჰარვიმ.

— გუმინ... უფრო სწორად... პო, გუმინ, რვის მერე, ვახტი რომ გამო-

ვიცვალე, — განაგრძობდა კაპიტანი, — შევდივარ კაიუტაში, და... პირდაპირ არ შემიფეთა?! კაიუტის კარიდან გამოვარდა. გასხლტომისას ჩავავლე ხელი. კარგა მაგრად შევასურე და, წარმოგიდგენია, უბეში ჩემი კაიუტიდან მოპარული ქაღალდი დავუნახე. შეეჩვივა არამზადა ქურდობას თავისი წყველი ნახატების გამო. ხომ გახსოვთ, გასულ კვირას ხელახლა რომ შევლებეთ მთელი ქვემო ერდო? ყველა კედელი ერთიანად ნახშირითა და გამდნარი კუპრით აუჭრელეზინა.

— რა სალაპარაკოა! — დასძინა შვიპერმა. — თვითონ მე წავადექი თავს ამას წინათ, როცა საგუშაგოზე ფანქრითა და, ალბათ, თქვენგან დათრეული ქაღალდით ერთობოდა. იცინგლება და იჯღაბნება ფარნების შუქზე, თანაც, საოცრად დონდლო და მოუხემავია.



— ძალიანაც მწყინს, რომ დღეს ამ ჭაობის ციებამ ჩააგდო ლოგინად, ოპ, რა სიამოვნებით გავაგდებდი; აქედან მის წასათრევად საკუთარ ჯიბესაც არ დავიშურებდი.

ეს საუბარი, მეღბურნსა და ბომბეის შუა მცურავ სანდალ „პერეის“ გემბანზე რომ გაიმართა, იუნგა დავიდს, ცამეტი წლის ობოლ ბიჭუნას შეეხებოდა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ბიძამისის თხოვნით უკასმრჯელოდ მიიღეს ამ მოქმედ გემზე, ბიძას, უბრალოდ, ეძვირებოდა ძმისწულის შენახვა. დავიდმა კაპიტნის რისხვა ხატვის უსაზღვრო სიყვარულით დაიმსახურა. იგი ხატავდა ყველაფერს, რასაც კი მისი თვალი დაიჭერდა. ხატავდა ყველაფერზე, რაც ხელში მოხვდებოდა: შესახვევ ქაღალდზე, ფიცრებზე, პაპიროსის კოლოფებზე და ა. შ. ნავსადგურებში ქუჩებს, საპორტო ცხოვრების სცენებს, სახლებს, ხომალდებსა და ეკიპაჟებს ხატავდა; ისეთ უკაცრიელ ადგილებში კი, ზოგჯერ „პერეი“ შემისა და წყლის მარაგის შესავსებად რომ მიადგებოდა, — ტყეს, პეპლებს, ფრინველებს, ნაკადულებს, მთებსა და ნიჟარებსაც აღებუდავდა ხოლმე. „პერეის“ ყველა მეზღვაური ჰყავდა ჩახატული. თვითონ კაპიტანიც! მაგრამ სწოუპსი დიდად ადაშფოთა საკუთარ თავთან საკმაოდ არასახარბიელო მსგავსებამ და მან ნაკუწებად აქცია ნახატი. როცა დავიდს ნაპირზე უშვებდნენ, იგი მუდამ მოგვიანებით ცხადდებოდა გემზე. თან ფანქრით ან მელნით გაკეთებული ჩანახატებით გატენილი ბრუნდებოდა. დაბნეული, გულჩათხრობილი და სუსტი აღნაგობის ბიჭუნა, საერთოდ, გამოუსადეგარი იყო დაძაბული, მკაცრი ზღვაოსნური შრომისა და შფოთიანი მეზღვაურული ცხოვრებისათვის. სულ რაღაც უნდა შემთხვეოდა, რისთვისაც სასტიკად სცემდნენ და იკლებდნენ ყოვლად უშეგერი ლანძღვა-გინებით.

— ერთი სიტყვით, დაასკვნა კაპიტანმა, — ეს დოყლაპია მე არ გამომადგება. წაეთრიოს და ხელი მოჰკიდოს კედლის მღებავობას. გემზე ასეთ თხუნიებს არაფერი ესაქმებათ.

— ახლა როგორა გრძნობს თავს? — ჰკითხა ჰარვეიმ, რომელიც გულში ფარულად თანაუგრძნობდა ბიჭუნას. — უკეთ არ არის?

— არ ვიცი. ბოცმანმა ქინაქინა და ლიმონათი მისცა. აქ ჩვენ ერთ კვირას გავჩერდებით. ამასობაში ფეხზეც წამოდგება და ეგრევე გავაგდებ. მორჩა და გათავდა!

„პერეი“ პატარა შემხვედრ ნავსადგურ კინგში იდგა რეიდზე, ნავმისადგომიდან მეოთხედ მიღზე.

— თქვენი საქმეები როგორ მიდის, სწოუპს? — ჰკითხა ჰარვეიმ.

— ცუდად, — მოიღუშა კაპიტანი. — ძალიან ცუდად. მატყლში რვა ათასი დავკარგე, კანაფში — თერთმეტი ათასი, ამასობაში, შეიძლება, სანდალიც დავკარგო და მაშინ იკითხე ვალები! იცი, ჩემს სკივრში ორმოცდაათი ათასი ოქროა. ეს განძი სოვდაგარ სარტორიუსს უნდა გადავცე. მეღბურნში გასაღებულ იოპუმის საფასურია. სარტორიუსმა ფულს ამ რამდენიმე დღეში უნდა მოაკითხოს... ასე რომ, ჰარვეი, ძალზე მუხთლად წამივიდა საქმე. პატიოსანი ზღვაოსანი სტოპის სახელი რომ არ მერქვას, სიამოვნებით ჩავიჯიბავდი მთელ ამ თანხას და ხელიც კი არ ამიკანკალდებოდა. მა-აშ!

ზღვაოსნები საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ კიჩოზე გამართულ საფარქვეშ, პატარა მაგიდასთან, რომელზეც სამი გამოცლილი და სამივე ძველი, კარგი ღვინით საგსე ბოთლი იდგა. შორიასლო შტიროტთან ორი მეზღვაური გემთსართავების შეკეთებით იყო გართული. ქარი მათკენ უბერავდა. კაპიტნის უკანასკნელ სიტყვებზე ერთმა მეზღვაურმა, სახელად გრიკატუსმა, ორმოცი წლის შავულვამა, ცხვირაპრეხილმა და თვალებჩაცვენილმა კაცმა, შეაჩერა ამხანაგი:

— გესმის, ტვისტ, რა თქვა კაპიტანმა?

— რაღაც ფულის შესახებ...

— მაშ... „მეო, — ამბობს, — სხვისი ფული მაქვს ორმოცდაათათასისო... ერთი მომპაპრინაო!..“

— რაღაც ასე უნდა იყოს, — ჩაიბურტყუნა ტვისტმა. — ნაღდია... ასე თქვა, დათვრა და იმიტომ წამოაყრანტალა.

— ჰოდა, აი, რას გეტყვი, — მიმართა ამასობაში სტოპმა ჰარვეის. — მთელი თვეა ხელეუთი თვალითაც არ გვინახავს. მოდი, დღეს ერთი კარგა გემოზე გავისეირნოთ. მთელ შემადგენლობას ნაპირზე ჩავუშვებ ხვალ დილამდე; გუშაგებდ მთხუც პეკს და... იმ დავიდს დავტოვებ. ჩვენც ერთ დღე-ღამეს გავატარებთ ნაპირზე. კარგი იქნება, აქაურ კლუბში თუ შევივლით და თამაშში ბედსა ვცდით!

— კეთილი! — მხიარულად დაეთანხმა შკიპერი.

კაპიტანმა სტვენით მოუხმო ვახტზე მდგომ მეზღვაურს, გაათავისუფლა, ბრძანება გასცა და ნახევარ საათში კაპიტნის მეთაურობით სადღესასწაულოდ გამოპრანჭულმა, გახალისებულმა და სუფთად გაპარსულმა სმისა და ვაჭრობის წყურვილით სადერღელაშლილმა ეკიპაჟმა ორი ნავით კინგს მიასურა.

„პერეი“ ორნი დარჩნენ კაპიტნის ერთგული მოხუცი მეზღვაურმა: მკვირდასნეული იუნგა დავიდი.

2.

დავიდი ერდოზე მარტოდმარტო იწვა (პეკი ბოცმანის კაიუტაში ცხოვრობდა), სვენებ-სვენებით იძინა მთელი დილა, მთელი დღე და დაახლოებით, ასე შუადამისათვის გამოიღვიძა. ციებამ და სიცხემ გაუარა, მხოლოდ სისუსტე და მსუბუქი თავის ტკივილიდა დარჩა. ამგვარი ხანგამომშვებითი გამოშვობინება ციებ-ცხელებისთვის იყო დამახასიათებელი.

დავიდმა იცოდა, რომ პეკისა და მის გარდა ყველანი ნაპირზე იმყოფებოდნენ, მაგრამ გამოფხინულებისთანავე უსიამოდ გააკვირვა გემის მღუმარებამ. მსუბუქი ჭრიალი და შხაპუნი ტალღებზე მიძინარე სანდლისა მეტისმეტად ავად და პირქუშად გაისმოდა. მაგიდის თავზე ანთებული ლამპარი ეკიდა. მისი ცეცხლი უნიათოდ ანათებდა და ატორტიმანებდა ურიცხვ ჩრდილს, რომლებიც ერდოს კუთხე-კუნჭულებს საზარელი. მღუმარე წყვილიაით ბურავდა. ტრაპის თავზე სარქელის ნახევარკალში ვარსკვლავები ბრწყინავდნენ; იატაკქვეშ ვირთავებში წრიპინებდნენ.

დავიდი საწოლს მოეჭიდა, წამოიწია. გაცივებულ საყავედან რამდენიმე ყლუპი მოსვა. სადილად დარჩენილი ცივი კატლეტი შეჭამა და ცოტათუნდა გახალისდა კიდევ. აღარ ეძინებოდა. ნიკაპით მუშტებს დაეყრდნო და შეუდგა ოცნებას იმ მომავალზე, როცა სახელგანთქმული მხატვარი გახდებოდა. ოცნებებმა პირდაპირ საქმეზე გადაიყვანა. სკივრიდან დაუმთავრებელი ნახატი და გალუული ფანქარი ამოიღო და, ის იყო, რამდენიმე შტრიხი გაავლო, რომ უეცრად ნიჩბების ჩუმი შხაპუნი მოესმა — როგორც ჩანდა, გემისკენ ნავი მოცურავდა.

„ალბათ ჩვენები არიან... მაგრამ, რატომ ასე ჩუმად? როგორც წესი, ღრიანცელით ბრუნდებიან ხოლმე, გალუეშილები“, — გაიფიქრა დავიდი.

ნავი აშკარად „პერეის“ ქიმს დაეჯახა. დავიდმა სული განაბა. ელოდა ჩვეულებრივ ხორხოსს, მაგრამ ირგელოვ სრული სიჩუმე სუფევდა. გაოცებისაგან აღარ იცოდა რა ექნა. ცოტა ხანს კიდევ დაუცადა, მაგრამ მაინც ვერაფერი გაარკვია. შეფიქრინდა ბიჭუნა. ჩუმიად აძვრა ტრაპზე და გემბანს გადახედა.

შორიასლოს, მარჯვენა ერდოსთან, წელში მოხრილი მამაკაცი დინახა, რომელიც მისკენ ზურგით იდგა, ვინაო-

ბა სიბნელეში ძნელი გასარჩევი იყო. დავიდმა დაძახება დააპირა, მაგრამ ზუსტად იმავე წამს მამაკაცი გემბანს დააცხრა — კიჩოდან მოასლოებული პეკის ჩიბუხის ცეცხლმა იელვა, — და გროტ-ანდის უკან გაუჩინარდა. უეცარმა სისუსტემ და რაღაც საშინელების წინათგრძობამ ბიჭს ხელ-ფეხი წაართვა. სურდა დაეყვირა, მაგრამ ვერ შეძლო. პეკის ჩიბუხი ახლა სულ ახლოს ბუჭუჭავდა და ანათებდა მოხუცის მსხვილ ცხვირსა და მოჭუტულ თვალებს.

— ეჭვი, ეგ ვისი ნავია? აქ რომელი ხარ? — შეუძახა პეკმა ანძასთან მისვლისთანავე.

მეზღვაურის ბუზღუნა ხმამ წამით გაბედულება შემატა ბიჭუნას, გემბანზეც გაქრა თითქოს იდუმალი შემზარათობა, მაგრამ ზუსტად ამ ანძის უკან მიმალული კაცი ელვის სისწრაფით წამოვარდა და გაოგნებულ მოხუცს თავში რაღაცა ჩაარტყა. პეკს არც წამოუყვირია, ისე დაეცა.

ღონე და გადამრჩენელი აღზნება წამით დაუბრუნდა დავიდს. მიხვდა, თვითონაც ამ უცნობი მკვლელის მარჯვენით დაილუპებოდა და ტრაპს ჩუმად ჩაუყვავა ქვემოთკენ, თანაც მოხუცსული მისჩერებოდა წელში მოხრილ მოძრავ, ბნელ სხეულს. ბიჭუნას ნაბიჯების ხმაზე უცნობი შეკრთა. სახით ერდოსკენ შემობრუნდა. ანძაზე დაკიდული ფარნის მქრქალი შუქი სახის ნაკვთებზე დაეცა.

დავიდი პირველად ხედავდა მის სრულ, შევარდნისებურ სახეს წინ გაშვებული სქელი ქვედა ტურით. ბიჭუნამ იფიქრა: ნაღდად შემნიშნესო და თავქუდმოგლეჯით ჩაქანდა ქვევით, ტრიუმის სარკველში, ყველაზე ბნელ კუნჭულს მიანყდა და თავზე ბრეზენტი გადაიფარა. შიში ჯერ ისტერიულმა გაოგნებამ, მერე კი გონების სრულმა დაკარგვამ შეუცვალა.

ამასობაში ზღვიდან სწრაფად მოახლოებულ მთვრალ ზღვასანთა ხმამალალი სიმღერაც მოისმა. ნირწამხდარმა მკვლელმა ხელი ჩაიჭინა ორმოცდაათიათასზე, სწრაფად ჩახტა ნავში. სულ მალე მისი ნავის ნიჩბების ხმა მძინარე ოკეანემ შთანთქა.

3.

— ბრალდებულო გრიკატუს! — მიმართა მოსამართლემ ამ ამბიდან ერთი თვის მერე სახეგაფითრებულ მეზღვაურს, რომელიც საბრალდებო სკამზე იჯდა. — თქვენ ბრალი გედებათ იმაში, რომ 1904 წლის 14 თებერვალს ისარგებლეთ ეკიპაჟის არყოფნით, აძვერით სანდალ „პერეიზე“ და ხომალდის გადარცვის მიზნით მოკალით მეზღვაური პეკი. რით იმართლებთ თავს?

— მე დამნაშავე არა ვარ! — მიუგო გრიკატუსმა. — ღმერთია მოწამე, სრულიად უდანაშაულოდ ვეწამები.

მოწმეთა ჩვენებანი სრულიადაც არ

მეტყველებდნენ გრიკატუსის სასარგებლოდ. მეზღვაურმა ტვისტმა განაცხადა: გრიკატუსი, ძლიერ დაინტერესებული იყო 50.000 დოლარით და მაშინაც კი არ შეუწყვეტია ამაზე ლაპარაკი, როცა ჩვენმა გამხიარულებულმა კომპანიამ უკვე ყველა ბოთლს ძირი გააგდებინა და იგი ისე ჩასცქეროდა ამ ბოთლებს, როგორც ტელესკოპებსო. სამიკიტრო „ღამის ვარსკვლავის“ მფლობელმა დადასტურა, მეზღვაური გრიკატუსი ყველაზე ადრე წავიდა, თანაც გასვლისას ქუდი კარის კიდეს დასცხო და დაიფიცა, ნახეთ, ამაღამ თუ არ გაემდიდრდებით. სანაპიროს დარაჯმა, რომელიც ზღვირთამქვევთან მორიგებოდა, შენიშნა კაცი, რომელმაც სწრაფად ახსნა ნავი და რეიდზე გასცურა. ვიდრე გრიკატუსი სადღაც იმყოფებოდა, მეზღვაურები ელოდნენ ამხანაგის დაბრუნებას და გაოცებულნი ბჭობდნენ, რა საოცარია, ნეტა რით აპირებს გამდიდრებასო.

სანამ მოსამართლე ჩვენებებს იღებდა მოწმეთაგან და ყოველმხრივ ცდილობდა ამ ბნელი და საშინელი საქმის ჭეშმარიტების დადგენას, გრიკატუსი თავჩაქინდრული იჯდა — აშკარად დარწმუნებული, რომ სახრჩობელა არ ასცდებოდა.

სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა, მოულოდნელად კარი რომ გაიღო და სასამართლოს დარბაზში სათვალის სწორებითა და სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა იმ საავადმყოფოს ექიმი, სადაც სნეული ბიჭუნა დავიდი იწვა. ექიმს ხელთ ქაღალდის ფურცელი ეჭირა. ეს ქაღალდი მან პირდაპირ მოსამართლეს დაუდო:

— აი, ყველაფერი, რაც ამ საქმის ირგვლივ შეიძლება ითქვას. საშინელი თავზარდაცემის შედეგად ნერვული დამბლით ლოგინად ჩავარდნილი იუნგა დავიდი, როგორც თქვენთვის ცნობილია, მთელი თვეა გაუნძრევლად წევს. ლაპარაკიც კი არ შეუძლია. დღეს დილით, 10 საათზე, მან ცნობიერების აღდგენის პირველი ნიშნები გამოამჟღავნა. ხელით მანიშნა, ფანქარი და ქაღალდი მომეცითო. როცა მივაწოდე, წამით ჩაფიქრდა, მერე კი სწრაფად და გარკვევით მოხაზა აი ეს სურათი, რომლის თქვენდამი მორთმევის პატივიც მე მერგო წილად, ბატონო მოსამართლე! როგორც ხედავთ, აქ დახატულია მეტად მეტყველი სახე — ჩანს, ეს არის პეკის მკვლელის ზუსტი გამოსახულება. სურათს აწერია: „ბოროტმოქმედის პორტრეტი. მოძებნეთ იგი...“ თუკი ამ გარემოებას შეუძლია რაიმე შუქი მო-



ფინოს საქმეს, ვფიქრობ, ბიჭუნამ თავი-
სი ვალი ადასრულა.

მსაჯულთა მთელმა შემადგენლობამ
იხილა მკაფიო და ზუსტი ნახატი და
ეჭვიც არავის შეჰპარვია: მსხვილ, შე-
ვარდნისებურ, სქელ ქვედა ტუჩიან სა-
ხეში აღბეჭდილი იყო ცნობილი ქურ-
დის, ჯეკ ლოვაიდის პორტრეტი, რო-
მელიც ერთი წლის წინათ პროვინციის
გუბერნატორთან მხარეულად მსახუ-
რობდა. ჯეკს პატარა ნავსადგურში ათა-
სგვარი ბინძური და ბნელი ხრიკებით
სახელი გავარდნილი ჰქონდა.

ვიდრე ჯეკ ლოვაიდს მიაკვლევდნენ
და დაიჭერდნენ, რომელმაც აღიარა,
სამიკიტნოში ფარულად მოუუსმინე
მთვრალ გრიკატუსს 50.000 ოქროს
თაობაზე, მოვიპარე ნავი და სანდალ-
ზე პეკი მე მოვკალი, — თვეზე მეტი
გავიდა. ამასობაში გრიკატუსიც ყელამ-
დე ვაძღა ციხეში ჯდომით.

ციხიდან განთავისუფლებისთანავე სი-
ხარულით თავგზაარეული იგი დავიდ-
თან გაიქცა და უთხრა:

— გმადლობ, ბალო!.. შენმა თხუპ-
ნიაობამ ეს ყელი მარყუჟისაგან იხსნა,
— და მონანიების ცრემლი დაღვარა. —
მე კი, სულელი, დავცინოდი შენს ჯღაბ-
ნიაობას, ხელიდან გტაცებდი ფანქრებსა
და ქაღალდს. მაპატიე, ბებერ ლოთს,
ჰოდა, აი შენ იმ სურათისთვის — ეს
სურათი...

ქისიდან გაქონილი ასდოლარიანი ამო-
აძრო, რომელსაც პრეზიდენტ ლონკოლ-
ნის პორტრეტი ამკობდა, და ბიჭუნას
გაუწოდა, მაგრამ მან არ გამოართვა.

გრიკატუსი უხმოდ გატრიალდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გა-
მოჩნდა დავიდის საწოლთან ვიღაც უც-
ნობი, ჩამრგვალებული, კეთილი სახის
მქონე ტანდაბალი კაცის თანხლებით. ეს
კაცი სოვდაგარი სარტორიუსი აღმოჩნ-
და.

სოვდაგარმა სარტორიუსმა ჯერ თა-
ვისთან გადაიყვანა დავიდი, ხოლო შემ-
დგომ, მელბურნის სამხატვრო სკოლაში
მოაწყო. ომი რომ დაიწყო, „განმანათ-
ლებელთა“ გამოფენაზე დავიდის რამ-
დენიმე სურათმა საყოველთაო ყურად-
ღება მიიპყრო. ამ ნახატების მთავარი
დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ
მტრის მეომრები ჩვეულებრივ უხეში
ნაკეთებით, სქელი ქვედა ტუჩებითა და
მრგვალი შევარდნისებური სახეებით გა-
მოირჩეოდნენ. ჩანდა, რომ იმ ძლიერ
ნერვიულ განცდას ყმაწვილზე წარუშლე-
ლი კვალი დაემჩნია.

კვირვასო რედაქციას!

დიდი ინტერესით წავიკითხე „აის-
ში“ გამოქვეყნებული თემურ გ.-ს
წერილი. გიზიარებთ ჩემს აზრს.

ერთი შეხედვით თემური სავე-
ბით მართალია, მაგრამ უმჯობესი
იქნებოდა გაკვეთილზე ეთქვა სიმარ-
თლე მასწავლებლისთვის. ეთქვა ის-
იც, რომ დანაშაული უნებლიედ,
გაუფრთხილებლობით მოხდა და ეთ-
ხოვა, ეპატიებინა ნოდარისთვის. ამ-
ით იგი ამხანაგებსაც გამოიყვანდა
უხერხული მდგომარეობიდან და ნო-
დარსაც გულისხმაში ჩააგდებდა,
არც მასწავლებელს მოატყუებდა
და არც პიონერულ ფიცს დაარღვევ-
და.

მარიანე კუპატაძე,

ქიათურის რაიონის ღვითორის საშუა-
ლო სკოლა, VIII კლასი.

მხარი რომ აეხათ...

ჩემი აზრით, მთელი კლასი დამნა-
შავეა იმ ამბავში, რაც ორ ვანუყ-
რელ მეგობარს შორის მოხდა. კლასს
რომ მხარი აეხა თემურისათვის, რო-
ცა მან ნოდარს უთხრა, სწორად არ
მოიქცეო, ეს უკანასკნელი ალბათ
შეიგნებდა თავის დანაშაულს და მე-
გობარსაც არ გაუნაწყენებდა.

მსგავსი შემთხვევები ჩვენთანაც
მომხდარა, მაგრამ ამ დროს ყველანი
ხმას ვიღებდით — ერთსულოვნად
ვეგობდით მშიშრებს, მატყუარებს:
შედევსაც სასურველს ვიღებდით
ხოლმე.

მჯერა, ნოდარი ადრე თუ გვიან
მიხვდება თავის შეცდომას და ალ-
ბათ ბევრსაც იხანებს.

მანია მარლანი,

მესტიის I-ლი საშუალო სკოლა, VII
კლასი.

დაეფიქრებელი ვერილი

დამაფიქრა თემურის წერილმა.
მსგავსი ამბავი მეც გადამხდა თავს.
ერთ დღეს ფიზიკის კაბინეტში მო-
რიგე ვიყავი. წავიცვალე: ნათურა
რამდენჯერმე ავანთე და ჩავაქრე. ნა-
თურა გადაიწვა და ჩამრთველიც გა-
ფუჭდა. ჯერ ვიფიქრე, მოდი, არ გა-
ვამხელ, ვიცო, ამხანაგები არ დამას-

მენენ და მასწავლებლის საყვედურს
გადავურჩები-მეთქი, მაგრამ როცა
შევატყე, რომ ჩემი გადაწყვეტილე-
ბა კარგს არას გამოიწვევდა, ავღე-
ქი და მასწავლებელს გამოუფუტყდი.
მასწავლებელმა წყნარად მითხრა, ეს
შენ როგორ მოგივიდაო. ამით დამ-
თავრდა ყველაფერი.

ნოდარიც რომ ასე მოქცეულიყო,
მასწავლებელი ალბათ არც მას დას-
ჯიდა. სამწუხაროდ, ნოდარს ვერ გა-
მოუჩინა გაბედულება. მასწავლებ-
ლისა კი არ უნდა გეშინოდეს, მო-
რიდებოდა და ხათრი უნდა გქონდეს.

ვიწონებ თემურის მოქმედებას.
სიმართლის პირში თქმა ხომ ძვირ-
ფასი თვისებაა. თუმცა უკეთესი იქ-
ნებოდა, ეს მასწავლებლის თანდას-
წრებით გაეკეთებინა.

გულნაზი ზაბუკიანი,

ცავერის რაიონის ლასურიშის საშუ-
ალო სკოლა, VII კლასი.

ვეგობარი და გულბრილი ამხანაგები

ყოჩაღ, თემურ, შენ ნოდარის
ჭეშმარიტი მეგობარი ყოფილხარ!
მაგრამ სხვები? ისინი ნამდვილად
ვერ ამართლებენ პიონერის სა-
ხელს — პიონერმა ხომ არასოდეს
არ უნდა თქვას ტყუილი და მუდამ
სიმართლისათვის იბრძოლოს. შენი
თანაკლასელები ლაჩრულად დუმდ-
ნენ, როცა მასწავლებელმა იკითხა,
ვინ გატეხა ფანჯრის მიწათ, ხოლო
შემდეგ სრული გულბრილობა გა-
მოიჩინეს შენი და ნოდარის ურთი-
ერთობისადმი. განსაკუთრებით ვამ-
ტყუენებ რაზმის საბჭოს თავმჯდომე-
რესა და კლასის ორგანიზატორს.

მანია წაჭაძე,

ხობის რაიონის ჭალადიდის საშუალო
სკოლა, VI კლასი.

ღათუური სამსახური

ის ამბავი რომც არ მომხდარიყო,
რასაც თემური მოგვითხრობს, სულ
ერთია, ნოდარი თავის მერყევ ხა-
სიათს ოდესმე მინც გამოამყდევ-
ნებდა. ეტყობა, ნოდარი არ ყოფილა
მეგობრობაში გარკვეული. მისი აზ-
რით, მეგობარი ის არის, ვინც მის
დანაშაულს ხელს დააფარებს.



თემურს კი ნამდვილად სკოდნია მეგობრობის მნიშვნელობა. რაც შეეხება თანაკლასელებს, მათ ნოდარს დათვური სამსახური გაუწიეს. ნუთუ არ ესმით, რომ თავიანთი წაყრუებით ამხანავს ცუდი საქციელი-საქენ უბიძგებენ, რაც, შესაძლოა, მას შემდგომში ჩვევად გადაექცეს?!

თამარ წარედინი,
გულრიფშის რაიონის განახლების სა-
შუალო სკოლა, VIII კლასი.

თებს ჩემს შეცდომაზე — ჩემი მასწავლებელია; ის, ვინც სწორად აღნიშნავს ჩემს საქციელს — ჩემი მეგობარია; ხოლო ის, ვინც პირში მეფერება — ჩემი მტერია.

ჩაუფიქრდი ამ სიტყვებს — ბევრჯერ გამოვადგება ცხოვრებაში“.

მანანა ვაჟაშვიდი,
ვანის რაიონის შუაგორის საშუალო
სკოლა, IX კლასი.

ნორკ კორასონდავთა ქარაული № 8

მანა ეს არის ამხანაგობა?!

ნოდარი უნდა უმადლოდეს თემურს, რომ მასწავლებელს არაფერი უთხრა. თემური ვალდებული იყო, მეგობარი დაერწმუნებინა, რომ სწორად არ მოიქცა.

ერთხელ ჩვენს კლასში სკამი გატყდა. როგორც კლასის ორგანიზატორს, დირექტორმა მე მომთხოვა პასუხი. მე ვიცოდი, ვინც გატეხა სკამი, მაგრამ ვერ ვამხელდი, ამხანავს არ ვაწყენინო-მეთქი. მაგრამ რა, პასუხი მაინც მე მაგებიანეს... დამნაშავე ყველაფერს ამას ხედავდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, რა იქნებოდა სიმართლე ეთქვა—მეც ამაყდენდა ტყუილ-უბრალოდ მორალურ დასჯას და კლასის მადლობასაც დაიმსახურებდა. ჰოდა, გული მეტკინა.

განა ეს არის ამხანაგობა?!

მაია კაცოვაშვილი,
ყვარლის რაიონის წიწკანანთსერის
რვაწლიანი სკოლა, VII კლასი.

ტყუილად იბუტება

ვთქვათ, ნოდარმა ვერ გაითვალისწინა, რა მოჰყვებოდა საკლასო ოთახში ბურთით თამაშს, მაგრამ როცა მოსახდენი მოხდა, უნდა ვაჟაკურად ელიარებინა ყოველივე. ამით იგი ამხანაგების თვალშიც ამადლდებოდა და თვითონაც პირნათელი იქნებოდა საკუთარი სინდისის წინაშე.

მინდა ორიოდ სიტყვა ვუთხრა მას: „ნოდარ, შენ ტყუილად ემდური თემურს იმის გამო, რომ პირში ვითხრა მწარე სიმართლე. აი რას ამბობს ერთი ბრძენი: ის, ვინც მითი-

ვისი ბრალია?

ვისი ბრალია, რომ დაირღვა წლობით განმტკიცებული მეგობრობა? მე მგონი, თემურისა. იმის ნაცვლად, რომ წყნარად მიეთითებინა, მან თანაშემწად მეგობარს ტყვიასავით მიახალა: მშიშრობა და ამხანაგების ლალატი სწორედ შენი საქციელია, შენი მიზეზით მთელი კლასი რატომ უნდა დაისაჯოსო? თემური შეშინდა, მეც არ დავისაჯო, მაგრამ სხვები რატომ არ შეშინდნენ? თუ საჭირო იყო, თემურს თავიც უნდა გაეწირა მეგობრის გულისთვის. ნოდარს, ალბათ, ის ერჩია, თემურს მასწავლებლისათვის მოეხსენებინა სიმართლე, ოღონდ იმ სიტყვებით არ დაკოდოდა გული. ბუნებრივია თემურის წუხილი ნოდარის დამდურების გამო, მაგრამ იქნებ ნოდარი უფრო წუხს? ნოდარი, რა თქმა უნდა, დამნაშავეა, ხოლო მისი დამდურება თემურის საქციელმა გამოიწვია.

ენიო ფუხაშვილი,
ქარელის რაიონის ფცის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

„ჩაფხილი ხილი“ აღდება

მეექვსეკლასელ თემურ გ-ს. წერილი რომ წავიკითხე „აისიში“, მომაგონდა ერთი ამბავი, რომელიც სწორედ მეექვსე კლასში რომ ვსწავლობდი, მაშინ მოხდა.

საკლასო ოთახში, მასწავლებლის მაგიდაზე სამელნის ქვესადგარი იდო. ერთმა ბიჭმა აიღო და თამაში დაუწყო. მოულოდნელად ქვესადგარი გატყდა. მასწავლებელმა კლასში შემოსვლისთანავე იკითხა, ვინ გატეხაო. ყველანი ვდუმდით, არ გვეინდოდა ამხანავის დაბეზლება. მაშინ მასწავლებელმა თვალი გა-

დაგავლო და თქვა, ამის ჩამდენი, თუ ვაჟაკია, აღგება და თვითონ აღიარებსო. დამნაშავე მართლაც წამოდგა. მასწავლებელმა მხოლოდ შეხედა და არაფერი უთქვამს.

ნეტავ ნოდარიც ასე მოქცეულიყო!

რაც შეეხება დამდურებას, ჩემი ფიქრით, ეს დიდხანს არ გასტანს და ორ მეგობარს შორის „ჩატეხილი ხილი“ აღდება.

ანა მენაბდე,
მახარაძის რაიონის შემოქმედის სა-
შუალო სკოლა, VIII კლასი.

„აიონერა“ ღაფაფეზობრა

1976 წლის ნოემბრის ჟურნალ „პიონერის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემს მიერ შეგროვილი ხალხური ანდაზები. ამ დღის შემდეგ მრავალი წერილი მივიღე ჩემი თანატოლებისაგან. დღითი დღე იზრდებოდა მეგობრების რიცხვი, რაც დიდ სიამოვნებასა და სიხარულს მანიჭებდა.

ახალგაზრდობილი მეგობრები ზაირა იოსებაშვილი (მათაქოვსკის რაიონიდან), ნანა ლაზარაშვილი და ლიანა ცალქაგოვი (გორიდან), ჯემალ სილაგაძე (თელავის რაიონიდან), მერაბ ნიკოლაშვილი (სამტრედიის რაიონიდან), ნატალია შევჩენკო (ქალაქ ოდესიდან) და სხვები წერილობით მატყობინებენ მათ სკოლასა და კლასში მომხდარ ამბებს, მათი ბარათები აღსავსეა მეგობრული სიტოთი და სიყვარულით.

მართალია, ერთმანეთი ჯერ არ გვინახავს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩვენს მეგობრობას.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჟურნალ „პიონერის“ რედაქციას, რომელმაც ამდენი ერთგული მეგობარი შემძინა.

ენიპო ძნელაძე,
ჩოხატაურის რაიონის ჩაისუნის სა-
შუალო სკოლა, IX კლასი.

საინჟინურო სახეობანი

ავტომატი
თვალსაშრს
აღმგნებს
სისუფთავეს



ამას წინათ პოლონეთის ნავსადგური გდანსკი გახდა პირველი ქალაქი ევროპის ტერიტორიაზე, სადაც დაიწყო ფუნქციონირება ავტომატების ქსელმა, რომლებიც აკონტროლებენ ჰაერის გაჭუჭყიანებას და ამასთან იძლევიან სიგნალს, როდესაც ეს გაჭუჭყიანება საინჟინურო ნორმას გასცდება. ავტომატები პირველ რიგში ნავთობგამწმენდი ქარხნის ტერიტორიაზე დადგეს.

ბეჭედი —
ბანწყობილები
ბარომეტრი



თხევადი კრისტალები საოქრომჭედლო საქმეშიც წარმატებით გამოიყენება. აშშ-ი გასაყიდად გაჩნდა ბეჭდები დაწახნაგებული ქვის თვლებით, რომლებიც შეიცავენ ნივთიერებას თხევად კრისტალურ მდგომარეობაში. ისინი ფერს იცვლიან სხეულის ტემპერატურის ცვლილებების მიხედვით. იმდენად, რამდენადაც სხეულის ტემპერატურა, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, იცვლება ადამიანის გუნება-განწყობილების შესაბამისად, ბეჭედი შეიძლება გამოიყენოს განწყობილების თავისებურ ბარომეტრად. შავი ფერის ყველა ტონალობა ამტკიცებს, რომ ბეჭდის მფლობელი აშკარად უგუნებოდ არის. თოპაზის ტონალობა გუნების გამოკეთებაზე მეტყველებს. ხოლო მწვანედ აელვარებული კრისტალი ნერვული დაძაბულობის შენელებაზე ლა-

პარაკობს. ლურჯი ფერი კარგი განწყობილების მაჩვენებელია, და ბოლოს, მუქი ლურჯი კი სრულ სულიერ სიმშვიდესა და გარემო სამყაროსთან ჰარმონიას ადასტურებს.

შესხედრა
ჯუნგლებში



ამერიკელ მოგზაურს პაროლდ სტეფენსონსა და მის თანამგზავრებს უჩვეულო ამბავი შეემთხვათ: მაღალი-ზიის ჩრდილო რაიონების ჯუნგლებში წააწყდნენ თეთრი ორქიანი მარტორქის ოჯახს. სტეფენსონმა სასტიკი უარი განაცხადა ეცნობებინა ადგილსამყოფელი ამ ცხოველებისა, რომლებიც დღემდე გადაშენებულად ითვლებოდნენ. ასეთი საქციელის მიზეზი გასაგებია: სტეფენსონი შიშობს, რომ ბრაკონიერის იარაღს, ტურისტებს, ძლიერი განცდების ტრფიალთ შეუძლიათ ხელიდან გამოგვაცალონ ცხოველთა ამ სახეობის უკანასკნელი წარმომადგენლები.

შაქარი
პარიმისი
წინააღმდეგ



ცნობილია, რომ შაქრის ჭარბი ხმარება კბილების ადრულ გაუჭუჭებას იწვევს. ნატურალური შაქრის ახალი სახეობა — ქსილიტოლი კი, რომელიც ფინელმა სპეციალისტებმა მიიღეს,



პირიქით, ხელს უწყობს კარიესის თავიდან აცილებას.

ქსილიტოლს დიდი როლდენობით შეიცავს ხენდრო, ჟოლო, ზოგიერთი ხილი და არყის ხის წვენი. გემოთი ქსილიტოლს ჩვეულებრივი შაქრისაგან ვერ გაარჩევ. 125 კაცი მონაწილეობდა ორწლიან ექსპერიმენტში, რომელსაც უნდა დაედგინა ახალი პროდუქტის სამკურნალო თვისებები. ექსპერიმენტის მონაწილეთა ერთი ჯგუფი, მთელი ამ ხნის მანძილზე, ჩვეულებრივ შაქარს ღებულობდა, მეორე კი ქსილიტოლს. გამოირკვა, რომ მეორე ჯგუფში კარიესის შემთხვევა ათჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე პირველ ჯგუფში. აღნიშნული პროფილაქტიკური ეფექტი აიხსნება ნერწყვის შემადგენლობის შეცვლით, რასაც ქსილიტოლის მიღება იწვევს. დამტკიცებულია, რომ შაქრის ეს ახალი სახეობა ჰკურნავს კიდევ კარიესის ადრეულ ფორმას.


სამწუხაროდ, ქსილიტოლი ჩვეულებრივ შაქარზე 10-ჯერ უფრო ძვირია, რაც მეტისმეტად აძნელებს ყველა ნაწარმში მის გამოყენებას. თუმცა სტომატოლოგების აზრით, საკვებში ქსილიტოლის მცირე დოზაც კი, კარგ პროფილაქტიკურ ეფექტს იძლევა.

ტყვი
ხმაურის
წინააღმდეგ



თუმცა თვითმფრინავის მთავარი ღირსება მინიმალური წონაა, საჭაერო ლაინერებზე კომფორტსაც დიდ მოთხოვნებს უყენებენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძრავების გუბუნისაგან მფრინავებისა და მგზავრების დაცვა. ხმის-შთანთქმელი სხვადასხვა სისტემების საგულდაგულო გამოკვლევის შემდეგ, სპეციალისტები იმ დასკვნამდე

მივიდნენ, რომ ამ მიზნით ყველაზე მიზანშეწონილი თვითმფრინავების კაბინები შეიქმნა ტყვიის ფურცლებით მოპირკეთდეს. 0,4 მილიმეტრი სისქის ტყვიის ორ ფურცელს შორის მო-



თავსებული პენოპლასტის 25 მილიმეტრიანი ფენა უზრუნველყოფს ხმაურის მაქსიმალურ შთანთქმას.

ატომის
რეპატორიანი
მცურავი
კუნძული



პოლონეთის ქალაქ გდანსკის გემთმშენებლები აპროექტებენ ახალ გემს, თავისებურ მცურავ კუნძულს, რომელიც იქნება ბაზა იმ თევზმჭერი ტრაულერებისათვის, რომლებიც სამშობლოდან მოშორებით აწარმოებენ რეწვას. მომავალი გემის წყალწყვა 30 ათას ტონას უნდა გაუტოლდეს, სიგრძე 220 მეტრს, სიგანე — 40 მეტრს. ამ გიგანტს გაორებული კიბო ექნება. მისი ორი ფრთა შექმნის ერთგვარ პატარა ყურეს, სადაც დიდი ჯარიმებისა და დღევის დროს თევზმჭერი ტრაულერები თავშესაფარს იპოვიან. მცურავი „კუნძული“ ორმოცი ტრაულერის მომარაგების ბაზა, მზა პროდუქციის საწყობი და ჭარხანა იქნება. დღე-ღამის განმავლობაში იგი გადაამუშავებს 1000 ტონა თევზს. „კუნძულზე“ იქნება 700-ადგილიანი დასასვენებელი სახლი, დიდი



სასადილო, კლუბი და კინო-
თეატრი. ენერჯიას გემი ატ-
ომური რეაქტორიდან მი-
იღებს.

ჩვენ
კიდევ
ბედმა
ბაზვილიმა



ჩვენ ხშირად ვჩივით
ჰაერის გაჭუჭყიანების თა-
ბაზე, მაგრამ ყველა ჩვენ-
განმა როდი იცის, რომ ჰაე-
რი ახლა გაცილებით უფრო
სუფთაა, ვიდრე 14 ათასი
წლის წინათ, ბოლო გამ-
ყინვარების ხანაში. ამ დას-
კვნამდე მივიდნენ ამერი-
კის შეერთებული შტატების
ოჰაიოს პოლარულ გამოკვ-
ლევათა ინსტიტუტის მეც-
ნიერები, რომელთაც გრენ-
ლანდიის ყინულის ანალიზი
გააკეთეს. გამოიჩინა, რომ
ყინულის ფენა, რომელიც
დასახლებულ ეპოქას განე-
კუთვნება, შეიცავს თოვლ-
თან ერთად მოსულ მკვრივ
სხეულთა ასჯერ უფრო მეტ
რაოდენობას, ვიდრე ჩვენს
დროში. ასეთივე ხასიათის
გამოკვლევებმა ანტარქტი-
დის დასავლეთ ნაწილში
უჩვენა, რომ 14.000 წლის
წინათ მოსული თოვლი ოთხ-
ჯერ უფრო ჭუჭყიანია, ვი-
დრე მე-20 საუკუნეში.

ოჰაიოელი სწავლულები
იმ დროში ჰაერის ასეთი
გაჭუჭყიანების მიზეზად
ვულკანების მოქმედებას მი-
იჩნევენ.

ხმს
სჭრიან
და ნაფოტი
არ ცვივა



ასლახან შევციაში შექმ-
ნეს ახალი მანქანა — ექს-
ტრაქტორი ხეებისათვის,
რომელსაც ერთი საათის
განმავლობაში შეუძლია ძი-
რიანად ამოხაროს 60 ხე.
ექსტრაქტორი ხის შტამბს
მოეჭიდება და ძლიერი მოქ-
ნევით ხეს მიწიდან ამოგ-
ლეჯს. ამაზე დახარჯული
ძალა რამდენიმე ტონას
უდრის. ხე-ტყის დამზადე-
ბის ამ მეთოდს, გარდა მა-

ღალი ეკონომიკური ეფექ-
ტისა, კიდევ ერთი უპირა-
ტისობა აქვს: იგი დადები-
თად მოქმედებს ტყის ეკო-
ლოგიაზე. ძირკვებისა და
ფესვის სისტემის ერთიანად
ამოთხრის შედეგად ნიადაგი
ფხვიერდება და უკეთესად
ნიადაგდება, რაც დიდად უწყ-
ობს ხელს ახალი მცენა-
რების სწრაფ ზრდას.

ქალაღი
მრთი
საათი



გარეგნულად ეს ქალაღ-
დი არაფრით გამოირჩევა
ჩვეულებრივისაგან. თუმცა
ჩენოსლოვაკიის ქალაქ ბრა-
ტისლავის ქალაღდისა და
ცელოლუზის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტის თა-
ნამშრომლები, რომელთაც
ქალაღდის ამ ახალი სახეო-
ბის დამზადების ტექნოლო-
გია შეიმუშავეს, ირწმუნე-
ბიან, რომ მას საოცარი
თვისება აქვს — მთლიანად
იხსნება წყალში, ამასთან
დრო, რომელიც ქალაღდის
სრულ გახსნას უნდება, შე-
იძლება შეიცვალოს ამ ქა-
ლაღდში შემავალი სხვადა-



სხვა კომპონენტების ვარი-
რებით. დროის ეს მონაკვე-
თი, რამდენიმე წამიდან 5
საათამდე შეიძლება გადი-
დეს.

ახალ ქალაღდს ფართო
გამოყენება ექნება ტექნიკა-
ში, მედიცინასა და ყოფა-
ცხოვრებაში.



ნუზარ
აზხაზავა

შინების წირტილი

ნ. აფხაზავას ფანტას-
ტიკური მოთხრობები
ხშირად იბეჭდება უფრ-
ნალ „პიონერის“ ფურც-
ლებზე და ნორჩ მკითხვე-
ლთა მოწონებას იმსახუ-
რებს.

ახალგაზრდა მწერლის
ნაწარმოებებმა არაერთ-
ხელ გაიმარჯვეს ჩვენი
ყურნალის მიერ გამოც-
ხადებულ კონკურსში.

მეოცე საუკუნეში კოს-
მოსური სივრცეების პრა-
ქტიკული ათვისების ერა
დაიწყო, ადამიანებმა ფე-
ხი შედგეს ისეთ შორე-
ულ, ღღემდე გონებისა-
თვის მიუწვდომელ ციურ
სხეულზე, როგორც არ-
ის დედამიწის ძველის-
ძველი თანამგზავრი მთვა-
რე, ავტომატურმა სადგუ-
რებმა კიდევ უფრო შო-
რეული პლანეტებისაკენ
აიღეს გეზი; ბევრმა ბუ-
ნების მოვლენამ შეიხსნა
იღუმალების საბურვე-
ლი. ამან კიდევ უფრო
გაზარდა ინტერესი კოს-
მოსური სამყაროსადმი,
გაზარდა ფანტასტიკური
ლიტერატურის მოყვარუ-
ლთა რიცხვი, მათი გემო-
ვნება, მოთხოვნილებანი
ამ ჟანრის მესვეურთა
მიმართ. საინტერესო ნა-
წარმოების შესაქმნელად,
ამჟამად უკვე საკმარისი
აღარ არის ფანტაზიის
მომადლეულები ნიჭი, ნა-
ირნაირი სათავგადასავლო
სიუჟეტების გამოგონების

უნარი, საჭირო დეტალური
ლებელია საუკუნეების
ალში დაგროვილ ინფორ-
მაციასთან ერთად თანა-
მედროვე კოსმონავტიკა-
სა დასხვადასხვა მეცნიე-
რებათა უახლესი მიღწე-
ვებისა და აღმოჩენების
საფუძვლიანი ცოდნა. აგ-
რეთვე ახალი, ეპოქის
სულისკეთებისა და ხასი-
ათის შესაბამისი მხატვ-
რული გამომსახველობი-
თი ფორმების ძიება და
დანერგვა.

ნ. აფხაზავა მთელი სე-
რიოზულობით ცდილობს
მიწიერი პრობლემები
კოსმოსურ რანგში აიყვა-
ნოს და სხვადასხვა საინ-
ტერესო კუთხით გადაწყ-
ვიტოს ისინი.



მისი მოთხრობების მთა-
ვარ პერსონაჟთა დამახა-
სიათებელი ნიშანია მალა-
ლი მსოფლშეგნება, კე-
თილი ალტრუიზმი და ნა-
თელი ჰუმანიზმი, ერთი
სიტყვით, ის თვისებები,
რაც აუცილებელია თანა-
მედროვე ადამიანის ჩამო-
ყალიბებისათვის, მისი
მოქალაქეობრივი და შე-
მეცნიებითი პორიზონტის
გაფართოებისათვის.

ნ. აფხაზავას ფანტას-
ტიკური მოთხრობების
კრებული — „შეხების
წერტილი“ შემოთქმულ
მოსაზრებათა დასტურს
წარმოადგენს.



მოსწავლის

ქრონიკული

ჰეპატიტი

ფიზიკურად ჯანმრთელი, ხალისიანი, ყოველმხრივ განვითარებული მომავალი თაობის აღზრდის საქმეში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დღის რეჟიმის სწორ ორგანიზაციას.

რეჟიმი გულისხმობს პირადი ჰიგიენის, კვების, ძილის, მეცადინეობის, დასვენების, გართობისა და სხვა პროცესების სწორ განაწილებას დღე-ღამის განმავლობაში. რეჟიმის შედგენისას აუცილებელია ბავშვის ასაკის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინება.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ იმ მოსწავლეს, რომელიც როგორც სკოლაში, ისე სახლში რეჟიმის მიხედვით ცხოვრობს, უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვს და სხვა რამესაც ასწრებს. მეცადინეობის სპორტის რომელიმე სახეობაში, ჩაბმულია საგნობრივ წრეში (მუსიკა, ხატვა, ცეკვა, უცხო ენის შესწავლა და სხვ.), ეცნობა მხატვრულ ლიტერატურას, დადის თეატრსა და კინოში.

რეჟიმით ცხოვრება განამტკიცებს მოსწავლის კულტურულ-ჰიგიენურ ჩვევებს და შრომისუნარიანობას. ასეთი ბავშვები მთელი დღის განმავლობაში მხნე და ხალისიანი არიან.

ბავშვები, რომლებიც დღის რეჟიმს არღვევენ, ცხოვრობენ და სწავლობენ როდის და როგორც მოხვდებით, დიდხნობით უყურებენ ტელევიზორს, დღის უმეტეს ნაწილს მოძრავ და სპორტულ თამაშებს ანდომებენ, რა თქმა უნდა, გვიან იწყებენ სამინაო დავალების შესრულებას, ამიტომ გვიან იძინებენ და

ბუნებრივია, დილით უჭირთ ადგომა, ნაჩქარევად იცვამენ, ვერ ასწრებენ დილის ვარჯიშს, სისტემატურად აკლდებათ ძილი, რაც უქვეითებთ გუნება-განწყობილებას, უკარგავთ მადს. სკოლაში დაგვიანების შიშით გარბიან, არღვევენ ქუჩაში მოძრაობის წესებს, რითაც ხშირად თავს ხიფათში იგდებენ. ასეთი ბავშვები უმეტესად ვერ აღწევენ დასახულ მიზანს და ჩამორჩებიან სწავლაში.

რეჟიმის ორგანიზაცია

გამოჩენილი ფიზიოლოგი ი. პავლოვი ადამიანის მაღალი შრომისუნარიანობისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომისა და დასვენების თანმიმდევრულ მონაცვლეობას.

დილა გაღვიძებით იწყება. მოსწავლეს რომ ერთსა და იმავე დროს გაღვიძების ჩვევა გამოუმუშავდეს, აუცილებელია ოჯახში ძილის სწორი ორგანიზაცია. რაც უფრო ნაკლები ხნისაა ბავშვი, მით უფრო მეტი ძილი სჭირდება. ასე მაგალითად, 6-7 წლის ბავშვებს დღე-ღამეში 11-11-ნახევარი საათი უნდა ეძინოთ, აქედან დღის განმავლობაში მიზანშეწონილია საათი-საათნახევარი დაიძინოს სადილის შემდეგ, დანარჩენი 10 საათი კი ღამის ძილს უნდა დაეთმოს. საშუალო და მოზრდილი ასაკოლო ასაკის ბავშვებს (8-14 წელი) საშუალოდ 9-10 საათი ძილი სჭირდებათ. დამტკიცებულია, რომ 12-13 წლის ბავშვებს, რომლებსაც დღე-ღამეში 7-ნახევარი — 8 საათი სძინავთ იმ ბავშვებისაგან განსხვავებით, რომელთა ძილის ხანგრძლივობა ასაკობრივ ნორმას (10 საათი) შეესაბამება, 30%-ით აქვთ დაქვეითებული შრომისუნარიანობა.

დილით ბავშვი ყოველთვის ერთსა და იმავე დროს უნდა დგებოდეს. რომელ ცვლაშიც არ უნდა სწავლობდეს, 7 საათზე უნდა გაიღვიძოს. ამ ჩვევის გამომუშავებისათვის მიზანშეწონილია ბავშვის საწოლ ოთახში მაღვიძარა საათი დაიდგას.

გაღვიძების შემდეგ ძილის მდგომარეობიდან სიფხიზლეში გადასვლა თანდათან ხდება. თუ ბავშვი საერთოდ მოწესრიგებული და ორგანიზებული ქცევისაა, ძილიდან სიფხიზლეში გადასვლისათვის ერთ-ერთი საუკეთესო მასტიმულირებელი ფაქტორია დილის ტანვარჯიში. ვარჯიშთა კომპლექსი ძირითადად სუნთქვით ვარჯიშებს უნდა მოიცავდეს. დილის ვარჯიშის ჩატარება არ არის რთული. მისთვის საკმარისია 5-6 წუთი. თუ დილის ვარჯიშს გარკვე-

ული ხნის მანძილზე სისტემატურად ჩავატარებთ, ის ორგანიზმს მკრთავს სხოვნილებად გადაიქცევა. ტანვარჯიში მატებს ბავშვს ხალისს, უღვიძებს მადს, უუმჯობესებს შრომისუნარიანობას.

ვარჯიშის შემდეგ მოსწავლემ უნდა დააღაფოს ლოგინი, დაიბანოს ხელ-პირი, ჩაატაროს ორგანიზმის გამკალებელი პროცედურები (სველი ტილოთი დახელება, წყლის გადავლება, ან შხაპი). ამისათვის დაახლოებით 25-30 წუთია საჭირო. ამის შემდეგ ბავშვმა უნდა ისაუზმოს (15-20 წუთი), შემდეგ კი სკოლაში წავიდეს, რასაც საშუალოდ 20-30 წუთს ანდომებს. ე. ი. მოსწავლეს ადგომიდან სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე დაახლოებით საათი-საათნახევარი სჭირდება.

მეორე ცვლის მოსწავლეებიც დილით რვის ნახევარზე ფეხზე უნდა იყვნენ და იმავე თანმიმდევრობით ჩაატარონ ყველა პროცედურა, ხოლო ადგომიდან საათი-საათნახევრის შემდეგ უნდა დაიწყონ სამინაო დავალების შესრულება, რასაც უმცროსი ასაკის ბავშვები საათ-საათნახევარს, ხოლო IV, VI კლასის მოსწავლეები დაახლოებით ორ-ორნახევარ საათს ანდომებენ. ამის შემდეგ სკოლაში წასვლამდე ბავშვმა საათი ან საათნახევარი უნდა დაისვენოს სუფთა ჰაერზე (გასიერება, თამაში, სპორტის რომელიმე სახეობაში ვარჯიში), შემდეგ ისაილოს და წავიდეს სკოლაში ფეხით, დინჯი ნაბიჯით.

მოსწავლის ნორმალური შრომისუნარიანობისათვის აუცილებელია, რომ ოჯახში მისი სამუშაო ადგილი იყოს კეთილმოწყობილი, ჰიგიენური, პედაგოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით გაფორმებული, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ასაკის შესაბამისი ავეჯი (მერხი, მაგიდა, სკამი), ან ჩვეულებრივ საწერ მაგიდასთან ედგას შედარებით მაღალფეხებიანი და საზურგეიანი სკამი, რომელიც ყოველწლიურად უნდა დადაბლდეს (წაეჭრას ფეხები) ბავშვის სიმაღლეზე ზრდის შესაბამისად.

ოთახი დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ უნდა განიავდეს, მაგრამ ისე, რომ შენარჩუნებული იქნას ჰაერის ტემპერატურა + 17-18 გრადუსი და შედარებითი ტენიანობა — 40-50.

სამინაო დავალების შესრულებისას, ბავშვი მაგიდასთან სწორად უნდა იჯდეს. წერისა და კითხვის დროს



კაჟიხის სანიმუშო ვაკინანტი I ცვლის მოსწავლეთათვის

მაგიდას იდაყვებით უნდა ეყრდნობოდეს. ეს საწინდარია სწორი ტანდობის ჩამოყალიბებისათვის. მაგიდასთან არასწორი ჯდომა ხელს უწყობს გულმკერდის და ხერხემლის დეფორმაციის (სკოლიოზი) განვითარებას.

საშინაო დავალების შესრულებამდე საჭიროა მოსწავლემ ერთი ან ნახევარი საათით აქტიურად დაისვენოს სუფთა ჰაერზე, ხეების ჩრდილში, აივანზე ან ეზოში. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება დაიტვირთოს მსუბუქი და საშუალო სიჩქარის სპორტული თამაშებით, ცალკეულ შემთხვევაში დასაშვებია ამ დროში მხატვრული ლიტერატურის კითხვა (სუფთა ჰაერზე) ან საბავშვო გადაცემების ყურება ტელევიზორით.

საშინაო დავალების შესრულებისათვის დასაშვებია ხანგრძლიობის შემდეგი ვარიანტები — I კლასის მოსწავლისათვის 45 წუთი—1 საათი, III-IV კლასელებისათვის საათნახევარი—ორი საათი, V-VII კლასელებისათვის ორი-ორსაათნახევარი, VIII-X კლასელებისათვის — 3 საათი. დადგენილია, თუ, საშინაო დავალებას ამაზე მეტ ხანს უზის მოსწავლე, შრომისუნარიანობა უქვეითდება, ყურადღება ეფანტება, ხდება მოუსვენარი, ცდილობს სხვა საქმის გაკეთებას; ამავე დროს, ქვეითდება შეთვისების უნარი. საშინაო დავალების შესრულებისას ერთ საგანს მოსწავლემ 30-45 წუთი უნდა მოანდომოს. ამ ხნის გასვლის შემდეგ საჭიროა შესვენება 5-10 წუთი (ისე რგორც სკოლაში გაკვეთილებს შორის) და შემდეგ სხვა საგნის მიმზადება. ცალკეულ საგნებს შორის არსებულ ხანმოკლე შესვენებაში საჭიროა ფიზკულტურის წუთებისა და პაუზების ჩართვა. ეს ამაღლებს შრომისუნარიანობას.

გაკვეთილების მომზადების შემდეგ ბავშვმა ისევ უნდა დაისვენოს სუფთა ჰაერზე, შემდეგ ივახშმოს. ძილის წინ ბავშვი უნდა ერთობოდეს წყნარი თამაშით. არ არის მიზანშეწონილი ძილის წინ კითხვა, ამაღლებელი ზღაპრების მოსმენა ან სატელევიზიო გადაცემების ყურება.

ძილისთვის მზადებას რეჟიმში 30 წუთი ეთმობა. ამ ხნის განმავლობაში მოსწავლემ უნდა ჩაატაროს პირადი ჰიგიენა (ხელ-პირის და ფეხების დაბანა, კბილების გაწმენდა

	6-7 8-9 წ.	10 წ.	11-12 წ.	13-14-15-16
	I-II-III კლ.	IV კლ.	5-6 კლ.	7-8-9-10 კლ.
	საათები	საათები	საათები	საათები
1. გავლიძება	7 ⁰⁰	7-00	7-00	7-00
2. დილის გამამხნეველი ვარჯიში, გამაჯანსაღებელი პროცედურები (დაზღვევა, მზაპი), საწოლის ალაგობა, დილის ტუალეტი.	7 ⁰⁰ -7 ³⁰ 7 ³⁰ -7 ⁵⁰	7 ⁰⁰ -7 ³⁰ 7 ³⁰ -7 ⁵⁰	7 ⁰⁰ -7 ³⁰ 7 ³⁰ -7 ⁵⁰	7 ⁰⁰ -7 ³⁰ 7 ³⁰ -7 ⁵⁰
3. საუზი				
4. სკოლაში წასვლა (ფეხით გასეირნება)	7 ⁵⁰ -8 ²⁰	7 ⁵⁰ -8 ²⁰	7 ⁵⁰ -8 ²⁰	7 ⁵⁰ -8 ²⁰
5. მეცადინეობა სკოლაში (დილის გამამხნეველი ვარჯიში, გაკვეთილები, საუზზე დიდ დასვენებაზე) საზოგადოებრივი ლიტერატურის კითხვა, საგნობრივი წრეში მეცადინეობა	8 ²⁰ -12 ³⁰	8 ²⁰ -13 ¹⁰	8 ²⁰ -14 ⁰⁰	8 ²⁰ -14 ¹⁰
6. გზა სკოლიდან სახლში (გასეირნება)	12 ³⁰ -13 ⁰⁰	13 ³⁰ -14 ⁰⁰	14 ⁰⁰ -14 ³⁰	14 ³⁰ -15 ⁰⁰
7. სადილი	13 ⁰⁰ -13 ³⁰	14 ⁰⁰ -14 ³⁰	14 ³⁰ -15 ⁰⁰	15 ⁰⁰ -15 ³⁰
8. სადილის შემდგომი დასვენება (6-7 წლის ბავშვებისათვის, დღის ძილი 1-1½ საათი)	13 ³⁰ 15 ⁰⁰			
9. სუფთა ჰაერზე გასეირნება, მოძრაობის თამაშები, გართობა (თხილამურები, ციგურები, ლანტი, ქალაქობანა, დაჭერობანა, სპორტულ წრეში მეცადინეობა (ფრენბურთი, კალათბურთი)	15 ⁰⁰ 16 ³⁰	14 ³⁰ -19 ⁰⁰	14 ³⁰ -17 ⁰⁰	15 ³⁰ -17 ⁰⁰
10. გაკვეთილების მომზადება (მეცადინეობა 30-45 წ. მათ შორის შესვენება 5-10 წ.) წიგნების და საშუალო ადგილის მილაგება.	16 ³⁰ -18 ⁰⁰	17 ⁰⁰ -19 ³⁰	17 ⁰⁰ -19 ³⁰	17 ⁰⁰ -20 ⁰⁰
11. სუფთა ჰაერზე გასეირნება მოძრაობის და სპორტული თამაშობანი	17 ³⁰ -19 ⁰⁰			
12. ვახშამი და თავისუფალი მეცადინეობები (მეცადინეობებითა მუშაობა, ლიტერატურის კითხვა, მუსიკა) დამატებითი საშინაო მეცადინეობა	19 ⁰⁰ -20 ⁰⁰	19 ³⁰ -20 ³⁰	19 ³⁰ -21 ⁰⁰	20 ⁰⁰ -21 ³⁰
13. ძილისათვის მომზადება, ტანსაცმლის და ფეხსაცმელის პოვნა (გაწმენდა, გაუთოება) ოთახის განიავება, საღამოს ტუალეტი	20 ⁰⁰ -20 ³⁰	20 ³⁰ -21 ⁰⁰	21 ⁰⁰ -21 ³⁰	21 ³⁰ -22 ⁰⁰
14. ძილი ღამით.	20 ³⁰ -7 ³⁰	21 ⁰⁰ -7 ⁰⁰	21 ³⁰ -7 ⁰⁰	22 ³⁰ -7 ⁰⁰

ჯავრისით და სხვა.), გაიწმინდოს და მოიმზადოს ფორმა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, განიავოს საწოლი ოთახი და დაწვევს საძინებლად ზუსტად რეჟიმით გათვალისწინებულ დროს.

გასთვლეთ, სწორად შედგენილი დღის რეჟიმით ცხოვრება შეგარვევით დროის სწორ ხარჯვას.

თ. ლოლოპარიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



შენი უსწრაფესი თანატოლი

მალის პიონერთა პიონერული მოძრაობა

აფრიკის რუკაზე მოძებნე მალის რესპუბლიკა. სუვერენულ რესპუბლიკად იგი 1960 წელს გამოცხდდა ხანგრძლივი და ძალზე რთული ბრძოლების

შემდეგ. იმ დროიდანვე გაჩნდა აქ პიონერული რაზმები, უფრო სწორად, ჯგუფები.

მალის რესპუბლიკის პიონერთა სამკერდე ნიშანზე ამოკვეთილია სიტყვა „agir“. ეს ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს — „იმოქმედე!“

„იმოქმედე!“ — ესე იგი: უკუაგდე პასიურობა, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ნერგავდნენ კოლონიზატორები.

„იმოქმედე!“ — ესე იგი: ისწავლე, მიეხმარე უფროსებს, შეიძინე პროფესია — სამშობლოს მცოდნე, ნაკითხი, ჭკვიანი სპეციალისტები სჭირდება.

„იმოქმედე!“ — ესე იგი: პიონერული ასაკიდანვე ისწავლე შენი ქვეყნის მომავალზე ფიქრი, ქვეყნის საკეთილდღეო შრომა.

მალის პიონერთა დევიზია: „პიონერი — დღეს, პიონერი — მუდამ!“ ყველაფერი, რაც შენ ბავშვობის წლებში

ისწავლე, მთელი ცხოვრების მანძილზე თან უნდა გახლდეს, რადგან მალის მომავალი ცხოვრება ისეთი იქნება, როგორსაც ააშენებენ დღევანდელი გოგონები და ბიჭები.

მალის პიონერთა ორგანიზაციის ამოცანაა სამშობლოსათვის შრომა და ცხოვრება.

მალელი პიონერები უფროსებს ეხმარებიან შაქრის ჭარხლის ალებასში, მიწის თხილის, სიმინდის, ბრინჯის, ბამბის მოვლაში.

პიონერები ბავშვობიდანვე სწავლობენ საქონლის მოვლას. მალელ პიონერებს საბჭოთა პიონერების მსგავსად სურთ გაიზარდნენ ჯანმარები, ამიჯომ ვტანებიან სპორტს.

მალელ პიონერთა კანონებში წერია: პიონერს უყვარს მშობლები და ყველაფერში ეხმარება მათ;



გაუფრთხილდით ურბებს!

ერთმა ამერიკულმა კლინიკამ პაციენტებს ასეთი მოწოდებით მიმართა: „უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ თქვენს ყურებს და უმკურნალებთ მათ.“

ამერიკელთა ნახევარზე მეტი სათვალეს ატარებს, ხოლო სათვალეს, როგორც ცნობილია, უყუროდ ვერ გაეკეთებთ. ასე რომ, გაუფრთხილდით ყურებს, სხვა თუ არაფერი, იმ დროისთვის მინც, როცა სათვალის ტარება მოგიხდებათ“.

ბაჰამების სკოლა

ამერიკის ქალაქ საკრამენტოს მკვიდრმა ბილ სტედმა სადარბაზო ბარათზე დაბეჭდა თავისი თანამდებობა — სკოლის დირექტორი. ოღონდ აღნიშნული არ არის, რომ ეს სკოლა ბოსელია მოთავსებული, ხოლო მოსწავლეები... ბაჰამები არიან. სტედის სკოლა უშვებს, „პროფესიონალ სპორტსმენებს“, რომლებიც მონაწილეობენ ბაჰამების შეჯიბრებებზე, ამერიკის ბევრ ქალაქში რომ ეწყობა. სკოლის დირექტორი ირწმუნება, ყველაზე დიდ წარმატებებს შინონის საშუალებით მივაღწევთ.

ესკიმო — ესკიმოსებისათვის

საიდან გაჩნდა სახელწოდება „ესკიმო“? ამ კითხვას ბევრი თქვენგანი ალბათ უყოყმანოდ უპასუხებს: „რასაკვირველია, სიტყვა „ესკიმოსისაგან“. ეს პასუხი ერთი შეხედვით სწორი ჩანს, რადგან ამ ნაყინის ტემპერატურა შეესაბამება ჩვენი პლანეტის იმ განედების ტემპერატურას, სადაც ესკიმოსები ცხოვრობენ. მაგრამ ასეთი ახსნა მცდარია. საქმე ის არის, რომ ნამდვილმა ესკიმოსებმა შარშანდღამდე არამცთოუ ესკიმოსს გემო, ისიც კი არ იცოდნენ თუ ესოდენ სასიამოვნო ტკბილეული არსებობდა. შარშან ერთმა შოტლანდიურმა ფირმამ გადაწყვიტა გამოეწვრობინა აღნიშნული მდგომარეობა. მან ნახევარკუნძულ ლაბრადორის (კანადა) უკიდურეს ჩრდილოეთში გაგზავნა ნაყინის პირველი სასინჯი პარტია. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ლაბრადორელი ესკიმოსები ალტაცებული იყვნენ. მთელი პარტია — 80 ტონა—ორიოდე დღეში გააქრეს და მოუთმენლად დაელოდნენ ნაყინით სავსე მორიგ კონტეინერებს.

ცხოველთა სასაფლაო... გამომავალში

საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სამმა სპელიოლოგმა აღმოაჩინა უნიკალური „ცხოველთა სასაფლაო“. მიწისქვეშა მღვიმეების კვლევისას, რომელთა საერთო სიგრძე 5 კილომეტრს აღწევს, სპელიოლოგები ცხოველთა ძვლების უზარმაზარ გროვას წააწყდნენ. გროვის სიგრძე 800 მეტრია, სიგანე—4, სიმაღლე—25 მეტრი. წარმოსადგენდაც კი ძნელია ძვლების რა რაოდენობა ნახეს მათ აქ.

ეს სასაფლაო ძირითადად წინასტორიული ხანის ცხოველებისაა, რომლებიც 20 ათასიდან ერთ მილიონამდე წლის წინათ ცხოვრობდნენ. მაგრამ როგორ აღმოჩნდა მათი ძვლების ეს ვეებერთელა გროვა გამოქვაბულში? რა ვითარებაში, რატომ? — ეს ჭრჭერობით გამოუცნობია.

ცოცხალი „ტაიფუნინდიატორი“

ცნობილია, რომ ცხოველთა სამყაროს ბევრი წარმომადგენელი წინასწარ გრძნობს სტიქიური უბედურების, მაგალითად, მიწისძვრის მოახლოებას, იპონენლმა მეცნიერებმა, რომლებიც ველური ფუტკრების ქცევებს აკვირდებოდნენ, დაასკვნეს, რომ მათი მეოხებით შეიძლება ტაიფუნის (ძლიერი, გამანადგურებელი ქარიშხალი წყნარი ოკეანის დასავლეთით) აქტივობის საქმალ ზუსტი პროგნოზი. ასე მაგალითად, 1974 წელს, როცა ტაიფუნის აქტივობა მაღალი იყო, ფუტკრები ფულტროებში და ხის ნაგებობათა ღრუბლებში იბუღებდნენ, ხოლო უფრო წყნარ, 1975 წელს, მათი ნაყარი ბალახიან ხეს იჩრევდა დასაბინავებლად.





შავები: ლ. შამკოზიჩი
(აშშ, დიდოსტატი)
ლონგ-პაინი, 1977 წ.



პიონერი აფასებს, რასაც მისთვის სამშობლო აკეთებს და თვითონაც ცდილობს, რითაც შეუძლია არგოს ქვეყანას;

მაღელი პიონერი ყველა აფრიკელი პიონერის და მთელი მსოფლიოს პიონერთა მეგობარია;

პიონერს უყვარს შრომა და თავისი საქმე მუდამ ბოლომდე მიჰყავს;

პიონერი ფიზიკურად ძლიერია;

პიონერს უყვარს ბუნება, ცხოველები;

პიონერი მონაწილეობს ეროვნული,

დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნაში, ცდილობს გახდეს კარგი სპეციალისტი;

პიონერი ყველა ბავშვისთვის მაგალითია. თავის ინტერესებს ის საზოგადოების ინტერესებს უქვემდებარებს.

მაღლის პიონერთა ორგანიზაცია ყოველწლიურად იზრდება, სულ უფრო მეტი მაღელი ბავშვი შედის პიონერთა რიგებში.

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შოტა ინჰპირაშვილი

ამა წლის მარტის თვეში ამერიკის შერთებული შტატების საკურორტო ქალაქ ლონგ-პაინში გამართულ ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ნონა გაფრინდაშვილმა ფანტასტიკურ წარმატებას მიაღწია... მან, ისევე როგორც დიდოსტატებმა ი. ბალაშოვმა (სსრკ), ო. პანომ (არგენტინა) და ა. შახოვიჩმა (იუგოსლავია), 9 შეხვედრაში 6,5 ქულა დააგროვა და მათთან ერთად I-IV ადგილები გაიყო.

„სენსაციურია საბჭოთა მოჭადრაკე ქალის გამოსვლა. პირველად ქადრაკის ისტორიაში ქალმა გაიმარჯვა დიდ საერთაშორისო ტურნირში და შეასრულა დიდოსტატის ნორმა. მოჭადრაკე ქალებს შეუძლიათ იამაყონ თავისი ჩემპიონის წარმატებით“, — წერდა დიდოსტატი იური ბალაშოვი. ვაჟებში დიდოსტატის წოდების მოსაპოვებლად საჭიროა ნონამ ერთხელ კიდევ შეასრულოს აღნიშნული ნორმატივი.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში გამარჯვებული ოთხეულიდან კოეფიციენტების მიხედვით პირველ ადგილზეა ნონა გაფრინდაშვილი — ყველაზე მეტი მოგებისათვის (ექვსი) და ამასთან ყველაზე საუკეთესო შედეგისათვის დიდოსტატებთან (ხუთიდან სამი ქულა!).

ეს წარმატება კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურებაა იმისა, რომ ნონა გაფრინდაშვილი მოვლენაა, ერთადერთია ქადრაკის ისტორიაში. გენიალურმა ქართველმა მოჭადრაკე ქალმა 60-იანი წლების დანაწიდან დასაბამი მისცა ახალ ერას ქართულ და მსოფლიო ქალთა ქადრაკში.

მოგვყავს ლონგ-პაინში გათამაშებული ორი პარტია გაფრინდაშვილის კომენტარებით.

პარტია № 5

ს ი ც ი ლ ი უ რ ი ლ ა ც ვ ა

თეთრები: ნ. ბაზრინდაშვილი
(სსრკ, დიდოსტატი)

ეს ტურის საუკეთესო პარტიად აღიარეს და მოიპოვა საგანგებო ჯილდო.

1. e4 c5 2. მფ8 e6 3. d4 cd 4. მ:d4 ა6 5. კd3 მფ6 6. 0—0 d6 7. f4 კე7 8. მფh1 მხ-d7 9. მd2 ლc7 10. მ2-f3 0—0 11. ლე2.

შეიძლება ეს გაგრძელება უძლიერესი არ იყოს, მაგრამ მხედველობაში მქონდა შამკოვიჩის საუცხოო თეორიული მოშაადება და გატკენილ გზას გადავუხვიე.

11. ... მც5 12. e5 მ:d3 13. ლ:d3 de 14. fe მd7.

შეიქმნა სიცილიური დაცვისათვის დამახასიათებელი ტიპური პოზიცია. შე განვახორციელე პროგრამული წინსვლა — e4-e5, სამაგიეროდ, შავებმა გამიცვალეს ძლიერი კუ და დაცვის შესაძლებლობაც მიიღეს.

15. კf4 ხ5 16. ეა-e1 მც5.

საჭირო სვლია, რადგან თეთრები მც5-ით იმუქრებიან.

17. ლე3 კხ7 18. მგ5.

მინდა გამოვიწვიო h7-h6, რაც შავებს დაუხსნის მეფის ფრთას და h6-ზე კუს შეწირვის იდეას წარმოშობს.

18. ... ლd7 19. ეd1 ლd5 20. მd-f3!

საინტერესო სვლია. ორი პაიკის შეწირვით მტკიცედ ვეუფლები ინიციატივას.

20. ... ლა2 21. ხ4 კ:გ5 22. მ:გ5 ლc2 23. ლh3 (არ ვარგა 23. ეd2 23. ... ლc4-ის გამო) h6 24. hc hg 25. კ:გ5 ლგ6?

შამკოვიჩს აუცილებლად უნდა აეყვანა c5 პაიკი, თუმცა 26. კf6-ის შემდეგ თეთრების იერიში გრძელდებოდა.

26. კე7 ეf-e8 27. კd6 კე4 28. ეf4 (h4-ზე მისვლის მუქარით) ენ5 29. ლf3 ლh6 30. ეf1 ა5 31. c6 ხ4.

პაიკის ნაკლებობის მიუხედავად, თეთრებს უპირატესობა აქვთ გამსვლელი პაიკისა და მეფის ფრთაზე სახიფათო იერიშის სახით.

32. c7 ლგ6 33. ეc1 ეა-c8 34. ეa1 კc2 35. ე:ა5 ხ3 36. ეხ5 ლh6 37. ხ3 ლგ6 38. მფh2 ლგ5 39. ე:f7 კე4 40. ე:გ7+! მფ:გ7 41. ლე4 ლf5 42. ლმ3 მფ7 43. ეხ4 ხ2 44. ე:ხ2 მფგ7 45. ეf2 ლh5 46. ეf4 ეხ8 47. ლგ3. შავები დანებდნენ ლაზიერის გარღვევით დაკარგვის გამო.

პარტია № 6

ე ს პ ა ნ უ რ ი პ ა რ ტ ი ა

ნ. ბაზრინდაშვილი

(სსრკ, დიდოსტატი)

ჯ. ტარჯანი

(აშშ, დიდოსტატი)

ლონგ-პაინი, 1977 წ.

1. e4 e5. ჩემთვის მოულოდნელი გაგრძელება.

2. მფ3 მც6 3. ეხ5 ა6 4. კა4 მფ6 5. d4. ნაკლებად ცნობილი ვარიანტი, რომელიც თეთრებს მცირე უპირატესობას აძლევს.

5. ... ed 6. 0—0 კე7 7. ეe1 0—0 8. e5

ნაპრძალი ძვენი კიდეტან

ამერიკის კონტინენტის სამხრეთით მდებარე არგენტინის კუნძულ ესტადოსზე შეიძლება თამამად ვუწოდოთ „ქვეყნის კიდე“.

ესტადოსი საოცარი კუნძულია, სადაც მხოლოდ პინგვინი და სხვა ფრინველები ბინადრობენ. ანტარქტიდა აქედან ხელის ერთ გაწვდენაზე, რამდენიმე ასეულ კილომეტრზეა, მიუხედავად ამისა, ბუნებამ იგი უხვად დააჯილდოვა. ინდიელებს სამარ-



თლიანად შეურქმევიათ კუნძულისთვის ბარაქიანი მიწა-წყალი. მწვანით შემოსილ ესტადოსზე სამხრეთარგენტინული ფლორის თითქმის ყველა წარმომადგენელი ხარობს: ნაირფერი ხავსით „ჩათბუნებული“ მაღალი ხეები; ტანმსხვილი გვიმრა; ველური ბოსტნეული; კაცის სიმალღე ნიახური... აქ აღამიანის ქაჯანებაც კი არ არის. სრუტის მძლავრი დინება, წვერწამახული, ხალი კლდეების ძირას დაგუბებული ნისლი კუნძულ-ნაქრძალს საიმედოდ იცავს დაუპატოებელი სტუმრებისაგან.



ამოსახსნელად გთავაზობთ მსოფლიო ჩემპიონის ანატოლი კარპოვის პარტიის უნალს ჯ. ტარჯანთან (სკოპლე, 1976 წ.).

მე8 9. კf4 f6 10. კ:c6 dc 11. ლ:d4 ლ:d4 12. ფ:d4 f5!?

ახალი სვლაა. პრაქტიკაში ცნობილია სამი ვარიანტი: 12. ... ფ5, 12. ... კc5, 12. ... c5. აქ კარგანით ჩავფიქრდი. საჭირო იყო თამაშის გეგმის არჩევა. შავების პოზიციის მინუსია e8 მხედრის მძიმე მდგომარეობა. სამაგიეროდ, შავები g7-ფ5-ით იმუქრებიან, რომლის დაშვებაც არ შეიძლება.

18. მf8 h6 14. h4 კe6 15. მc8 c5 16. ეა-d1 c6 17. მა4.

ხელს უშლის შავებს თამაშში მხედრის შემოყვანაში.

17. ... ხ5 18. მხ6 ედ8.

უკეთესი იყო 18. ... ეა7, თუმცა 19. ა4 და მერე c4-ის შემდეგ თეთრებს მაინც უკეთესი პოზიცია ჰქვია.

19. ე:d8 კ:d8 20. მd7!

მხედრის დროებითი შეწირვით, ამ კომბინაციის საშუალებით თეთრები საგრძნობლად იუმჯობესებენ პოზიციას. საინტერესოა, რომ მანამდე ტარჯანს ორჯერ გამოუყენებია ეს ვარიანტი. ერთ პარტიაში მისმა მეტოქემ e პაიეთ მე-18 სვლაზე ითამაშა, მეორეს — იუგოსლავიელ ვუიკოვიჩის მასტინგის ტურნირში საერთოდ გამოჩნდა მხედრის შეწირვის შესაძლებლობა და შეხვედრა ყაიძით დაშთავრდა. ამიტომ ჩემი სვლის შემდეგ ამერიკელი დიდოსტატი ღრმად ჩაფიქრდა.


20. ... კ:d7 21. e6 კc8 22. e7 კ:e7 28. ე:e7 მf6 24. ეა7.

არ ვჩქარობ პაიკის უკან დაბრუნებას. მთავარია ეტლის შენარჩუნება.

24. ... ეe8 25. კe8 c4 26. კd4 f4 27. c8 მფ8 (შავებს დიდი არჩევანი როდი აქვთ), 28. ეc7 მფ4. (ტარჯანი ვერ იცავს c6 პაიკს, ამიტომ ცდილობს ე7 პაიკის დათმობით პოზიციის გააქტიურებას). 29. კ:e7 მფ8 30. მენ1 (ძალზე ძლიერი სვლაა, რომელიც ამარტივებს თამაშს და უფრო ნათელს ხდის თეთრების უპირატესობას).

30. ... მ:e5 31. კ:e5 ე:e5 32. ე:c8 + მფ7 33. ეc7 + (საჭირო სიზუსტე. თეთრები იგებენ პაიკს დროის დაუკარგავად), 33. ... მფ6 34. ე:c6 + მფხ5 35. მფf1 ა5 36. ეf6 მფ6 37. ე:h6 ეd5 38. მფე2 ეe5 + 39. მფd2 ეd5 + 40. მფc2 ეe5 41. ეფ6 + მფ:h4 42. მფd2 ხ4 43. ეc6 bc + 44. bc ეხ5 45. ე:c4 ეხ2 + (აქ პარტია გადაიდო. შავებს უიმედო პოზიცია აქვთ), 46. მფe1 მფგ5 47. ა4 მფ5 48. მფf1 ეა2 49. f8 ეა1 + 50. მფ2 მფგ5 51. ეd4 ეა8 52. ეc4 ეა1 53. მფე2 (ირაკვევა, რომ არ შეიძლება 53. ეc5 + მფh4 54. ეf5 ეა2 + 55. მფg1 ე:e2 + და პატია), 53. ... ეე1 54. მფd8 და რამდენიმე სვლაში შავები დანებდნენ.

პარკონი



ტარჯანი

შავები იწყებენ და იგებენ. ამ პოზიციაში კარგვმა მახვილონიკური ღარტყმით აიძულა ამერიკელი დიდოსტატი, დანებებულიყო. ველით თქვენს პასუხს.

საკითხავი

საპროტა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კომისი	ბრინი ა. — ნიჭი (მოთხრობა, თარგმნა ვ. მჭედლიშვილმა)	21
კონსტანტინე პ. — დიდი ისტორიული დოკუმენტი (საუბარი პირველი)	„აი სი“	24
ხარბიანი მ. — ზღვა ჩვენი მეგობარია (ნარკვევი)	საინტერესო სიახლენი	26
არაბული შ. — ტკივილი (მოთხრობა)	ახალი წიგნები	27
ბეჰიშვილი თ. წელიწადის ოთხი დრო (ლექსები)	ლოლოპირიძე თ. — მოსწავლის დღის რეჟიმი (წერილი)	28
გვინცაძე ნ. — ყოჩაღ, მიაი! (წერილი)	შენი უცხოელი თანატოლები (წერილი)	30
კონკურსი — ოქტომბერი ჩვენს გულებში	ჯადოსნური სარკე	30
მხედლიძე პ. — ლონდონი (მოთხრობა)	მხედრონი	31
აბულაშვილი თ. — ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო	შარაზადაშვილი ზ. — უხირო საათი (წერილი)	გა-
	რეკ.	3

გარეკანის მხატვრობა ზაურ დიხსძინს.



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შულია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაშვილი, ზურაბ ლეშავაძე (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარინჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შაფრიანი, ლევან ჩიქვანია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელფონები: რედაქტორის — 93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების — 93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადამცემი ასაწყობად 23/VI-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VIII-77 წ. ქალაქის ფორმატი 60x90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 5,35. შეკვ. № 2212. ტირ. 146.000. უფ. 08742.

ფაზი 20 კაპიკო

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



თამაშისთვის იხაზება ჩვეულებრივი 12-დანაყოფიანი საათის 5 მეტრი დიამეტრის მქონე „ციფ-

ყები მოთამაშეების დასადგომი ორ-ორი ადგილი. 1-ლი წრიდან ორ-სამ მეტრზე დიდი წრის გა-

ნე მოთამაშენი გამორბიან და, იმის მიხედვით, თუ ვინ სად მოასწრებს, ორი მათგანი დგება ძირითად საწყის ხაზებზე, დანარჩენები კი—ციფერბლატზე შემოხაზულ პატარა წრეებში. მისწრებულად ითვლება მოთამაშე, რომელიც პირველი დაადგამს ფეხს ხაზზე ან პატარა წრეში. თუ ეს ერთდროულად მოხდა, მოთამაშეებმა კენჭი უნდა ყარონ.

უადგილოდ დარჩენილ მოთამაშეთაგან ხელმძღვანელი შეარჩევს მსაჯს, დანარჩენები შედიან წრეში და თამაშის მსვლელობაში რიგის მიხედვით დგებიან მე-11 და მე-12 წრეებში.

მსაჯის მიცემულ ნიშანზე ძირითად საწყის ხაზზე მდგომი წინა მოთამაშე დარბის წრის გარშემო, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, უკანა გამოუდგება „დასაჭერად“. ხელის შეხება კმარა, რომ წინა მოთამაშე „დაჭერილად“ ჩაითვალოს. თუ ეს მოხდა წრის გარშემო ერთი ან ორი შემოვლის მანძილზე (შემოვლების რაოდენობას ხელმძღვანელი ადგენს), წინა მოთამაშე (დაჭერილი) „დამარცხებულია“, უკანა მოთამაშე (დამჭერი) კი — „გამარჯვებული“, თუ არა და, პირიქით. დამარცხებული თამაშიდან გადის, გამარჯვებული კი ხელახლა დგება რიგში უადგილოდ დარჩენილთა უკან.


ამავე პერიოდში ციფერბლატზე ხდება დანარჩენი მოთამაშეების გადაადგილება: 1-ლ და მე-2 წრეებში მდგომი მოთამაშენი ადგილს იჭერენ ძირითად საწყის ხაზებზე, დანარჩენები კი თანამიმდევრობით წაიწვივენ წინ, ხოლო პირველი ორი უადგილოდ დარჩენილი მოთამაშე უკვე ჩადგება მე-11, მე-12 წრეებში.

ძირითად საწყის ხაზებზე მდგომ მომდევნო მოთამაშეებს მსაჯი ხელახლა აძლევს რბენის დაწყების ნიშანს და ა. შ.

მოთამაშე, რომელიც ბოლომდე შემორჩება და უმარცხებლად, „გამარჯვებულია“.

თუ მოთამაშეთა რიცხვი დიდია, თამაშის დრო კი—შეზღუდული, მიზანშეწონილია, ძირითად საწყის ხაზებზე და პატარა წრეებში დადგეს ორ-ორი მოთამაშე, რომელთაგან ერთი ერთს გამოუდგება დასაჭერად, მეორე — მეორეს. ხოლო თუ მონაწილეთა რიცხვი საგრძნობლად დიდია, დასაშვებია 12-დანაყოფიანი ციფერბლატის ნაცვლად 24-დანაყოფიანის გამოყენება. კიდევ უკეთესია, თუ დაიხაზება ორი 12-დანაყოფიანი ციფერბლატი და თამაში ორ წყებად გაიმართება.

წ. შერაზადიშვილი.



ერბლატი“. ციფერბლატის წრეხაზი იყოფა 12 თანაბარ რკალად, თითოეულის სიგრძე 130-131 სმ-ია. თორმეტივე რკალზე, როგორც დიამეტრებზე, იხაზება „პატარა წრეები“. მოთამაშეებს შეუძლიათ წრეებში ჩაწერონ საათის ციფერბლატის შესაბამისი ციფრები. პირველი წრის წინა და მეორე წრის უკანა კიდეებზე ტარდება ორ-ორი მეტრი სიგრძის ორი „ძირითადი საწყისი ხაზი“. თითოეულ ხაზზე მოინიშნება დამწ-

რეთ შემოიხაზება 1 მეტრი სიგანის მსაჯის დასადგომი წრე.

ციფერბლატის ოთხივე მხარეზე 5-დან 15-მდე მეტრზე (მანძილი დამოკიდებულია მოთამაშეთა ასაკზე) ტარდება და ინომრება „საერთო საწყისი ხაზები“.

მოთამაშენი ხელმძღვანელის მითითებით იყოფიან 4 პირობით ჯგუფად. პირობითი ჯგუფები კენჭს ყრიან და თავ-თავიანთ „საერთო საწყის ხაზებზე“ დგებიან.

ხელმძღვანელის ნიშა-

შარალა

ვახლისებს ხილვა მისი, გული გწყდება, როცა არ ჩანს, სამკაულად გაფენს ხოლმე მოელვარე ოქროს ფარხას. შარალისთვის დაიტოვე დასაწყისი ბგერის გარდა, კედლის შანდალს რაღა ჰქვია,

ვაიხსენე ისიც მარდად; არც ნაწილთა შეერთებას მოუნდები, ალბათ, დიდხანს. გარეული ცხოველია, რომელია, აბა მითხარ!

შ. ამირანაშვილი.

პასუხი № 7-ში
გოთამასპულ
„ცხრაპლიტულზე“
თ ა ვ ს ბ ა მ ნ ი

ფერად სვეტში
მიიღება: რენტგენი.
გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი
ვარსკვლავები, ჩაქუჩი, ქუთუთოები, ხიდი, მარილი, ყინული.



6 49/32

ინტერნაციონალური
ინდექსი 75157



ფოტოგრაფი უ. ლატუაშვილი

„მწვანე ჯიშის“